


მარინა შავიძე • გეორგი სავალი პილიკი



„გაეომავალობა გრიფონი“

გარინა შანიძე

ქაბულის ლევარი ბურუჟი



თბილისი
2019

რედაქტორი
თემურ ჩალაბაშვილი

კორექტორი
ნინო ვარაზაშვილი

მხატვარი
გიორგი ცერეთელი

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი პელთაძე

© მარინა შანიძე, 2019

ISBN 978-9941-480-30-0

მარინა შანიძე – ორი მუზის მსახური

ქალბატონი მარინა შანიძე, შესანიშნავი პოეტი და მუსიკოსი, დაიბადა იმერეთში, კერძოდ ოკრიბის ულამაზეს მხარეში. იგი ბავშვობიდანვე წერდა ერთდროულად ლექსებს და სიმღერებს. სკოლის დამთავრებისთანვე გახდა სტუდენტი და მიიღო უმაღლესი ეკონომიკური განათლება, პარალელურად დაამთავრა მუსიკალური სასწავლებელიც.

პირველად სადაც მისი ლექსები დაიბეჭდა, იყო უურნალი „პიონერი“, ხოლო სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული სისტემატიკურად იქცევდებოდა სხვადასხვა უურნალ-გაზეთებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქ-ნი მარინა ორმოცდათამდე სიმღერის ავტორია, რომლებიც მისსავე ლექსებზეა შექმნილი, აქედან ათამდე სიმღერა ხშირად ხმიანდება საქართველოს რადიო-ტელევიზიებში და დიდი მოწონებით სარგებლობს.

რა სასიამოვნო ამბავია, რომ ამ ორი მუზის შემოტევას, ძვირფასი ქალბატონისთვის, ხელი არ შეუშლია და ჰყავს საოცრად ლამაზი ოჯახი – დიდებული მეუღლე, ოთხი არაჩვეულებრივი შვილი და ათი შვილიშვილი... და ეს ულამაზესი ოჯახი არის მრავალგზის რესპუბლიკური კონკურსების და ფესტივალების გამარჯვებული, მათ შორის „გრანპრის“ მფლობელი.

გადის წლები ... ცხოვრება თავისას ითხოვს...

და დღეს საგარეჯოში, დიდი გოგლა ლეონიძის ნაფუძნარზე, ყველა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ეპყრობა ღვინაშვილების ღირსეულ ოჯახს – სადაც ყველა წევრი ერთხმად აღიარებს, რომ ოჯახის სიმტკიცე და ურყევი დედაბობი, სწორედ



ქალბატონი მარინაა!

მე გავეცანი მის შემოქმედებას. ძალიან გამიადვილდა დამენახა ის, რასაც შემოქმედი გრძნობს და განიცდის. ის წერს ყველასათვის გასაგები, მისაღები და სასიამოვნო ენით.

ორი მუზის მსახურება მართლაც დიდი ნიჭის დასტურია და მკითხველი თავად დარწმუნდება ამაში.

შემოქმედებითი მუზის მარადიულობას ვუსურვებ ქ-ნ მარინას და მინდა ეს წიგნი მისი მომავალი წარმატების საწინდარი გახდეს!

თემურ ჩალაპაშვილი
გალაკტიონ ტაბიძის პრემიის ლაურეატი



ჩემო მკითხველო! იცი, როგორ ველოდი შენთან შეხვედრას? დაიახ, ველოდი და ჩემი გული ახლა ჩიტის გულივით ფრთხილებს – მე ხომ არ ვიცი, როგორ განმსჯი და შემაფასებ. ეს წიგნი ჩემი სულის და გულის ნაწილია, მთელი ჩემი სამყაროა, ზოგჯერ ჩუმი და მორიდებული, ზოგჯერ აღშფოთებული და ბობოქარი, მაგრამ მაინც დიდი სიყვარულით გაჯერებული... სწორედ ეს მინდა შეიგრძნო და სიტყვით ნათქვამი ყოველი განცდა, საკუთარ განცდად განიცადო. ვეცადე, სადა და უბრალი, ადვილად აღსაქმელი სიტყვათა წყობით გადმომეცა ჩემი სიხარული, ტკივილი, იმედი, ვეფერები ჩემს სამშობლოს, მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს და გარშემომყოფებს. მინდა იცოდე, რომ ბევრი ლექსი შენივე თხოვნით დავწერე, იმ თხოვნით, რომელიც შენს თვალებში წარმოსახვით დამინახავს, შემიგრძვნია და მოსვენება დამიკარგავს, შვება კი ისევ ლექსში მიპოვია. დღევანდელი აფორიაქებული ცხოვრების რეალობიდან გამომდინარე, ვეცადე ვყოფილიყავი მშვიდი და ლმობიერი, მაგრამ ვაი, რომ ძლიერი შინაგანი პროტესტის გამო, ზოგჯერ მნარე რეალობა არ მაძლევდა ამის საშუალებას... ან კი როგორ შეიძლება ვიყო მშვიდად, როცა უსაშველოდ მტკიცა ჩემი მრავალჭირნახული საქართველო, როცა თანამემამულენი უცხო ქვეყნის ხიზნები არიან და ასე დამიცოტავდა სამშობლო, როცა ყოველ ფეხის ნაბიჯზე ჩასაფრებული შიში არ მასვენებს – შიში ხვალინდელი დღისა!

ღრმა ბავშვობიდანვე მქონდა დასახული მიზნად, რომ მთელი სიცოცხლე მხოლოდ სასიკეთო საქმე მეკეთებინა, ვყოფილიყავი მამულის ქომაგი და მოსიყვარულე, ღირსეულად მომეხადა ვალი საკუთარი სინდისისა და ქვეყნის წინაშე, უანგაროდ მყვარებოდა



ის, რასაც ჩემი გული ესათუთებოდა... „ერთი კაცის ნილ ხომ გავისარჯე? შენ იცი, მხოლოდ, ღმერთო ძლიერო, მე, რაც შევძელი, სიკეთე ვთესე, არ მითხოვია სამაგიერო!“ დღესაც ამ მიზნის ერთგული ვრჩები და „მსურს კვალი ჩემი, ბობოქარი, ნათლად დაჩინდეს!“

ქუდბედით დავბადებულვარ... ჩემი მშობლების პირველი შვილი... ერთი ძმა და სამი და ჩემ თვალწინ მოევლინა ქვეყანას; ვიზრდებოდით სითბოთი და სიყვარულით სავსე ოჯახში, სადაც მოყვასის გატანა, ერთგულება იყო უპირველესი. ამ ღირებულებებით ნასაზრდოები გული გამოგვყვა ყველას და მეამაყება, რომ უკიდეგანო სიყვარული შეგვიძლია თითოეულ ჩვენგანს, ყოველგვარი ანგარების გარეშე. ჩემი სულის მღელვარება მუდმივად მახედებს წინაპრებისკენ. როცა დიდ სიხარულს განვიცდი, გულში მუდმივად არის ერთი კუნჭული, რომელიც სულ გლოვობს და გლოვობს... დღეს ძალიან მაკლია მშობლების სითბო, წარმომიდგენია მათი ბედნიერი სახეები, – ჩემს წიგნს რომ ჩაიხუტებდნენ გულში. მათ ხსოვნას მოკრძალებით ვინახავ სულის სილრმეში, ეს გრძნობა ხელშეუხებელია, ხოლო ყოველი ცრემლიანი გახსენება მათთვის კიდევ ერთხელ სიყვარულის ახსნა და დადასტურებაა! ამ წუთის გადასახედიდან, თვალსა და ხელ შუა გაირბინა სიცოცხლემ. ბავშვობიდან დღემდე თითქოს ერთი ნაბიჯია, ძალიან მეცოტავება, თუმცა უამრავი ნათელი მოგონება დამიტოვა: სტუდენტობის ულამაზესი წლები, სიყვარულით შექმნილი ოჯახი, ქვეყნის სამსახურში ყოფნა, შვილები და შვილიშვილები... რომელი ერთი ჩამოვთვალო? უღელში შებმულს, ბედნიერების განცდით სავსეს, ერთხელაც არ ჩამიმუხლავს, ყველაფერს შევეზიარე. მიუხედავად იმისა, რომ არავინ არ მავალებდა, კაცის საქმეც სიყვარულით მიკეთებია და ამით დიდი სიამოვნება მიმიღია. ახლა, როცა ღვთით ბოძებული სიცოცხლის უმეტესი ნაწილი გავლილი მაქვს, ცხოვრებას სხვა თვალით ვუყურებ. თითქოს მაღიზიანებს თავმდაბლობით განვლილი ცხოვრება, მაგრამ ამავე დროს ვფიქრობ,



რომ ალბათ, სწორედ ეს არის უფალთან მიახლოების სწორი გზა, რომელსაც ყოველთვის ველტვოდი.

ამ წიგნს ნუ ჩამითვლი ამბიციად! უბრალოდ, მინდა, შვილებს დავუტოვო სახსოვრად... და აგრეთვე მათ, ვინც თვლის, რომ მე ჩემი ქვეყნის ციხე-გალავნის ერთი პატარა აგური ვარ. მადლიერი ვარ ყველა იმ ადამიანის, ვინც ჩემ გარშემო სიყვარულით ფუს-ფუსებდა, მინდა ყველას გულის სითბო ვუწილადო ყურადღები-სთვის, მუდამ უხვად რომ მქონდა, ასეთი კი მართლაც ბევრი იყო მთელი ცხოვრების განმავლობაში. უპირველესად, მადლობა მეუღლეს, რომლის სითბო, სიყვარული და მზრუნველობა განუ-ზომლად ძვირფასია ჩემთვის, ვისთან ერთადაც ლირსეულად გავ-იარე ოთხი ათეული წელი და ფასდაუდებელი სიმდიდრის შემომ-ქმედნი ვართ შვილებისა და შვილიშვილების სახით.

მიყვარს ყველა! მიყვარს სიცოცხლე! მიყვარს ბედნიერება და სიყვარული! მიყვარს „ჩემი თვალით დანახული სამყარო“ და უფალს ვთხოვ, დამილოცოს იგი!

მარინა შანიძე



სამყარო, რომელიც წინამდებარე წიგნში გადაეშლება მკითხველს, შინაგანი განცდის, მძაფრი შეგრძნებების პირმშოა. ავტორი ღრმა ემოციური დატვირთვით გადმოსცემს ათასთა სათქმელს ისე, რომ არ კარგავს ინდივიდუალურობას, ხან მწარე რეალობის წინაშე გვაყენებს, ხანაც მოქნილი სიტყვის ფლობით ღიმილმოგვრილებს დაგვატარებს კუთხიდან კუთხეში.

აშკარაა, რომ ავტორი წერის დროს თავისუფალია – თითოეული მისი ფრაზა განცდილი და გამოწრთობილია, – სულის საცერმი გატარებული და სისადავით შემკული.

ბედნიერი ვარ, რომ წილად მხვდა, პირადად ვიცნობდე მას, როგორც სწორუპოვარ ქართველ ქალს, ღირსეულ დედას და აწუკვე პოეტს. პოეტს, რომელსაც თავისი ნიშა კარგა ხანია დაუმკვიდრებია და ნელ-ნელა ძალას ჰმატებს.

წარმატება მისურვებია ქალბატონი მარინასთვის!

ნიმო ვარაზაპვილი



ოდონდაც გაჩედეს!

რა ცოტანი ვართ?! – ეს სიცოტავე,
მტრის მახვილივით, გულის წვერს სწვდება,
რა საოცარი სიხარულია,
როცა ახალი სიცოცხლე ჩნდება...
და თუ ვაჟია, უფლის განგებით,
ციხის სიმაგრე უამთა და დროთა,
გვქონდეს იმედი, კვლავ გაიზრდება,
ერეკლე, ცოტნე, ილია, შოთა...
ქალია? – ესეც უფლის ნებაა,
ოღონდ დღეს უკვე არის მთავარი,
რომ გაჩნდეს ცხრა ძმის გამზრდელი დედა,
გაჩნდეს ნინო და გაჩნდეს თამარი;
თორემ სიმცირით და სიცოტავით,
მამულს იარა როდემდე აჩნდეს?
ლეკვი ლომისა რადგან სწორია,
რაც გნებავთ იყოს, ოღონდაც გაჩნდეს!



ეპეტ, ცუთისოფულო!

მითხრა საწუთრომ, ტიალმა,
იცხოვრე ცივსა ქვაზედა!
მომკიდა ტვირთი საძნელო,
მემძიმა სუსტსა მხარზედა.
ეგონა, შევშინდებოდი,
რა არ მომაპა თავზედა!
სულ აღმა-დაღმა მატარა
ნისლში ჩაკარგულ გზაზედა.
თავს შევუძახე, არ შედრკე
საწუთროს მუქარაზედა!
სიკეთის ყველა ამბავი
გადავიხდინე თავზედა.
ჩემის მარჯვენით ვიპურე,
თვალი არ მედგა სხვაზედა,
თხოვნა-მუდარით არავის
არ მივდგომივარ კარზედა.
წყვილი სანთელი დავანთე,
ნიკორას წყვილსა რქაზედა,
მოვხანი, თესლი ვაბნიე,
ძილს არ ვკარობდი თვალზედა.
თუ მტერი გამოჩინდებოდა,
სულ ხელი მედო ხმალზედა,
მითრთხოდა პირსისხლიანი,
მირბოდა უკუ გზაზედა.
შვილები უხვად დავზარდე,
ნაფერი თავის გვარზედა,
ყველას თაყვანი ვაჩვიე
უფლისა წმინდა ჯვარზედა.
ჩემსავით ნანაც ვამღერე
თვით ანგელოზთა ხმაზედა,
გავმრავლდით, ახლა ბევრნი ვართ
მადლიან ქვეყანაზედა!



Ե՞ղան, Ե՞ղանուսոց պալո,
մեղաց՞ – մուտքոմք զար չանջեցա,
ցամովո, դուքսանս զարո
նոնապրուս նաշալացնեցա!

ՑԱԼՈՒԹՅՈՒՆ

Ցալու ծերոջեր ցամեծիարա,
ցանա մարտլա կը ուղարկո՞ւրո՞ւ՞ս?
մարտու դարձու կո արա դա
սոխարուլուց մուտքուրուս.
Եան դուք կը ուղարկուս զեղար զարժենոծուցու,
Եան կարգարա նպանաց մշակուածա,
մուշակուրս, ցալու կանանունա,
ամդենս ռողոշոր ցաշմկլացնա?
Ցալու հիմու, ցոլուսատու,
մագրամ թողջեր հիւթուս ցալու,
մե սուսուբելուս օմեգու մայքս,
ոլոնց... Շեն առ մոռորցալու!



გარად აკვანთან!

ცაზე მთვარე ამოგორდა,
დუმან თეთრი მთები,
ჩემს ანგელოზს, საიმედოდ,
გაუშლია ფრთები.
დაპქრის სიო, ცელქი სიო,
ტოტებს ჩუმად არხევს
და სურნელი ღვინობისთვის,
ისევ თავბრუს მახვევს...
ცას გვირგვინად მოხდენია,
ღრუბლის თეთრი ფთილა,
მინდა ტრფობის ხელით მივწვდე
და შევეხო ფრთხილად,
მაგრამ ღამე ისე დნება,
როგორც ნაზი ფიფქი
და არ მაძლევს მოსვენებას
ზმანება და ფიქრი...
კვლავ ჩამესმის გარდასული,
მშვიდი წლების ექო:
—რაც ეწამე, რაც ეწვალე,
ნუთუ აღარ გეყო?
ლამაზ წუთებს მართმევს წლები,
მიაქვს ნება-ნება
და სურნელი სიჭაბუკის,
უგზოუკვლოდ ქრება..
მახსენდება უდარდელი,
უშფოთველი ხანა,
აკვნის გვერდით მუხლჩახრილი,
დედის ტკბილი ნანა.
ისიც მახსოვს, ოცნებებში,
როგორ ვშლიდი აფრებს
და რა კრძალვით მიყვებოდნენ
უსასრულო ზღაპრებს...



...წლების შემდეგ იმ აკვანთან,
ისმის ჩემი ნანა,
ახლა უკვე ჩემთვის დადგა,
შფოთიანი ხანა,
შვილი ჩემი, ოცნებებში,
ლალად შლიდა აფრებს
და ახლა მე ვუყვებოდი
ლამაზ-ლამაზ ზღაპრებს.
შევეჭიდე აღმართ-დაღმართს,
დამიმძიმდა ტვირთი,
დავიღალე, ამოსუნთქვაც
გამიჭირდა თითქმის.
კალო ჩემი, პურით სავსე,
ვლეწე, მარჯვედ ვლეწე
და სიკეთის ყველა მტერი
ბნელეთს გადავხვეწე...
გული მაინც არ მისვენებს
და უფრო მეტს ითხოვს,
რაც მინდოდა, რაც მეწადა,
ვერ მოვასწარ თითქოს,
მაგრამ ის, რაც მე შევძელი,
ერთ ქალად ხომ ლირდა?
რადგან ჩემი კალთის სითბო,
ოთხ მზედ ამობრწყინდა!
ღმერთო ჩემო, სხვა რა გთხოვო,
თუ არ ჭირთა თმენა,
დამილოცე ხვალინდელი
ზეცად აღმაფრენა,
რომ ჩემს შემდეგ, შვილი ჩემი,
კვლავ აკვანთან იჯდეს,
მამულისთვის რუსთაველს და
თამარ მეფეს ზრდიდეს!
კვლავ ემატოს საქართველოს
ბევრი გმირთაგმირი,



Նարսուլս ցածրպես պայմանա դարձո,
պայմանա գասափորո,
ամոյպազե գյուղե հիմո,
հիմո և ակնուն ցիոն,
մոմեց ձալա, բռմ և ուշետե,
մեց և ուշետոտ մեթլոն.
...դա և ուշետե վալմոեցունուն,
բռմա դաշասրութեան,
բայց մեջտեռպե, պայմանա նագուրաս,
տոյպու ամուսնութեան,
մաժոն ալոքատ, և ուշետունուն,
մեցերե պածե օվալ
դա օմէպեպնագ գուլսավսե դա
շուդարդելու նազալ...
բուդան մուզարե համոցորդա...
ուսեզ գյուման մուցենի...
հիմս անցելուն սամեցուն,
ցայթլուա գյուղենի...

ესა ვარ, რაცა ვარ!

აპა, ესა ვარ, რაცა ვარ,
მუდამ სიცოცხლის ტრფიალი,
ტვირთის სიმძიმემ დამცალა,
არ დამსუბუქდა ტიალი.
ხან აღმართს შემომახეთქა,
რისხვას ვერსაით გავეშვი,
თავაწყვეტილი ლოდივით,
კვლავ ციცაბოზე დავეშვი,
სილაც ისეთი გამანნა,
გული ტკივილით გამეყო,
ჭირი საცდელად მომკერძა,
ლხინის ლაზათი გამეგო...
ვკმარობ, რაც გამოიმეტა,
არსად უკეთესს არ ვეძებ,
არც გყვედრი ბედის ვარსკვლავო,
მე კალო უკვე გავლენე!



საახალცლო დალოცვა

ანგელოზნი გალობენ და
ლხინის ზარუბს რეკენ,
მინდა ვიყო ამ ახალ წელს,
ჩემი ქვეყნის მეკვლე.
სიყვარულის და სიკეთის,
უფლის მადლი გმოსავთ,
გულიანო ქართველებო,
მეც გულიდან გლოცავთ!
არ გენახოთ მტრის სიავე,
წუხილი და დარდი,
თქვენს ბალებში ზამთარ-ზაფხულ,
კეკლუცობდეს ვარდი.
ისევ ლხინი გაფხიზლებდეთ,
ლხინით დანაპურებს,
სავსე მთვარე დაჰყურებდეს,
თქვენს ეზოს და ყურეს.
მზის სხივს სითბო შემოჰქონდეს,
გალალებულ სულში,
თესლი უმალ ღივდებოდეს,
გუთნით გაჭრილ ხნულში.
სიმდიდრე კი სილარიბეს,
დახვედროდეს მედგრად,
წლიდან წლამდე ხვავრიელი,
ხვავის ზვინი გედგათ.
ვაზის ნაჟურს ვეღარ ტევდეთ,
მამაპაპურ ქვევრში,
მტერი, შურით გათანგული,
გიკვდებოდეთ ხელში.
იჯდეს პაპა მოღილინე,
შთამომავალს თვლიდეს,
ეზოს ჩრდილში სიხარულით,
ლამაზ აკვნებს თლიდეს.

იმ აკვნიდან სიყვარულით,
გიღიმოდეთ ჩვილი,
გაჩნდეს შვილი, შვილიშვილი,
მერე - შვილთაშვილი.
ეს სამყარო, უსასრულო,
მხოლოდ თქვენი გახდეს,
ყველა ნანდომ-ნაფიქრალი,
სასიკეთოდ ახდეს!..
...და გამრავლდით ქვეყანაზე,
როგორც ზღვაში ქვიშა,
მამულისთვის ბევრზე ბევრი,
გმირთაგმირი იშვას.
უფლის მადლმა გიწყალობოთ,
რაც მე გულით ვერ ვთქვა,
ხვალის რწმენა და იმედი
დაგილოცოთ ღმერთმა!



ვიჩეკარით...

ცას, დაუსაბამოს, ფერები აემღვრა,
არ მითხრა, რომ ახლაც საჩვენო დარია,
შეხედე, ჩქარობენ საავდრო ღრუბლები
და შიშის სიმძაფრემ გონება არია.

მამშვიდებ, თვალებში ფერმკრთალი სხივი გაქვს,
მე ვტირი, ცრემლები, თითქოსდა, შვებაა,
ერთურთის გულისხმას, თუმც, ფხიზლად ვდარაჯობთ
და მაინც, ჩვენი ხსნა თვით უფლის ნებაა!

დამძიმდა უღელი, ტვირთი რა ბევრია?!
გაჭირდა ამ ტვირთის დაღმართზეც ტარება,
ვიჩქარით მოვიხსნათ მხრებიდან სიმძიმე,
ვიჩქარით და... ნეტავ სად მიგვეჩქარება?



ՏՈՎԱՐՄԱՆ ՇԵՐԵԼՈ

Յիշուարտ որնո ծյսեարտան,
մինազլուլա լաձարո,
շոշոնու ռոմ ցավարդա,
նեքազ ու դրոն սագ արո?
ռոշոր Շեմոցցանթնեն,
հիզենո ծյուզու մերկելլեն;
ոմ դլեցենու մոմո մշացս,
մտլագ ռոմ Շեզօվերկելլեն;
ալճատ ցացածալուսէյծս
Շեմոցցոմու սոամյ,
մերյ մոզա ზամտարո,
սյսենանո սոազյ.
Ֆուժա, ռոմ առ Շեմուզայս,
ցահնդյա ծիարո ցուլուսա,
պեքելո առ ցամոնելո,
պեքելո – սոյզարուլուսա!



დოკუმენტის გატარებელი

თითქოს სულ არ ჩქარობდა,
მიდიოდა ტაატით,
დრომ დრო უცებ მოჭამა,
ნუთებს ცვლიდა საათი....
ხან წყვდიადი ვიკვლიე,
მხრებს მაცლიდა კევრები,
შიში მემუქრებოდა
დღეთა განახევრებით.
ძნელი ვერ ვიიოლე,
ჩემი გზა და სავალი,
თურმე სიყვარულია
ყველა ჭირის წამალი!
მაგრამ ახლა რაღა დროს?
არაფრის ვარ მძებნელი,
ბოლო სადგურს უმიზნებს
ჩემი მატარებელი...

ՔԵԴԱ ՔԵՎՐՈ ՅԵՄՐԻԿ

ծեզս ծեզրո զեյրից,
ու մանու մնչորալուա,
սուշութելեմ, քանչչուլմա,
ցիս զեղար ցալուա;
ցուլս ցութաց աժնենեծս,
նախո դա մոյրտեալուա,
տպ օսեզ մայենիլեծս,
ծորութո տպալուա..
ծյուծս ծեզուս զարսյուլազո,
նաեւրագ մյուրալուա,
ոմեզուց ցամուցուց,
սյուստո դա մյորտալուա...
մյ մանու մովպացուո,
նոնապրուս կպալուա,
զնչալոնձ դա զչաթորոնձ,
յս հիմո զալուա!



ეპეი, მაგულო!

რა განთიადი გაქვს?! ეპეი, მამულო,
დღეს, შენთვის ნამღერი, ტოროლას ჰანგი ვარ,
შენ გულის ფეთქვა ხარ, სიცოცხლის იმედი,
მე კი ამ იმედით ამაყად დავდივარ!

ვაზი ვარ და ჩემი ცრემლების ნაკადი,
მთის ბროლის მძივებად გულმკერდზე გაპკურე,
ყანა ვარ გაშლილი, თავნაყარ ჯეჯილის
და ბეღლის სიუხვით გავსებ და გაპურებ.

წყარო ვარ ანკარა, ცელქი და რაკრაკა,
ვიჩქარი მწყურვალეს მოგიკლა წყურვილი.
ხან მდეღლის ია ვარ, ხან არნივს ვედრები,
ზეცაში აფრენის მიჩნდება სურვილი.

დილის ცვარ-ნამი ვარ, ბალახის სილალე,
მზის ოქროს სხივი ვარ მდეღლოზე ნატყორცნი,
ჯიხვი და არჩვი ვარ კლდის წვერზე შემდგარი,
შენს მთათა მწვერვალებს იქიდან დავკოცნი!

მთვარე ვარ, ლამითაც ნათელით დაგყურებ,
მხრებზე სულ ციმციმა ვარსვლავად გეყრები,
წვიმა ვარ, ზეციდან კურთხევად მოსული,
და დამსკდარ გულ-მკერდზე მირონად გეღვრები!

ზვარი ვარ, ქარვისფერ მტებნებად ასხმული
და ღვინო, ნაკურთხი, ბარძიმით შესმული,
შენს ბედზე მლოცველი ერთგული შვილი ვარ,
ხარი ვარ, ნიკორა, გუთანში შებმული!

სიცოცხლე მაისობს, ბავშვივით შეგხარი,
მე ამ სიხარულით ზეცაში მფრენი ვარ.
სხვა რაღა ვინატრო, მითხარი მამულო,
შენ ჩემი გქვია და მე კიდევ შენი ვარ!



ნასოფლარები...

ალარც ურმული, არც ოროველა,
არსად მოისმის სოფლის შარაზე,
სად გაიხიზნენ მეგუთნეები?
სახლის კარებიც რატომ ჩარაზეს?!
დაცარიელდა ორლობეები,
ეზოს დარაჯობს მარტო მურია,
ალარავინ ჰყავს ლუკმის მიმგდები,
პატრონის ნახვა როგორ სწყურია?!
ყურს აღარ ახშობს თავბრუდამხვევი
გოგო-ბიჭების ჟივილ-ხივილი,
თითქოს ყველაფერს სული ამოხდა,
საბედისნერო – მტანჯავს ტკივილი.
ვინ უმასპინძლებს მტერს ან მოყვარეს,
მხოლოდ მოხუცნი შერჩნენ კერიას,
მამულიშვილნო, მოხედეთ სოფელს,
დაბრუნდით, ახლა თქვენი ჯერია!
გულს კლავს უმწეო ნასახლარები,
ტკივილმორეულს ცრემლიც მერევა,
თუ კვლავ სოფელი ფეხზე დადგება,
ქვეყანას მტერი რას მოერევა?!
ვუშველოთ, სანამ ნანგრევად იქცა,
თორემ მძლავრობენ ირგვლივ ბზარები,
დაბრუნდით! – მოსთქვამს ადგილის დედა,
დაბრუნდით! – რეკენ დედოზარები!



შეგონება შვილებს

შვილო, ჩემო გულის ფეთქვავ,
ჩემო თვალის ახელავ,
წლებმაც კი ვერ დამაჯერეს,
როგორ გახდი ამხელა?!

ვერ ვიჯერებ, ნუთუ მართლა,
ამდენი დრო გავიდა?!
ნეტავ ისევ ჩვილი მყავდე,
კვლავ ვიწყებდეთ თავიდან.

მაგრამ არა! დღეს სამშობლოს
შენი ძალა სჭირდება,
მტრის თარეში უნდა მოვსპოთ,
თორემ გაგვიჭირდება...

ყოფა უჭირს, უმძიმს მამულს,
მტრისას ქვეყნის დაქცევა,
წინაპართა სამკვიდროდან,
არ გაბედო გაქცევა!

რა შვილია, ვინც ვერ ამჩნევს
მშობლის ბედის სიავეს,
მის ნაჯაფარს ეშურება,
ამით ჰპოვებს სიამეს.

მამა-პაპის ნაამაგარს
უქმად გაანიავებს,
ნასახლარად გადააქცევს
იმათ ნალოლიავებს...

მე ასეთად არ გაგზარდე,
სულ მაქვს შენი იმედი,
ლუკმას სხვასაც უწილადებ,
თუნდაც გქონდეს მცირედი.

დაიხსომე, რა სურს დედას,
ვინ ხარ, ვისი გორის ხარ,
შენ, მამულის შენაწირთა
ფესვებიდან მოღიხარ!

გაუფრთხილდი წინაპართა
ნაამაგარს, ნაოფლარს,
მტრების გულის გასახარად,
ნუ დაარქმევ ნასოფლარს!

არწივო ალევორია

არწივო, ჩასაფრებულო,
რად უცქერ ჩიტის ბუდესა?
პატარაა.... და მკერდშიაც
პატარა გული უდევსა.

შენც ხომ დედა ხარ, რას ერჩი?
საქმეს ნუ იზამ, მრუდესა!
ნურც შორიახლო ჩაუფრენ,
ნურც შეულახავ ზღუდესა!

თორემ ცოდვა არ შეგრჩება,
წყალნი აღმადაც დიანო,
თავს წააკლავ და მართვენიც
ობლებად დაგრჩებიანო!

...

ობლობას ვინდა დაეძებს,
შიმშილით დაწყდებიანო!



მინდვრის ყვავილებო!

როგორ მომენატრეთ მინდვრის ყვავილებო?!...
ჩემში უთქვენობით მწუხრის დაისია,
ახლა გაზაფხულმა ისევ მოგიყვანათ,
მარტის სიკეკლუცე ეშვით აგივსიათ.
თავბრუ დამახვიეთ მძაფრი სურნელებით,
გარეთ საოცარი დრო და ამინდია,
გულში შემოიჭრა სხივი სიყვარულის,
გრძნობა ნაზამთრალი თქვენთვის ამინთია.
სანამ ცოცხალი ვარ, ასე მეყვარებით,
დღეს ხომ თქვენი ხილვით დარდი დამიკარგეთ,
ოღონდ...ამ ქვეყნიდან როცა ზეცად წავალ,
მოდით და საფლავი იქაც დამიქარგეთ....

ვედრება ღვთისეშობლისადმი

კრძალვით შემოგბედავ, დედაო ღვთისეშობელო,
დედაო კურთხეულო – წმინდაო მარიამ!
შენს წინ სავედრობლად, მუხლებზე დაჩოქილი,
შეხედე, რამდენი დედები არიან?!

ყველას აგვარიდე ტანჯვა, მწუხარება,
ჩვენს შვილებს უმფარველე და წამლად ეწამლე,
ხომ უწყი, მწარე იყო შვილის იარები
და მისი ტკივილებით რაოდენ ეწამე.

გვაკმარე, რაც გადაგვხდა, დედის გულს მოუოხე,
ამდენმა განსაცდელმა გონება არია,
წმინდაო კურთხეულო, მხოლოდ ერთს გევედრებით,
შვილები დაგვილოცე, დედაო მარიამ!



ՐՈՌԵՍ

Րաճ մոծոծոյթով Ռոռնո,
Եղբայր Ռա Ծարդո մոցայցես?
Սանամ Շազ Ցղամճյե Քաալճեզ,
Քեմտան Սաամծոն Ծրո ցայցես!

Մոտեարո, ասյ Րաճ Քյարոծ?
Կողքա Սօմ՛պուճյու ց ցարուցես!
Տումբա ց Շենո Եմայրո,
Ցյ Եռմ Ժալլոնյոս մմագյես?!

Թուոս ց Ամոետյուլո,
Ենյալո, Սատազոտ Յմինճազ!
Բաց Շոնոտ Ռուպա Ցոյսուրյեծ,
Ցյ Վոծոծոյթով Յոնճա!

Շեն Շսասրուլու օդոնյեծ,
Սանամ Սամպարո Սոյնտյացս,
Բացրամ ցաո, Ռոմ Սանյուտրոս,
Քեմտցու Ծլյ-մոյլյ Շտյամս!



დილის დალოცვა

მზიანად გათენებული,
გეწიოთ მადლი დილისა,
სიმშვიდე გამოგყოლოდეთ
ლამის ნეტარი ძილისა!

სითბო არ გამოგლეოდეთ
ციდან ნაფენი სხივისა,
გესმოდეთ ლალი ტიტინი
აკვნად მწოლარე ჩვილისა!

მუდამ გემატოთ დღეები
სიხარულის და ლხინისა,
ლმერთმა დალოცოს ოჯახი,
გამზრდელი ბევრი შვილისა!

კვლავაც გქონოდეთ იმედად
სავსე ბეღელი ფქვილისა,
გიკურთხოთ შთამომავალი
მადლმა – ზედაშის ღვინისამ!

მტერიც თუ სადმე გამოჩინდეს,
მაფხიზლებელი ძილისა,
ისეთი თვალით უმზერდეთ
თქმა ვეღარ შეძლოს ძვირისა!

გაძლიერდით და გამრავლდით,
დღენი არ ნახოთ ჭირისა,
ლოცვა არ შემოგკლებოდეთ
უფლისა ენა-პირისა!



მეუღლეს

გიყურებ! ვიხსენებ ჩვენს ახალგაზრდობას,
ვიხსენებ იმ წლებს და იმ წუთებს შფოთიანს,
ერთმანეთს, დღეს უფრო, სხვაგვარად ვჭირდებით,
მომავლის განცდები თავისით მოდიან.

დრო ისე წავიდა, თითქოსდა არც იყო,
მსურს, კიდევ ვიცოცხლოთ, – ცდუნება დიდია,
დღეს უფრო ჩემი ხარ, ბევრი გვაქვს საერთო,
შეხედე, ჩვენ შორის რამდენი ხიდია!

სულ ცოტაც, დრო მოვა, ჩვენც გადავიქუხებთ,
სიცოცხლე ფერფლია – მტვერიც რომ არ რჩება!
გრძნობა კი, რომელსაც ერთურთი ვუძღვენით,
ერთ ლამაზ ზღაპრად და არაკად დარჩება!



როცა თავად აგტკივდება

ნუ იქნები უგუნური,
ნუ იქნები ბრიყვი;
თავით უნდა გაიაზრო,
სანამ ენით იტყვი!

იქნებ, სჯობდეს დაფიქრება,
ვიდრე ახსნი ურდულს,
თორემ სიტყვა, გასროლილი,
ემსგავსება შურდულს!

თუ არაფრად მიგაჩნია,
სხვისი ტანჯვა, ოხვრა,
თავად როცა აგტკივდება,
გონზე მაშინ მოხვალ!



თითქოს...

თითქოს მთელმა დედამიწამ შემაქცია ზურგი
და ცხოვრების ქარიშხალში დავრჩი მარტოდმარტო,
არაფერი არ მადარდებს და აღარ მსურს ახლა,
მხოლოდ ღმერთთან და ზეცასთან სიახლოვეს ვნატრობ!

ხვალის იმედს და ოცნებას შეეკვეცა ფრთები,
ჩემს ბილიკზე დაღლილი და ნაომარი ვდგავარ,
გულზე დალი დამამჩნიეს, შემილენეს ძვლები,
მაგრამ მაინც უფლის მიმართ უმადური არ ვარ!

ყველაფერი აირია, შემირყია რწმენა,
ბენვის ხიდზეც შემაყენა, მკაცრად მამცნო თავი,
რად ვიყავი მინდობილი, რად მჯეროდა მუდამ,
რად ვერ შევძელ თეთრისაგან გამერჩია შავი?

ახლა უკვე გვიანია თქმა და თითზე კბენა,
ტკივილებს და ცრემლის დენას აღარ უჩანს ბოლო;
თავდახრილი დავუყვები ჩემს დარჩენილ ბილიკს,
განაწამებ სულს და სხეულს, ღმერთს მივანდობ მხოლოდ!



მთავრობის მოწივზე – ნახევრად ხუმრობით

ერთი რამ ფიქრი მაწუხებს,
აღარ მანებებს თავსაო,
ვაი, თუ მოვკვდე ადრიან,
გული დავწყვიტო ქმარსაო?!
ვიცი, მიგლოვებს... მერე კი
არ დააყოვნებს ხანსაო,
კაცია, დარდს ვერ გაუძლებს,
გაატანს ნიავ-ქარსაო;
ბედის საძებნად, გულდაგულ,
კვლავ დაადგება გზასაო,
უმალ იპოვის საკბილოს,
ეუვანს შეაბამს ქალსაო;
დაიყოლიებს, თანხმობით,
ისევ დაიწერს ჯვარსაო,
ვინდა დამინთოს სანთელი
გადავიწყებულ მკვდარსაო?
მე კი თუ მარტო დავრჩები,
ვაი, ჩემ ცოდო-ბრალსაო,
იმისი სულის ცხონებად,
ლოცვით შემოვკრავ ზარსაო.
შავს არ გავიხდი ძაძებსა,
გულით ვიგლოვებ ქმარსაო;
ერთგული ქვრივი ვიქნები,
უფლის მადლისა და ძალსაო,
მტკერსაც არასდროს ვაჩვენებ
იმის საფლავის ქვასაო;
არცა გულს ვატკენ შვილებსა
და არ შევარცხვენ გვარსაო!



...

აგრერიგ გავლევ სიცოცხლეს,
არ შეურაცხვყოფ თავსაო, –
იმქვეყნად პატიოსნებით
მივეახლები ქმარსაო!

ხარის ბეჭი

უნებურად შებმულია გუთანში,
ჯაფა ახრჩიბს, ძლივსძლივობით სულდგულობს,
– გასწი ხარო! – უყიუინებს მეგუთნე,
თუმცა, ისიც როდი არი უგულო?

თითქოს პატრონს გაბრაზებით უყურებს,
არ გესმისო ჩემი ტანჯვა-ვაება,
მაგრამ მაინც მორჩილია ბედისა,
რადგან წერით ამ მახეში გაება!

ეს რა ხვედრი ერგო წილად უენოს?!
სატანჯველი ერთიორად იმატებს, –
ვინ დააცდის გაიხაროს, გალალდეს,
სანამ მხრებით მძიმე უღელს მიათრევს?

ხარის ბეჭი კაცის ბედთან მცირეა,
გაჩენის დღეც მწარედ რომ აგონდება,
თუ ამქვეყნად დაინახავს არავინ,
უფლით მაინც სამუდამოდ ცხონდება!



სულ არ ყოფილა ადვილი!

არ მოიშორა ღრუბელი,
ავდრიანია ზეცა,
გული, ფიქრისგან დაღლილი,
სულ ნამსხვრევებად მექცა.

ჩაწყდა, ჩაიქცა ჯებირი,
ჩაინგრა ნდობის ხიდი,
თურმე რა უცხო ყოფილა,
მე რომ ახლობლად ვთვლიდი!

საკუთარ თავთან ჭიდილით,
ცხოვრება განცდით სავსე,
სულ არ ყოფილა ადვილი!
მე კი... მეგონა ასე?!

მითხარი გალიგალ

გამათბე, რატომლაც სულშიაც აცივდა,
უკვალოდ გამქრალან მზიანი დარები,
ნუ ეძებ იმ გოგოს, ადრე რომ გიყვარდა,
ოცი წლით წინანდელს ვერ დავედარები...

მაგიუებს სიჩუმე – ნისლივით ჩამდგარი,
მახრიობენ დარდები – დღეების მპარავი,
თუ გინდა ვიცოცხლო, მითხარი მალიმალ,
რომ ქვეყნად, ჩემ გარდა, არ გინდა არავინ!



როგორც იქნა

როგორც იქნა, ავიარე აღმართი,
როგორც იქნა, დავიძევიდე გული.
ირგვლივ ფრთხილი თვალი მიმოვატარე,
რა ლამაზად გამივლია ხნული?!

ჩამომწკრივდნენ ოქრო გოგო-ბიჭები,
სიხარული გამიბევრდა მათი,
ლმერთო, ისე გამიმრავლე ყველანი,
აღარ მეყოს ძალა მათი დათვლის!

მე კი... დაღმართს ჩამაცდინე დაღლილი,
გული დარდით არაფერზე წუხდეს,
ჩემი ქვეყნის ძლიერების სიმბოლო,
მხოლოდ „მრავალუამიერი“ ქუხდეს!

ეტა ჟრელ კაპაში დამაპერა

ნეტა, ჭრელ კაბაში დამაბერა,
მუდამ სიყვარულის ქარი ქროდეს,
ჩემი შვილმომავლის სიკეთე და
უფლის მფარველობა უხვად მქონდეს!

მინდა განვეშორო შიშის გრძნობას,
გული არაფერმა გამიბზაროს,
ჩემგან სულდიდობით ნაფერებმა,
ყველამ უანგაროდ შემიყვაროს!

როგორ მანებივრებს ბედისწერა?!
რწმენას უფლის მადლიც შეემატა,
ჩემი ლოცვითა და თავმდაბლობით,
ალბათ, ამიხდება ყველა ნატვრა!



პეპის გული

შენი გული ჩამისახლდა გულში,
სხვა შეგრძნებით, სხვა სიცოცხლით ფეთქავს,
რანაირად ამიშფოთე სული,
სიყვარული გულის კედლებს ხეთქავს!

რა გრიგალი დამატებე თავზე, –
შენზე ფიქრი თავს მახსენებს მუდამ,
რა ვქნა, როგორ მოვერიო გრძნობებს?
ამ სიყვარულს სხვა გაძლება უნდა!

მომხვივი ხელი

მომხვივი ხელი, ჩამიკარი გულში ძალუმად,
კვლავაც შევიგრძნო შენი მკერდის ტკბილი სურნელი,
ისევ სიცოცხლის ცხრათვალა მზე დაგვნათის თავზე,
თუმცა აპრილის დაბრუნებას აღარ მოველი...

წარსულში დარჩა ატმის ხეთა აელვარება,
ჩვენ არ დავთმობდით, სიყმანვილემ თავად წაილო,
სინანულია, აპა რაა, გული რომ მოთქვამს?
ცხოვრება, მხოლოდ, ერთი ღამის სიზმარი იყო!..

მაგრამ ხომ კრძალვით გავიარეთ ჩვენი ბილიკი,
ახლა აღარ მსურს ძველი დარდი ისევ ამტკივდეს,
შენს დაღლილ მკერდზე დამაძინე, თუნდ ბოლო იყოს,
რომ ამ სითბოთი, თვით სიკვდილიც გამიადვიდეს...



შვილებთან სათქმელი

რაგინდ ნათელი დილა გათენდეს,
მზე ჩავა, მერე ისევ პინდდება...
ასეა ჩვენი სიცოცხლის ბედიც,
ნლებს ვაგროვებთ და ... გაგვიფრინდება!

სანამ ვარ, მინდა მკლავი მიჭრიდეს,
უქმად ყოფნა რა საკადრისია?!
რაკი უდელში ნებით შევები,
ბოლომდე მესმის ჩემი მისია.

გულს არ სჭირდება ზედმეტი ბიძგი,
უყვარს და ალბათ სიცოცხლეს დასთმობს,
ეს სიყვარული თქვენ ხართ, შვილებო,
თმებს თქვენზე ფიქრის ჭალარა ათოვს!

სიკვდილ-სიცოცხლის მაშინებს ზღვარი,
სხეულთან სულის გაყრა ძნელია,
დღეები, თქვენთვის ნაჭირმაგარი,
ვატყობ, თანდათან გამომელია...

და თუ ერთ დღესაც დაგემშვიდობეთ,
დასრულდა ჩემი ტანჯვა-წვალება,
ნუ დაიდარდებთ, სულს თქვენთან ვტოვებ,
არ დამიჯეროთ გ ა რ დ ა ც ვ ა ლ ე ბ ა !



მე მაიცც მჯერა

შენ გაემიჯნე თვალსაწიერს უცხო სიდინჯით,
ვერ მოგადევნე ცრემლიანმა მზერა მახვილი,
თუ არასოდეს დაბრუნდები ძველი ღიმილით,
მაშინ სიცოცხლე არ იქნება ჩემთვის ადვილი.

გამწირე, როცა შემოდგომის სიომ შემომკრა,
ახლა წარსულის გახსენება უფრო ძნელია,
შევაკონინებ ლამაზ დღეებს მოგონებებად,
თუ საამისო ძალა მთლად არ გამომელია.

კვლავ გულს მიჩუყებს ამბიონთან ნათქვამი ფიცი,
ამდენი ერთად სულ ამაოდ გამოგვივლია;
მე მაინც მჯერა, სიკვდილისთვის დაგენანები,
უშენოდ კვდომის ბოლო დღეებს რომ დამითვლიან...

ვნატრობ

საწუთროს ლაპირინთებში,
მე შენ ღიმილით გიპოვე,
გაჩუქე, რაც რამ მებადა,
სულილა შემოვიტოვე.

ამილაჟვარდდა სიცოცხლე,
ცაც სხვანაირად ლურჯია,
როცა შენ მეჩურჩულები,
მთელი სამყარო მუნჯია...

როგორ არ მინდა, უშენოდ,
გული ტკივილით აძგერდეს,
ვნატრობ, გავლილი ბილიკი,
კვლავ უსასრულოდ გაგრძელდეს!



ღვთის საჩუქარი

ტალღამ ბევრჯერ შემახეთქა ჯებირებს,
აზვირთებულ მორევშიაც მკლავდა.
სიცოცხლისთვის ბეწვის ხიდზე ვიომე,
ცხენი მუდამ შეკაზმული მყავდა!

ვერ შევძელი შეჩერება დინების,
წლები ჩუმად ჩემს სინორჩეს ხრავდა,
როგორ ვკადრო ბედისწერას აუგი,
როცა იგი ღვთის საჩუქარს ჰევდა?!

მიუყვაბი ნაოცნებარ პილიკებს

მივუყვები ნაოცნებარ პილიკებს,
არ მეგონა, გზა მელოდა ძნელი;
შენ ვინ მოგცა ნება ჩემო მოსისხლევ,
ნეტარ სულში მიფათურო ხელი?!

გითმენ, რადგან სათნოება მწადია,
გული დამაქვს ალალი და წრთელი,
მინდა, სული ზეცას დავაპინადრო,
შენ ნუ ცდილობ, შემიშალო ხელი!

ვხედავ, როგორ დასნეულდი შურისგან,
ნათელს როგორ გირჩევნია ბნელი!
შენ ჯოჯოხეთს მიაშურებ, უთუოდ,
მე კი – სულის უკვდავებას ველი!



ცეტავი, მამულო!

მითხარი მამულო, როგორი შვილი ვარ?
შენს სათუთ გულ-მეურდზე სულ რიდით ვიარე,
ცრემლებით ვკოცნიდი წარსულის ჭრილობებს,
სიფრთხილით ვკემსავდი ნატყვიარ იარებს.

ნეტავი, მანახა ქართველთა ერთობა
და ძველი დიდება ერის თუ ბერისა,
თავს ალარ დავეძებ, სიცოცხლეს დავთმობდი,
შენი მზის ამოსვლა თუ კიდევ მელირსა.

ქალი ვარ, არ ვდრკები, ომშიც კი წამოვალ,
ჩემ შემდეგ შვილებსაც ანდერძად ვუტოვებ –
რა წმინდა გრძნობაა, გიყვარდეს სამშობლო
და თუ ამ სიყვარულს ღმერთისას უტოლებ!

მტერი, თუ აქამდე, კარს იყო მომდგარი,
დღეს უკვე ჩვენ გვერდით სუნთქავს და ტრიალებს,
დრო დადგა დამთავრდეს ამათი ბოგინი,
სანამდის სამშობლო სულ გაგვიტიალეს!

ჰეი, შენ, ქართველო! გაფხიზლდი, გონს მოდი!
კიდევ სხვა განსაცდელს როგორლა გავუძლოთ?
ჩავკიდოთ ერთმანეთს მოყვასის ხელი და
სამყაროს ქართველთა ერთობა ვაუნყოთ!

იქნებდა გველირსოს ნანატრის ახდენა,
ყველა გზა სიკეთის ტაძრამდე მიგვყავლეს,
ნეტავი, მამულო, როგორც შენ გვიყვარხარ,
იმ გრძნობით ქართველებს ერთურთი გვიყვარდეს!..



პედი დამყოლია

ბევრჯერ ბრძოლაგამოვლილზე,
უცხო ფიქრი ამყოლია,
შიში ძრწოდა, როცა გულის
მოიმედეც არ მყოლია...
მერე შიში დამუქრებით,
გზად – ფეხდაფეხ გამყოლია,
თუმცა, ვერა დაუკვლია, –
გვერდით ღმერთი თან მყოლია;
მივხვდი, დღიდან გაჩენისა,
მართლა ბედი დამყოლია!

სამდურავი ალევორია

რად წევხარ გარინდებული,
მინდვრად გაჭრილო მწევარო,
შენი შემყურე, სიბრაზით
მშვიდად ვეღარა ვწევარო.

სულ მინა-მინა გოგმანებს,
მწყერი ნამკალში ბევრია.
წელი ნუ გწყდება, ლოდინში
სიბრაზე შემომერია.

ტყვია მიზანში მოვარტყვი,
გაფრენილს თოფის სმაზედა,
ფეხები უკან რად გრჩება,
რად ვერ დახტიხარ გვარზედა?

გაფხიზლდი, მელა დაგასწრებს,
სანამ ადგილზე მიხვალო,
დროზე, საქბილო მომგვარე,
ჩემს ლუკმაზედა ზიხარო!



მონატრეპა

როგორ მენატრება! მტანჯავს შემოტევა
გულში ჩაკირული სევდის,
უკვე არაფერი აღარ მიხარია,
ნახვა ისე მინდა დედის!

ვჩქარობ ამიტომაც, დღეებს ვეშურები,
სანამ ბედი მერგო გედის,
„არაო, შვილო, შენს თავს გაუფრთხილდი!“ –
მესმის შეგონება დედის!

მტკივა უმისობა, სახლი, ეზო-ყურე,
მიმძიმს განაჩენი ბედის.
სხვა თუ არაფერი, ისევ შეიგრძნობა,
მძაფრი სურნელება დედის!

იქაც მელოდება, სულაც არ მაღელვებს
განცდა – შიშისა და ელდის,
ვიცი, ყველა ტკივილს უმალ დამიამებს,
ერთი მოფერება დედის!..

...

თურმე, როცა შვილი, მშობლის საფლავს ტირის,
ესეც წყალობაა ბედის!



რატომ გვურთ?

დავდივარ, დამაქვს მზე და ღიმილი,
გგონიათ დარდი ალარ მაწუხებს?
ვმალავ და ვნიღბავ გულის იარას,
ვებრძვი მოჭერილ რკინის მარწუხებს!

ან რატომ გიკვირთ, რომ არ ვწუნუნებ,
გგონიათ ყოფა მე აღარ მიჭირს?!
მაგრამ მომავლის იმედით ვცოცხლობ,
მკლავი და მუხლი ჯერ ისევ მიჭრის!

რატომ გშურთ? რაც მაქვს – სიალალეა,
ჩემი შრომით და მარჯვენით ვპოვე,
სადაც კი წავალ, დაუშურველად,
ყველგან სიკეთის ნაკვალევს ვტოვებ!

დამლოცე ღმერთო! უძლურებისას
შენი სიქველე ისევ მაჩვენე
და ჩემი სულის უკვდავსაყოფად,
წყალობის ხელი შემომაშველე!



იყო და... არც რა იყო!

თვალში გამქრალა სხივი,
ღანტვიზე ცრემლის ზღვა ბრნეინავს,
ო, სიყმანვილევ, ჩემო,
რა ტკბილი ძილით გძინავს?!

დრომ გაიყოლა ურჩად,
ძალა – ბრძოლის და განსჯის,
წლებით ნაწრთობი გულით,
კვლავ ბავშვობაში დავრჩი...

ცის თაღს ხელებით მივწვდი,
როს სიდიადე მწამდა,
მსურდა – უუჟუნა წვიმდა,
მსურდა – ცხელი მზე მწვავდა!

მაინც ვერ ავცდი შავ ფერს,
გზამ, იდუმალმა, მიხმო,
მიდის სიცოცხლე ჩემი,
იყო და... არც რა იყო!

დრო მოვა

არ მჯერა, თავს კი მაინც ვიტყუებ,
დრო თითქოს შველის დარდს და იარებს,
არადა, ბევრჯერ ფეხვეშ გამთელეს,
ბევრჯერ გულზედაც გადამიარეს....

მე რა ვუწამლო ტანჯულ ქვეყანას?
ცოდვის მდინარე ჯებირს მიანგრევს,
დრო მოვა, როცა თავად უფალი,
ყველას საკადრის პასუხს მიაგებს!



მარტო ვარ

ეკლიანია სავალი,
ნისლი აძნელებს გზას,
მივყვები ხელისცეცებით
იმედს და გულისთქმას.
არავინ მოსჩანს იმედად,
არავინ არ მცემს ხმას,
ეს იდუმალი სიჩუმე,
ნეტავ, მიქადის რას?
მარტო ვარ, ჩემი ტკივილი
ვერ შევასმინე სხვას,
ვაჲ, თუ ტყუილად ვირჯები,
ამაოდ ვეძებ ხსნას?!

როგორ გამიჭირდა დაჯერება –
დარდი ავადევნე ნისლებს;
ქარის მოტანილი სიყვარული,
ქარმა გამომტაცა ისევ...

თავი შემაპარა მარტოობამ,
უბრად ატუზულმა კართან,
ვიცი, ვერაგულად მაახლოვებს
ჩემი დასასრულის ზღვართან.

ბედით დანისლულმა ბილიკებმა,
თვალზე გადამაკრეს ბინდი,
ო, რა შეუმჩნევლად ჩატეხილა
ნლობით ნაშენები ხიდი?!



ხვალინდელი სინამდვილე

ახლა, როცა, მზის სხივების აღლუმია,
როცა ირგვლივ სიყვარულის დარია,
დაღლილ გულში უცხო სევდა მომეძალა,
გზები ჩემი უცნაურად არია.

შიშით მაკრთობს ხვალინდელი სინამდვილე
და ფიქრებიც, უჩვეულოდ, მწარეა,
კვლავ, წარსულის ტყვეობაში, დარჩენა მსურს,
მის აჩრდილთან ყველაფერი მდარეა!

ცის კიდესთან დღის სინათლე იყარგება,
იმის იქით საუკუნო არეა.
როგორ მტკივა ხვალინდელი სინამდვილე,
ვიცი, შენთან განშორება მწარეა!

ბოლო დღეები უდია ავთვალო

მე დაღლილი ვარ! მოკვდა საწუთრო,
არ ვიცი რა მჭირს, რად მღირღნის დარდი?
ვერ გადავცურე ზღვა ოცნებების,
სადღაც, ტალღებში გავუჩინარდი...

გულში გულდაგულ გადამალული,
უთქმელი დარდი როდემდე ვმალო?
სულის ხსნა მხოლოდ ზეცაში მელის,
ბოლო დღეები?.. უნდა ავთვალო!



სიყვარულის გაღლი

არ ვყოფილვარ მოტრფიალე
სიმდიდრეთა, განძთა,
უქონელსაც არ მქონია
სიღარიბის გაცდა.
არასოდეს მიფიქრია
სიძულვილი კაცთა
და სიკეთის თესვისათვის
ყველა რისხვა ამცდა!
თუმცა, მტერი ჩემ გარშემო,
უამრავი გაჩნდა,
გულს კი, მხოლოდ ერთგულების,
ნაკვალევი აჩნდა.
ყველაფერი გაილია,
ყველაფერი გაცვდა,
მაგრამ მადლი სიყვარულის,
მთელ სამყაროს გასცდა!

გულმა, სიყვარულს ნაფიცმა,
ყველა სადარდელს გამყარა,
დათრგუნა ღამის წყვდიადი,
მზის სხივი გადააფარა!
მეც მინდა, ასეთ ტრფიალში
იყოს მწველი და თაკარა,
ბავშვივით მუდამ ალალი,
მთის წყაროსავით ანკარა;
თავბრუდახვევით მიყვარდეს,
მაგრამ მაინც არ მაკმარა!



თხილის გული

ერთი თხილის გული მქონდა,
ვერ გავცვალე კაკლის გულში,
მაგრამ ხელი არ შემშლია,
უპოვართა სიყვარულში.

ცოტა ყველას ვუწილადე,
უფლის მადლიც დავიხმარე,
სხვას რომ შვება მოვუტანე,
მეც კი წელში ავიხარე!

ჩემთვის არა ვინდომე რა,
მადლი გზაშიც დამეწევა
და სიკეთის საზღაურად,
ღმერთი ისევ შემეწევა!

რა სჯობია, სიცოცხლეში
სამოთხის კარს რომ შეაღებ?
შენთვის არა გეპოვება
და სხვას მაინც უწილადებ?!

სიკეთე რომ უხვად თქსო,
არ სჭირდება ბევრი ფული,
მკერდში უნდა ძგერდეს მხოლოდ,
მოწყალე და „დიდი“ გული!



პევრი არ მსურდა

თუ განაჩენის დადგება უამი,
გამიშვით, გზას წუ გადამილობავთ!
მომწყინდა ყოფნა უაზრობაში,
დიდი ხანია, მინაზე ვხოხავ...
წავალ და წავალ, არც დამიტიროთ,
ცრემლი ხომ მაინც ვერაფერს შველის?
დარჩენად არ ღირს წუთისოფელი,
ბედნიერება თუ აღარ მელის...
მთელი სამყარო გულში ვიხუტე,
სულმა კი შვება ვერსაით ნახა,
ბევრი არ მსურდა, მინდოდა მხოლოდ,
ჩემი მამულის წინსვლა მენახა...

რა ვიცოდი?!

როგორ უცებ გამეპარა სიცოცხლე,
ვერ გავუგე, დრო რა მალვით მიჰქონდა?!
სადაც ბედმა გზა და ხიდი დამიგო,
ყველგან ჩემი გულის სითბო მიმქონდა!
ბოროტების ვიყავ ბასრი მახვილი,
სიკეთე კი მუდამ თვისად მიხმობდა,
სადაც წაველ, სადაც თვალი მიმიწვდა,
სიყვარულით სავსე გული მიმქონდა!..
...და იმდენი მზე და სითბო ვაგროვე,
ყველა ცუდი გზას უომრად მითმობდა,
გულს თუ ცივად ჩაუვლიდა ნიავი,
ისევ ჩემი სიყვარული მითბობდა!
ვერ ჩავტიე გადაქანცულ სხეულში,
სული, მუდამ, სამსხვერპლოზე მიმქონდა,
რა ვიცოდი, რად ვენვალე ამდენი,
თუ წლებს ასე უმოწყალოდ მიჰქონდა?!



სხვაა სოფელი!

შემტრედისფერდა განთიადი, სხივჩამდგარ რიურაუს,
მომავლის კვალი, სასიკეთო, უხვად ატყვია.
მამლის ყივილი თუ არ მამცნობს ყოველ ალიონს,
მითხარით, ასეთ სიცოცხლეში აბა რა ყრია?

ნამიან ბალახს ხელისგულებს კრძალვით შევახებ,
ნამძინარევი სახეს ცვარით გადავინამავ,
მაშვის გალობა ნანასავით ჩაახშობს ტკივილს
და სიამისგან განცხრომილი თვალებს მივნაბავ.

ფოთოლი ფოთოლს შეაფხიზლებს დილის ნიავზე,
ნის კენწეროდან გადმომძახებს „ბიჭო გოგია“,
ჩააგვირისტებს თავის სათქმელს ყელმოღერებით,
სხვა სასწაული ამ სიტკბოსთან მონაგონია!

მიყვარს ჩრდილიან ორლობები ურმის ჭრიალი,
ხარებს შრომის და ერთგულების ადგათ უღელი,
მგონია, მუდამ პატარა ვარ და პაპის გვერდით,
პაატასავით, ჩემს სამშობლოს ლალეს ვუმღერი!

წყაროს რაკრაკი გულის ძგერას აახმიანებს,
ისევ წარსული მიბრუნდება, ისევ ვმაისობ,
როცა მოხნული მინა აფრქვევს ნოტიო სურნელს,
მგონია, უკვე შემოდგომაც ხვავით აივსო!

კაკლის გრილოში ჩამოვუვლი მოხუც მეზობლებს,
მოვეფერები და შევუქებ ქართველქალობას,
მადლიერებით დამლოცავენ და ავმაღლდები,
როცა ზეციდან მოუხმობენ ჩემთვის წყალობას!



სხვაა სოფელი!..თვითონ გულიც სხვაგვარად ფეთქავს,
სხვანაირია ამ ცხოვრების მძიმე უღელიც,
მაგრამ მიყვარს და სიყვარულსაც უტყვად ვნებდები,
რადგან ეს არის ჩემი სულის ნავსაყუდელი!

დარდო...

დარდო, გულში მოჩვეულო,
როგორ ცდილობ შიშით მკლავდე?!
რა გინდ ზვირთად შემომასკდე,
მაინც შევძლებ გაგიმკლავდე!

გამეცალე, გზას ნუ მირევ,
ჩემთან, მჩაგვრელს, რა ხელი გაქვს?
ქარი ლრუბელს რომ გადაყრის,
ეგ მუქარაც უკან მიაქვს!

რამდენჯერაც ცრემლი მკერძე,
ღვთის იმედით შევიწმინდე,
მითხარ, შენით ვინ მომკვდარა,
მე რომ მართლა შეგიშინდე?



მარინა, სადღაც მიმეჩქარება...

დარდმა და ფიქრმა შემაჭრა ფრთები,
გზა ამიჩქარეს ზურგის ქარებმა,
მეც თავდახრილი მივყვები უხმოდ,
მგონია, სადღაც მიმეჩქარება...

რა დარჩა უკან? თითქოს არცა რა?!
დღენი მომავლის ფიქრში ჩათავდა
და მაინც, ვიბრძვი მუხლჩაუხრელი,
სანამდის მართლა სული გათავდა!

ვერ ვიახლოვე მწვერვალი, შორი,
ლოდინმაც როგორ ჩუმად დამლია?!
ცრემლისგან მეწვის მჭკნარი ღაწვები
და გულში წასვლის ნალვერდალია...

ნუთუ მართლა?!

ისევ გაწყრა ღმერთი ჩვენი,
შინ თუ გარეთ ხმაურია,
უთავბოლო განკითხვების
დიდი აურზაურია!

შიმშილმა და სიდუხჭირემ
ხალხს გონება აურია...
ჩანს, რომ ვიღაც ავისმდომმა
ტკბილში შხამი გაურია!



ქართველის ჩივილი

ვით დღემოკლე პეპელა,
დავფარფატებ ეულად,
ნუ დამძრახავთ, თუ მნახოთ,
მართლა გადარეულად...
რა ვქნა, ისევ მაწუხებს
ბედი საქართველოსი,
მე არა ვარ დამთმობი
ამ მთისა და მდელოსი;
მაგრამ მტერთან ჭიდილშიც
ძალა გამომეცალა,
ყველა ჭირმა, ვარამმა
სულ ჩემთვის მოიცალა...
ისევ ბოლო არ უჩანს
შუღლს და დავიდარაბას,
კაცი, ასეთ ყოფაში,
სულს როდემდე გაატანს?!
წელში ვეღარ გავსწორდი,
გულშიც სულ განგაშია,
ვერ გავიგეთ, ჩვენი ხსნა,
მხოლოდ ერთობაშია!
როდის ამოვისუნთქავ,
მწუხარებით აღვივსე,
მე თუ არ მელირსება,
ლმერთო, შვილებს ალირსე!



ერთი დრო ვის შერჩა?

მიყვარხარ!.. რა ვუთხრა სიმორცხვეს?
მე ამის თქმაც მიჭირს მუდამ,
ცხოვრება სულ ერთად გავლიეთ,
მეტი ხომ არც არა მსურდა.

შენ ჩემი სიცოცხლის შვება ხარ,
მე კი – მზის ამოსვლა შენი!
ჩვენ ერთმანეთის ღრმა ტკივილს,
თუნდ ერთი ამბორით ვშველით!

თანდათან მოკლდება ბილიკი,
სიკვდილი თუ გაგვყრის მხოლოდ,
ვინ იცის, როგორი იქნება
ნატანჯი სიცოცხლის ბოლო?

ჩავა მზე, ზეცა თალხს გაიკრავს,
გატყდება დათქმული ფიცი,
ერთი დრო ვის შერჩა ამქვეყნად
და არც ჩვენ შეგვრჩება, ვიცი!

შაჲანით მოვდევ

ჭაპანით მოვდევ ჩემ გზასაძნელოს,
მხრებჩამოცლილი სად არ ვედები?!
რა ვქნა, იმდენი მწარე მაგემე,
საწუთროვ, ალარ მეიმედები!

მადლობა უფალს, მისი შეწევნით,
სიკეთის მუხლი მაინც მოყვარე,
მრავალი თვალის ვიყავ სამიზნე,
ზოგი მტერი და ზოგიც მოყვარე...

მაგრამ დამშვიდდი, ნუ ბორგავ გულო,
მტერი ბოლმისგან გათანგულია!
გახსოვდეს, სწორედ მაშინ ჩანს იგი,
როცა შენ ირგვლივ სიხარულია!

ისევ დავითოროთ ჯვარი! მეუღლეს

როცა გამეყრება სული,
როცა ვესტუმრები ზეცას,
მინდა, სიყვარულის ნიშნად,
ისევ თეთრი კაბა მეცვას!

მხოლოდ სიხარული თოვდეს,
შვებით დავფრინავდე ცაში;
წლები არ მახსოვდეს ავად,
ვერცხლად გაჩერილი თმაში.

შენ კი... არ იჩქარო მოსვლა,
ჩემი ნუ გექნება ჯავრი,
იქაც დაგიცდი და მერე...
ისევ დავიწეროთ ჯვარი!



გთხოვ, უფალო!

როცა ირგვლივ ქაოსია,
რა მამყოფებს მშვიდად?
ნუთუ ჩვენი წინაპარი
ოფლს ამისთვის ლვრიდა?

ღამეს თეთრად ათენებდა,
სასწაულებს ქმნიდა,
მომავალის შენებაზე
თავს მოვალედ თვლიდა!

ზურგს არასდროს უჩვენებდა,
მტერს შიშის ზარს ჰგვრიდა,
ჭირშიც, ლხინშიც, მადლიანმა,
მძიმე ტვირთი ზიდა!

მამულს უფალს ავედრებდა,
მუხლს მორჩილად ხრიდა,
რადგან მტერი, მუხანათი,
ჩუმად საფლავს თხრიდა.

უფალიც არ აყოვნებდა,
ჯვარს სახავდა ციდან,
სისხლი სისხლზე ინთეოდა,
მოქნეული ხმლიდან!

მერე, მტერზე მორეული,
ფრთებს ნელ-ნელა შლიდა,
შეჭირვებულ უამთა დგომას,
ლხინის ექო ცვლიდა!



ԿՎԼԱՎ ՄՇՎՈԴՈՒՅԱՍ ՑԵՐՈԲԾԸՆԱ,
ՄՎՈԼ-ՄՈՄԱՎԱԼՍ ՏՎԼՈՒՅԱ,
ՆԻՆԱՊՐԵՒՅԻՍ ՍԱԿԱԺՐՈՍԱՎԱ,
ԸՆՈՐՍԵՍԱԼԵՅԸՆ ՑՐԾՈՒՅԱ!

ՄԵ ԿՈ, ԾԱՌԵՍ ՏԵՎԱ ԳՈՂՋՐՈ ՄՔԱՆՋԱՎԵՏ,
ՍԿԱՆ ԵՍ ԾԱՐԾՈ ՄՔՈՐԾԱ,
ԻԵՄՈ ՄԻՆԱ, ՏԱՖՈՒԱՐՈ,
ՐՈՐՈՐ ԾԱՄՈՄՑՈՐԾԱ?!

ԳԹԵՄՈՎ, ՍՊԱՎՈ, ՇԵՄԱՆԿԵ,
ԸՆԿՎՈՎԻՍ ՄԱԾԼՈ – ԵՄԻՆԾԱ,
ԻԵՄՈ ՏԱԼԽԻՍ ԵՐՏՈՒՅԱ ԾԱ
ՏՈՎԾՈՎԵՐԵ ՄԻՆԾԱ!

ԿՎԼԱՎ ՕՄԵՇՈՒՅՈՒՆ, ՎԼՈՎԿԱՎՈՒՅՈՒՆ,
ՍՎԵԳԻՇԿԵՐՈՎԼՈՎԻՍ ՏԱԳԵՅՏԱՆ,
ԸՆԿՎՈՎԻՍ ՄԱԾԼՈ, ԿՐՈՎԵԼՈՎՈՎԻՍ,
ԸՆԿՎՈՎՈՎԻՍ ՄԱԾԼՈ, ՄՄԱԳԵՅԾԱ;
ՄԱԳՐԱՄ ՎԵՐ ԱՄԱՌՈՐԱ
ԾՐՈ – ԿՐԿՆՈՎՈ ԾԱ ԳՐԱՆՋԱՎՈՒՅՈ,
ԿՎԼԱՎ ՕՎԱՐԵՄՆՈԼՈՎ
ՆԻՆԱՊԱՐՏԱ ՄԱՄԿՆՈ!
ԿՄԱՐԱ, ՐԱՎ ՐՈԹ ԵԲԱՄԱ,
ՐԱՎ ՐՈԹ ԿԵՎԵԼՇՈ ՍՎԼՈՎ,
ԱՆԾԱ, ՐՈՐՈՐ ԳԱՇՎԾՈՎ,
ԾԵՇՈՒՅՈՒՆ ՐԱ ԳՐԱՆՋԱՎՈՒՅՈ?!
ՍԿԵՐԵՍՈՎ ԸՆՎՈՒՅՆ
ՍՎԵՏԵՎՈՎ ՄԱՎԵՎՈՎ
ԸՆՎՈՒՅՆ ԱՐ ԾԱՄՈԿԱՐԳՈ
ՄԵՆՈ ՐՆՄԵՆՈՎ ՕՄԵՇՈՒՅՈ!



თუ მაგრად ჩამიკრავ გულში

ნუ მიმზერ ჩამქრალი თვალებით,
ნამოვალ, ჰო, სადაც გინდა,
ვერ ხედავ? მაისის თქეშია,
გუშინაც საოცრად წვიმდა.

ნამოვალ!.. ხომ გჯერა, ამ გულმა
თავისი საზღვრები იცის,
ბოლომდე ერთგული იქნება
რჩეულთან ნათქვამი ფიცის!

ნამოვალ!.. სიცოცხლის ფერებით
სიმშვიდეს მოვუხმოთ სულში,
იწვიმოს, წვიმა რას დაგვაკლებს?
თუ მაგრად ჩამიკრავ გულში...

ვტირი!..

ვტირი!.. და ჩემი ცრემლების წყარო,
უწყვეტ ნაკადად მოედინება...
შევგუებივარ ტიალ საწუთროს,
უხმოდ მოვყვები დროის დინებას.

მტკივა!.. და მარტო ტკივილს კი არა,
უძლურებასაც არ უჩანს ბოლო,
ხვალის განჭვრეტით იმედიც არ ჩანს,
რომ ცოტა გული გადავაყოლო...

მტკივა ყოველი გამოთხოვება,
გაუფერულდა ლალი ცხოვრება,
მაგრამ სულ ბოლო ამოსუნთქვამდე,
ყველა ტკივილი მემახსოვრება.



დეკამერის სუსტი

მახსოვს ჩემი ადრიანი გაზაფხული,
თოვლქვეშ მაღვით გარინდული ენძელები,
სიჭაბუკევ! დღეს ორმაგად სასურველო,
რა ვქნა, ჩემგან განშორებად მეძნელები!

რა ტკბილი ხარ, რა დარდი და მონატრება,
უფრო მეტად საჭირო და სასურველი;
სად წავიდა, როგორ გაქრა ასე უცებ,
ის ძალა და ის ხალისი საკვირველი?!

უკვე მძლავრობს მადლიანი შემოდგომაც,
თავს მევლება და სიუხვით გულს მიხარებს,
ვერ ვიკადრებ, რომ აუგი დასცდეს ენას,
ვიცი, ისევ ცივ ნიავს არ მომაკარებს!

მაგრამ ზამთარს ვინ დაუშლის კართან მოსვლას?
იმედებსაც, სადღაც, შორეთს მომიფანტავს
და დეკემბრის სუსხიანი სისასტიკე,
თეთრი ფიფქით, თეთრ სამოსელს მომიქარგავს!



ვერასდროს გაგიგეორებ!

ყველაფერს თავის სახელი ჰქვია,
ნაჩუქარ გულზე ხელი მიკარი,
ის გზა, რომელიც ერთად ვიარეთ,
უკვე გამხდარა ნაბილიკარი!

მე ახლა ვგავარ უმთვარო ღამეს,
აღარ მოგელი, აღარსად გეძებ,
ამ უიმედო მდუმარებაში,
ვიცი, რომ უკვე ვერაფერს შევძლებ!

შენ იყავ ჩემთვის მთელი სამყარო,
სხვა ყველაფერი იყო მეორე.
თუმც, უშენობის ტკივილი მტანჯავს,
მაინც ვერასდროს გაგიმეორებ!

ერთი კაცის წილ ხომ გავისარჯე?
შენ იცი მხოლოდ ღმერთო, ძლიერო!
მე რაც შევძელი, სიკეთე ვთესე,
არ მითხოვია სამაგიერო.

დიდი წინაპრის კვალში ჩავდექი,
მძიმე უღელი შვებით ვატარე,
ღმერთო, როგორიც აქამდე მოველ,
ბოლომდე ასე ფრენით მატარე!



სიცოცხლე – არაფერია!

ზოგჯერ საზღვრების მიღმაც გადადის,
ბედნიერებას თუ აქვს საზომი,
თუმცა, ვერ უძლებს აღმა დინებას,
მკაცრად ტრიალებს დროის წამმზომი.

ბედის ვარსკვლავი ისე უღიმის,
ზოგს არაფერი აღარ სწყურია,
ხომ ბედნიერი ჰგონია თავი,
რაღაცით მაინც უბედურია.

ზოგს ცოტაც ჰყოფნის ბედის წყალობად,
ზოგისთვის შვება ბევრი ფულია!
მე კი მჯერა, რომ ბედნიერება
ერთგულება და სიყვარულია!

ასე მწამს, მინდა ასე იწამოთ,
უფლის ნაბოძი განა ბევრია?
სანამ ვართ, გული გავუთბოთ ერთურთს,
თორემ სიცოცხლე არაფერია!



აღდგომა

ვნების კვირაა და კვლავ გლოვობს სხეული,
კვლავ ითმენს ტკივილებს უფალი იქსო,
ურწმუნო იუდა მზაკვრობამ ამხილა,
თუმცა, თვით უფლისგან მას არა მიეზღო!

ვერ სძლია ბოროტ სულს, ვერც შურს და სიხარბეს,
ვერცხლი ხომ მუდმივად, მაცდურად ბრჭყვიალებს,
გაჰყიდა! ბოლოს კი სასტიკად ინანა,
როს ჩასწერდა გონებით იქსოს იარებს...

ამბობენ, როდესაც ჯვარს აცვეს ვნებული,
უეცრად მზის სხივმა დაჲკარგა ნათელი,
შეიძრა მიწა და კედლები გადასკდა,
არსაით ბუტავდა თუნდ ერთი სანთელი...

და როცა ალსრულდა, ცას მისწვდა წამიერ,
შეილმკვდარი ღვთის დედის საზარი გოდება!
დღეს ვინც ამ ტკივილებს თავისად განიცდის,
გვახსოვდეს, უფლისგან მარადის ცხონდება!

მის საფლავს კვლავ მოსავს დიდების ნათელი;
ჩვენც, ნიშნად თაყვანის, თავი ძირს დავხაროთ,
ერთმანეთს ნუგეშით ჩავჭიდოთ ხელი და
უფალი იქსოს ა ლ დ გ ო მ ა ვახაროთ!



უთქმელი დარღი

მეგონა, სალი კლდე ვიყავი,
არაო! – მითხრეს და მეწყინა;
უეცრად, ფეხი რომ დამადგეს,
ვერ შევძელ, სასტიკად მეტყინა.

ტკივილმა სიკვდილი მანატრა,
დავწყევლე სიცოცხლის გაჩენა,
არ მიღირს ფეხებქვეშ გათელილს,
ამქვეყნად ტანჯულად დარჩენა...

მიმძიმს და თავს მაინც ვიტყუებ,
გული კი სნეულად აგდია!..
დღეს მივხვდი, ყველაზე სასტიკი,
სწორედ, რომ უთქმელი დარღია!



მე რომ წავალ...

მე რომ წავალ, ალბათ ძლიერ დაიდარდებ,
შენი ცრემლი მთელ სხეულზე დამეღვრება,
ვიცი, წარსულს გაიხსენებ დანანებით,
რას გააწყობ, როცა მიწა დამეყრება?

გული მკერდში ისე ჩუმად ჩაგემსხვრევა,
არ შეგრჩება თუნდაც ერთი ნატეხარი,
უთქმელ დარდად მოზვავდება უჩემობა,
დამუნჯდები, როგორც მუხა – ნამეხარი.

უჩვეულო განცდებისგან დამძიმდები,
ტკივილი კი ჩაგირაზავს ლხინის კარებს
და დღეები, სიყვარულით ნაფერები,
გავრიყავს და ახლოს აღარ გაგიკარებს!

მე კი...შენი სიბრალული თან გამყვება,
უნდა შეძლო და ტკივილი მოითმინო,
როცა სანთლით გამინათებ გზასავალზე,
იქნებ, ჩემი ჩუმი ლოცვაც მოისმინო.

თუ არა და... მაშინ ტყუილს მოვიგონებ,
რომ როგორმე ამოგყარო გულის დარდი,
უნდა გითხრა, რაც აქამდე შევინახე,
უნდა გითხრა, რომ არასდროს არ მიყვარდი!



ყური უგდეთ

ყური უგდეთ, სამრეკლოდან,
კვლავ განგაშის რეკავს ზარი,
ვატყობ, მასაც ჩვეულ ხმაში
გასჩენია უცხო ბზარი?!

ენგურს გაღმა ტკივილია,
ისევ მღვრიე მოდის წყალი,
უარესის მოლოდინში,
ვერ მოვხუჭე მშვიდად თვალი.

თითქოს, ჭირი არ გვემაროდა,
მოგვიმრავლდა უცხოს კვალი,
გულს, სამშობლოს სატკივარით
გასჩენია ცეცხლის ალი...

დროა! ერთურთს შევეხიდოთ,
სიკეთისთვის მივცეთ მხარი,
კვლავ საჯივგნი არ გავხადოთ
ჩვენი მიწა – ნაოხარი!



დედა

იები მოსულან, როგორ ვერ შევნიშნე?!
ჩუმად მილიმოდნენ გუშინ,
ისევ ტკივილები გამიახლეს,
ხსოვნად შერჩენილი გულში.
თავბრუდახვეული, სურნელს დავეწაფე,
ასე რად ვამსგავსებ დედას?
მგონია, მის სულშიც მარტია და
ისევ გაზაფხულად ფეთქავს.
წლები წარსულიდან მომიბრუნეს,
იებს, გულში ჩაკრულს, ვხედავ;
სანამ ვარ – გაზაფხულად იყვავილებს,
სანამ ვარ – სულ იცოცხლებს დ ე დ ა!

რა ვერაგია სასოწარკვეთა,
ჩემთვის სასჯელი ეცოტავება!
რამდენჯერ სცადა აპობოქრება,
რომ სიკვდილისთვის მხარი აება.

ჩაბნელებული დილის ლაჟვარდი,
ბევრჯერ აღარც კი შევარდისფერდა,
მაგრამ იმედი რომ მქონდა ხვალის,
გულიც ამიტომ მრავალს ითმენდა.

მაინც არ მესმის, რად მემუქრება,
ჰგონია, თითქოს ცოდვით ქვაც იწვის,
მე მხოლოდ ბედის ვარსკვლავის მჯერა
და რას მიპირებს, მხოლოდ მან იცის!



სიყვარულით ნათქვამი

ნუ დამითვლი დაღლილ შუბლზე ნაოჭებს,
ნუ ჩამხედავ ღონემიხდილ თვალებში,
ვიცი, გული გეტკანება უთუოდ,
დაიდარდებ, წლებს რომ ვერსად გავეშვი.

თუმც სიცოცხლე არ ყოფილა მარტივი,
ვერ შეგვაკრთო ამ ცხოვრების სიმძიმემ,
სიყვარული, ჩვენს გულებში ნაწრთობი,
ცაზე, ახლა, ვარსკვლავებად ციმციმებს!

დღეს, დახუნძლულ უბე-კალთას შევხარით,
ამ სიმდიდრეს ქვეყნად რა შეედრება?
თვით უფალს კი, ამ სიკეთის შემოქმედს,
არ მოვაკლოთ ჩვენი ლოცვა-ვედრება.

სანამ შევძლებთ, სანამ მუხლი აიტანს,
ერთად შევხვდეთ სხივშეპარულ ალიონს
და რაც დაგვრჩა ღვთისნაბოძი დღეები,
ერთმანეთის მოფერებით გავლიოთ!



ღვართო დამიუკარე!

მე ჩემი გაჩენის დღეს ვეხოტბები,
ბედი ბედნიერი დამანათლა
და რაც გულში მქონდა საოცნებო,
ყველა მოლოდინმა გაამართლა.

უფლის შემწეობის იმედი მაქვს,
ჩემი მხრების ტვირთი შვებით ვზიდო,
მინდა მოძმისთვისაც გავისარჯო
და მას გასაჭირში შევეხიდო.

მხოლოდ სიკეთისთვის დავიღლები,
ჩემი სიალალე კვლავ დამიცავს,
ღმერთო, დამიფარე იმ განცდისგან,
ფუჭად ვამძიმებდე დედამიწას!

ბევრჯერ სასოწარკვეთით,
ცხარე ცრემლი დავლვარე,
მტერო, გულდათალხულო,
ავი თვალი მაკმარე!

ბედისწერაც მაწვალებს,
ხან ისე და ხან ასე,
მე რომ წავალ იმ ქვეყნად,
ჩემს სამარეს ავავსებ...

შენ კი ცოდვებს რას უზამ,
რად იყიდებ ლოდებად?
იცი? შენი სამარე
მხოლოდ შენ გელოდება!



ԻՆ ԾՐՈՍ ԱՏԱԿՈԱ ԱԿԸՆԴԱ?!

Ճարշետ Սյուրնելուա մոնիս,
միջուկ և անոց այդեզնա նյութու;
աելա Շեմովարդու տուրքուս,
գրծնունքա գամիելու գյուղու!

Ռոգոր տպուտնենքոնքս դա անցոնքս,
մյ առ մյեզուտենքա արաս,
մթկուցու համուսաթլու սյուլութու,
ծայրանքու մուտմացենքս ժալաս!

Տուրքմուս ճամացունցու պատահ,
ճարդու ույ րամ ույու գյուղու,
օլուզ ճամունքունա ուս ճրու,
Ռուպա կը պատու գյուղու նյութու!

Ճուղու, համեթությ հյեմու,
րա ճրուս ատակու աելա?
Տանամ Տուրքարուլու մելազրոնքս,
հյույն առ գյուղու գյուղու ճալլա!



მოძღვარო!

მოძღვარო, მანიშნე გზა, საით წავიდე?
სიცოცხლეს გავედრებ, შეშლილს და ცოდვიანს,
მე მიმძიმს, შენს მხრებზე ჩემიც რომ იტვირთე,
რამდენი შევცოდე და არც კი მცოდნია!

მასნავლე ტკივილის ბოლომდე დათმენა,
ჩემს ყოველ ნაბიჯზე სინანულს განვიცდი,
მომეცი უფლება, რომ ბევრჯერ გაგენდო,
გაიღე წყალობა, თორემ დრო არ იცდის!

მჯერა, რომ მომისმენ და გულის სატკივარს,
მეც სანთელს ვუამბობ, შენს თვალწინ ანთებულს,
მარტო ჩემს თავს არა, სამშობლოს გავედრებ,
ქვეყანას გავედრებ, ტანჯულს და წამებულს!

დარღვა გამტეხა დამისამ

დარღმა, გამტეხმა ღამისამ,
თავისად გამითავისა,
არც მელავს, არც წუგეშს იმეტებს
და არც სიმშვიდე მაღირსა...
მუხთალს რამდენჯერ დავუსხლტი,
ლხინშიაც ვერ დავემალე,
ჭირში კი კირქვად მაქცია,
თუმცა რაოდენ ვეწვალე?!
მივხვდი, რა ხვედრიც ყოფილა,
აღარ მაშინებს სავალი,
უნდა მხარდამხარ გავლიოთ
წუთისოფელი ფრთამალი.



გთხოვთ, მომიტევოთ...

გთხოვთ, მომიტევოთ, რომ კვლავ მქონდეს უფლის იმედი,
უიმედობით კაცთა მოდგმა განწირულია!

ადამს და ევას, ურჩობისთვის, ბევრი მიეზღოთ,
გვახსოვდეს, უფლის მორჩილება, სუფთა გულია!

სიყვარულსა და სინმინდეში ვერ ჰპოვებს ადგილს,
ვისაც სინდისი გამქრალი აქვს ცოდვების გამო,
ვერ გამართლდება და სამსჯავროც სასტიკად დასჯის,
თუ თავის ბრიყვულ შეცოდებას არასდროს ნანობს.

ვაპატიებთ და ჩვენც უთუოდ გვეპატიება,
ლოცვა-ვედრებით ქრისტეს სახელს მოვუხმოთ ხშირად,
ჩადენილ ცოდვებს სინანული თუ განგვაშორებს,
თორემ სიურჩე დაგვიჯდება ძალიან ძვირად.

არავის ვმოძლვრავ, განა მე კი ცოდვილი არ ვარ?
თუმც, სიყვარული უფლისადმი, გულში მინთია,
გთხოვთ მომიტევოთ, დაჩოქილი შენდობას ვითხოვ,
თქვენდამი ლოცვა მეც არასდროს არ დამითმია!



სიყვარული ღვერთია!

ამ ქვეყნად, ოდესმე თუ გიყვარდა,
სიცოცხლე თუნდ ამად ღირდა!
დადიხარ ლალი და ბედნიერი,
რომ ერთხელ ეს სენი გჭირდა.

იცი, სიყვარული ღმერთია და
სუსტივით აჩოქებს ყველას,
ზვავივით მოანგრევს გულის კედლებს,
ბობოქარ ზღვასავით ღელავს!

რას ჰქვია სიცოცხლის შემოდგომა?
მზე ათბობს სულ მუდამ ერთი!
როდესაც სიგიურდე გიყვარს და
როდესაც უსასრულოდ ეტრფი....

სად გაჩერდება წამი?

ბედნიერი ვარ, როცა
ვიცი, რომ ჩემზე ზრუნავს,
ერთი ვინამე მხოლოდ:
გულს გულის სითბო კურნავს!

დრო არ იცდის და ... გარბის,
ისარი ოხვრით ბრუნავს,
სად გაჩერდება წამი?
ო, შიში როგორ მთრგუნავს?!

მაცდურის გზაზე

მაცდურის გზაზე შემდგარი,
მრუდე საქმისა მქმნელია,
რაკი სახელი წახდება,
მისგან კარგს აღარ ელიან.
კაცი, ცოლისა ღალატით,
ფეხქვეშად გასაგებია,
ხიდი, წამებით გადგმული,
ხელახლა გასადგმელია!
ცოლი, ქმრისაგან ნათმობი,
ქარს გაყოლილი მტვერია,
ენა აქვს ბასრი მახვილი,
გულჯავრის ამომყრელია,
მაგრამ გულს, განაბზარავსა,
ვეღარათა შველიან,
იავადებს და მოკვდება,
სიცოცხლე მისი ძნელია!
ნეტა იმ ვაჟკაცს, რომელიც
ჭკუითა ღონიერია,
ცოლი კი – უზის დედოფლად
თავის კაცობის ფერია;
გულს არ მოუკლავს ღალატით,
სხვა საფიქრალიც ბევრია,
დიდ სიყვარულთან შებმასა,
ან რას გაბედავს მტერია?



ვისაც სამშობლო უყვარს!

ყური არსად წაუყრუო,
ფხიზლად უნდა იყოს თვალი,
შენს მიწაზე საბატონოდ
არ დაუშვა უცხოს კვალი!

თუნდაც ეჭვი გქონდეს მხოლოდ,
მომარჯვო უნდა ხმალი,
სამშობლოსთვის თავგანწირვით,
მოიხადო შენი ვალი!

დაამარცხებ უეჭველად,
თუ მკლავი გაქვს მართლა მალი!
ქვეყნად მადლით და დიდებით
არ იქნება შენი ცალი!

გაიცე შევძლებ!

გულის ბზარებს არ ჩავყურებ მტირალი,
ვარდნაფენი გზები როდი მივლია?
მოზღვავებულ ტკივილს ბევრჯერ ვეომე,
ღვთის შეწევნით, მალე გადაუვლია.

მტერო, ისევ სიბოროტე გნადია?
არც ეცადო, ჩემი გული გათელო!
რა გინდ ბევრი განსაცდელი მომკერძო,
მაინც შევძლებ, იარები ვამთელო!

რა დაბერებს დედასა? ხალხურ მოტივზე

რა ტკბილად მოსასმენია,
შვილს რომ უქებენ დედასა,
სიხარულის წილ, თვალთაგან,
ცრემლნი იწყებენ დენასა;
სიამისაგან აღვსილი,
გული უმატებს ძგერასა,
ღვთისადმი სამადლობელი,
უმალვე სწყდება ენასა.
ავის მსურველიც დალოცავს,
ალალად იტყვის ნეტასა,
მფარველობას და სიკეთეს,
ისიც კი შესთხოვს ზენასა.
ფრთებია შვილის კარგობა,
რა სჯობს ამაყად ფრენასა?!
ოჯახის ფუძე-კერიას,
რომ არ მოაკლებს ლხენასა.
რწმენით და გვარიშვილობით,
ემორჩილება ზენასა,
სიტყვას უხამსს და უკადრისს,
არ ათქმევინებს ენასა;
მოკეთეს ზურგს გაუმაგრებს,
მტერს მტრულად დასცემს ბნედასა,
ასეთი შვილის შემყურეს,
რა დააბერებს დედასა?!



სიცოცხლე აღარ მეიმადება

ვეღარ ვიყუჩებ გულის ტკივილებს,
ნუთუ ოდესმე დამიამდება?
მაგრამ ცოტა მაქვს დრო საამისოდ,
მოცდაშიც ბევრი დაგვიანდება!
ყოველი წამი მიმეჩქარება,
თვალსანიერზე სუსტი შუქია,
შემომაშველე ხელი ბოლომდე,
ცხოვრებ ახლა ისე მუქია!
წარსულში დარჩა ავიც და კარგიც,
ყველაფერს ბინდის ფერი ედება
და ხვალისათვის, ასე ნანატრი,
სიცოცხლეც აღარ მეიმედება...

ეს ღრუბლებიც გადაივლის,
გაზაფხული მოვა მალე,
კვლავ მზის ამბორს შევაგებებ,
ზამთრისაგან დალლილ თვალებს.
მოედება ხავერდები,
ყინვისაგან დამზრალ მთა-ველს,
ამოხეთქავს ყოჩივარდა,
არ დატოვებს მიწის მტკაველს.
მე კი დარდი უშენობის,
ვიცი, ისევ გამაწვალებს,
ნეტავ, შვებას რა მოუტანს
ცრემლებისგან დაცლილ თვალებს?



დედის გარეშე

გზადაგზა ვკრიფე მოსათუთებით
დედის ცრემლები – ის კონებად,
ვინ ჩამომართმევს ლამაზ თაიგულს,
ან გულში ვინდა ჩამეკონება?

დღომ ვერ განკურნა ჩემი იარა,
იას დაჲყვება დედის სურნელი,
გაზაფხულიდან გაზაფხულამდე
მაწამებს დარდი განუკურნელი.

თითქოს დაბნელდა მთელი სამყარო,
ნეტავი იმას, ვინც ტკივილს სძლია,
როგორ არ მინდა სიკვდილი, მაგრამ
დედის გარეშეც არ შემიძლია!



საშობაო

ღვთის მადლი გამეფებულა,
დედად მოიქცა ქალწული!
ისმის სამყაროს კიდემდე
გალობა – ცამდე ასული!
სიხარული და დიდება,
გულში ვერ ჩაიტიესო,
როცა განგებით ბეთლემში
იშვა უფალი იესო...
ბრწყინვალებს ცაზე ვარსკვლავი,
ღვთის სადიდებელს მღერიან
და მახარობელს შობისას,
ყველა ოჯახში ელიან.
ღმერთო, დალოცე ქვეყანა,
შენი იმედით გვაცხოვრე,
ცოცხალი ადლეგრძელე და
მიცვალებული აცხონე!
პური და ღვინო არსობის,
ალარ გვაკმარო მცირედი,
გულში ჩირალდნად აგვინთე
შენი შეწევნის იმედი!



ახლაც მიყვარს!

თითქოს, ახლაც აისია სხივჩამდგარი,
ცას უხდება ანთებული ნარინჯები
და მეც მივდევ ამ ცხოვრების ლაბირინთებს
ჩემებური, ღირსეული ნაბიჯებით.

სიყმაწვილე როგორ უცებ გაიპარა?!
წლები მიღის უჩვეულო დადინჯებით,
რომ ვეცადო დროის უკან დაბრუნებას,
ვიცი, მხოლოდ, სულ ამაოდ გავირჯები.

მოვუფრთხილდეთ ერთმანეთის სულს და სითბოს,
გულს ნუ ვატკენთ მძიმე ფეხის დაბიჯებით,
თორებმ მერე სინანული გვიანია,
როცა ღვთისგან საკადრისად დავისჯებით!

მიხარია, ჩემს გზასავალს რომ ვამშვენებ,
შეუმცდარი, მოზომილი ნაბიჯებით;
მე ხომ გული ერთი გულით შევიგრძენ და
ახლაც მიყვარს ძველებური გაგიჟებით!



მსოფლიო შენ!

მხოლოდ შენ მაცოცხლებ,
ცის კიდით კიდემდე!
შენს მკლავზე ვნებივრობ,
ინათებს ვიდრემდე...
სინანულს ვერ ვმალავ,
წლებს რიდით მივხედე,
მინდა, რომ გულის კარს
კვლავ თრთოლვით მიღებდე!
მაგ მზიან თვალებში
მეც ხარბად გიმზერდე,
მათბობდე ალერსით,
შენს გვერდით ვილხენდე;
ჩემს გულისნადებსაც
უსიტყვოდ იგებდე
და თავბრუედახვევით
ხმას ველარ ვიღებდე...
ვერ გავძლებ უშენოდ,
ვიცოცხლებ ვიდრემდე,
მინდა, რომ იმედით,
ვსუნთქავდე იმ დღემდე!



გადლობა უფალს, ქალად დამჩადა!

მე სიყვარულის გზებით ვიარე,
ჩემს გულში მყუდრო დავუდე პინა
და რა უღელიც გავწიე დღემდე,
ამ სიყვარულმა შემაძლებინა.

მადლობა უფალს, ქალად დამბადა,
არ მომკლებია შეწევნა მისი,
მადლი უხვადყო, როცა გამხადა,
ჩემი შვილების დედობის ღირსი.

განა სიმდიდრე მიმაჩნდა შვებად?
მხოლოდ ამ განძის ვიყავ ტრფიალი!
დაღმართი ისე შემომეპარა,
ვერ შევამჩნიე დროთა ტრიალი.

სიკეთით მოვდევ დიდ გზასაძნელოს,
სულ ჩემკენ იყო ბედის სასწორი,
თუმცა ქალი ვარ, მაინც ვიყავი
საქმით ვაჟკაცის ტოლი და სწორი!

გმადლობ, უფალო, ამ ღირსებისთვის,
რომ მე ვარ ცოლი, დედა, ბებია,
შენი შეწევნით, ყველაზე რთული
ნაბიჯიც კი არ გამჭირვებია!

ამ აღმაფრენით მივალ ბოლომდე,
უხვად ბარტყობენ ჩემი მტრედები,
აქ რომ ასეთი ლალი ვარ შენით,
საიქიოშიც მეიმედები!



სამყაროს სიავით მეწვება სხეული,
დღედაღამ ფიქრისგან გული მაქვს სნეული,
ბობოქრობს, მჩაგრავს და მიმათრევს გრძნეული,
ძნელია, ამ ომში გამოჩნდე რჩეული.
დაუკითხავად რად მსტუმრობს წყეული?
მაშინებს ტკივილი – გულს სამტროდ წვეული,
თუმც არ ვარ წუნუნს და გოდებას ჩვეული,
წინაპრის კვალს მივდევ, გულზე მაქვს მჩნეული,
ხმელი წიფელივით განვიცდი ეული,
მომავლის ფიქრებით სულ გადარეული...

ისეთ სიცოცხლეს რა ვუთხარ?

ისეთ სიცოცხლეს რა ვუთხარ,
ულირსის გერქვას სახელი,
სჯობს სადღაც გადაიკარგო,
არავინ გყავდეს მნახველი.

უფალს რა პირით შეჰკადრებ,
თავის ხსნასა და შველასა?
არ გაპატიებს ცოდვილო,
სხვაზე თვალისა ჭერასა!

არვის შერჩება ღალატი
უფლისა ათის მცნებისა!
ჯოჯოხეთს მოეკითხება
თვისივე შეცოდებისა!



ისევ შვილს

ჩემი სულის ტკბილო ჩანგო,
შენ რომ მყავხარ, რარიგ ვხარობ!
ერთხელ მაინც რად არ მკითხავ,
ვინ ხარ... ანდა ვინა ვარო?

ვინ ვარ? – ვინ და დედაშენი,
ვინაც გშობა და გაგზარდა,
ვისაც არაფერი სწამდა,
შენი სიყვარულის გარდა!

ვინ ვარ? – შენზე მლოცველი ვარ,
იმედით რომ დილას ვხვდები,
მოწინებით თავდახრილი,
უფალს შენს თავს ვევედრები!

ვინ ხარ? – ჩემი სიცოცხლე ხარ,
ჩემი ფიქრი და ოცნება, –
ქვეყნად ჩემთვის მოვლენილი
სიმდიდრე და საოცრება!

ვინ ხარ? – ჩემი იმედი ხარ,
სიცოცხლეს რომ მიღამაზებ
და მგონია, ამ იმედით
მთელი საუკუნე გავძლებ!



სატრაიიალო ხალხურ მოტივზე

მოვდივარ, მომიჩქარია,
თითქოს მამდევენ მთანიო,
სხვა ყველა დამვიწყებია,
შენკენ მიჭირავს თვალიო.
რად დამეკარგე აგრერიგ,
ვერსად მაგიჭერ კვალიო,
იქნებდა გიჯობს მიხილო,
შენი სურვილით მკვდარიო?
გიპოვი! გულში ჩაგიკრავ,
ნუ მეჩვენები მფრთხალიო,
გაკოცებ, შენცა მაკოცე,
არ დაგრჩეს ჩემი ვალიო!
თორემა, სასიკვდილოდა,
მზადა აქვს გიუას ხმალიო,
იცოდე, ჩემი სიკვდილი
იქნება შენი ბრალიო!



ՅԵՐԱՎԵԱԾՎ

Ծեպոր զերուցք, զեռմե,
զեր դաշտմալլե ჭորս,
ծորութո Շեմոմիշեզուա, –
մոսյուրնե մրուցք ցիս.
արագա, ցոլ կետուղօծիս,
սոլ սուզացք մժորս,
յնաց ցոլս յմորհուղեծա,
արացու յտերու ծորս!
յզեղա ჩեմուսագ մեցուղզուս,
տոնց ոյոս յցեռ մերուս,
մուրուց ցոլմո մյացս սագրութեուղօծ,
առ զար ամմալցուզու նյուլուս!
ծրալու մաս, որքուրուծուտա
զոնց տավոնց ոթզեցս ჭորս,
սոմարտլուտա դա սուզեցուտ,
յուզալու բախցինց նու.
ჭյուս-ցոնցեծա աչուցեծս,
ծասրու մժորելուցուտ ժորս,
առ զդարժու, զոլաց յցունուրս,
տոյ ჩեմու յազոր սժորս!



ვერ გაპატივებ!

შემომილამდა! ჩემს ფანჯრებთან უკვე ბინდია,
ვგრძნობ, ცრემლიანი გარიურაჟიც მოკვლას მიპირებს,
გამახსენდები, როცა ჩემი იყავი მხოლოდ
და ეს ტკივილი ამ გაყოფილ გულს ამიტირებს.

ვერ გავერკვიე, სად ვეძებო ხსნა და იმედი,
უარყოფილი სამარემდე ფეხით მივედი,
ვეღარ გპატიობ, ჩემს წილ სითბოს, ჩემს წილ სიყვარულს,
გულის სიუხვით სხვას რომ ურცხვად უნანილებდი.

მე ვიცი, ჩემი გაბზარული გულის ამბავი,
ვერ დაადგება ძველებურად გზასაშვიდობოს,
იქნებ ერთხელაც ისე მწარედ ამტკივდეს მკერდში,
რომ სამუდამოდ დაგტოვო და დაგემშვიდობო!

მიყვარდი, სამყარო სულ ჩემი მეგონა,
თურმე აღმაფრენა მუდმივი როდია?!
დღეს, გული საბრალო, გგლოვობს და მოგტირის,
ის ახლა პატარა, უმწეო ლოდია.
ასეთი ტკივილი სიცოცხლეს მიმოკლებს,
ასეთი განცდები არასდროს მქონია,
თუმცა, დამიჯერე, მე მაინც მოგელი,
კარებს შემომიხსნი – კვლავ ასე მგონია!
მჯეროდა, სიცოცხლე სულ გრძნობით იჩქეფდა
და უღლის სიმძიმე არც დამიკვნესია,
აღარ ვარ! არ ვიცი რამე თუ მიშველის,
სიცოცხლე სიკვდილზე უარესია!



ცოტაც და...

ცოტაც და... თვითონ წამოვალ,
რისთვის დამადგი თვალი?
რად გამიმეტე უფალო,
რად ამიმღვრიე წყალი?
ჩემს გულშიც შემოიხედე,
მტკივა, ძალიან მტკივა,
მკლავს ნაადრევი ზამთარი,
საბედისნეროდ მცივა!
გამოადარებ? რას ფიქრობ?
თუმცა ამაოდ გელი,
შენი იმედი მქონდა
და შენც აიღე ხელი!

სიცოცხლეზე უზენაესი

გადამისროლა ბევრჯერ უფსკრულში,
დარდი ათასგზის შემომეყარა,
ბედთან ჭიდილში მამაცად ჩაბმულს,
უკვე ჭალარაც შემომეპარა.
არ მწყდება გული, მე ჩემი ვპოვე,
სიცოცხლე მარჯვე ხელით გავძერნე,
ბედის ვარსკვლავის უხვი წყალობით,
გზად რაც კი შემხვდა, ფეხით გავლენე.
სიყვარულისთვის ნათქვამი ლოცვა,
კვლავ ძველებური განცდით ჩამესმის,
ერთგულებაა ჩემთვის მთავარი,
თვით სიცოცხლეზეც უზენაესი!



სატრაიალო

შავყურებ ზეცას, ღრუბლიანს,
როდის ჩამაითოვს მთაზედა;
იქნება ჩემსა ქალასა,
თოლი შავასწრო ბანზედა.
ვერსაით ვპოვე, ძებნაში
ავდი-ჩავდივარ გზაზედა,
რა ვქნა, იმაზე ძვირფასი
არვინ მყავ ქვეყანაზედა!
აღარ შავყურებს სარკმელსა,
ჩემი ფანდურის ხმაზედა,
ნეტაი, რისთვის მემალვის,
ანდა გამინყრა რაზედა?
ვაი, თუ გადამიყორა -
თოლი უჭირავს სხვაზედა,
ეგეთ სიცოცხლეს მიჯობის
თავი არ მებას მხარზედა!
ქალავ, თუ გამაიდარებ,
მეც დღემზანის დარი ვარ,
გულს თუ ურჩობით მამიკლავ,
ეგეთ ცოცხალი? - მკვდარი ვარ!



გული მაინც გულობს!

თავბრუ დამხვიეს წლებმა,
მიჭირს!.. ო, როგორ მიჭირს?!
აღარც მკლავში მაქვს ძალა
და აღარც მუხლი მიჭრის...
დაუკითხავად მოდის,
რაც მე არასდროს მინდა,
უნდა მადინოს, ვიცი,
ცრემლი – ბროლევით წმინდა.
ასე სცოდნია, თურმე,
ცხოვრების ორომტრიალს,
დარდიც თავისით მთელავს,
ვეღარ ვიშორებ ტიალს.
გული კი... მაინც გულობს,
სიტყვას რას ვკადრებ, უხამსა?
კვლავ ძველებურად ანცობს,
კვლავ ძველებურად უყვარს!



ნეიცლაო გიორგი!

წმინდაო გიორგი, ლაშქარში გაგვიძეხ,
დიდგორი არ კმარა მარტო!
კვლავ გვიჭირს, დაგლალეთ ხვეწნით და მუდარით,
მამულის ერთობას ვნატრობთ.

შეხედე, მოიდრეა ჯალათის მახვილი,
ნაღვენთი სანთელის დარად,
ბორბალი ვერაფერს დაგაკლებს, მხედარო,
თუნდ სისხლი ანთხიო ღვარად.

დაგვლოცე! – ამ ლოცვას ღვთიური ძალა აქვს,
ჩვენ შენი ხსენებაც გვშველის,
ჩემს ტანჯულ სამშობლოს სწორედ მაგ სახელის
ტაძართა სიუხვე შვენის!

დაგვლოცე! – ბევრს არ გთხოვთ, ბოროტი დათრგუნე,
გვაბრწყინე ღვთიური ნათლით,
თავს გიკრავთ, ქედს გიხრით,
მუხლს გიყრით მორჩილად,
შენი ძლიერების მადლით!



ვერ გაპატიე!

მაშინებს მკაცრი ჟამთასვლის ექო,
მიჭირს ცისკარზე გამოლვიძება,
ამემლვრა სული და ლონემიხდილს,
ვიცი, სიმშვიდე არ მეღირსება!

შემეჭრა ფრთები, როგორ ვიფრინო,
დრო აღმაფრენის სადღა მეწვევა?
ვგრძნობ, რომ ხვალისთვის შემონახული,
ყველა იმედი დაილენება!

გამეყო გული, რადგან ტკივილი
ამ ზღვრულ სივრცეში ვერ ჩავატიე,
მიყვარდი!.. მაგრამ აღარ მიყვარხარ,
რა ვქნა?.. ღალატი ვერ გაპატიე!



Ի՞մո քորնատմենո ցուլուտ,
ուսեզ նորութվլելո դաշալ,
ոյլաց մոյրտցուլոյնք, զուրո,
րուց ամ կը պնուած նազալ.
ցուլու – ձալարուլու դարձուտ,
ցուլու – մ՛նի՛շարաց ձա մոյրտեալու,
նուլար գամոմեցէ, ուսեզ
տյտրու ձամեցէ զտվալու.
ծեւրու սօնեարուլու ցուլուս,
ծեւրուց ցուլունո ցնչեծու,
մյ զո... մոցուրտեօլուց մոնճա,
ի՞մո ցրտցուլու րոմ րիշեծո!

Շենցան նահիյէյար սօնուլուս
զեր մոցուցրտելուց, սույալու!
ատասո մյոնճա մոնչեթո,
րոմելու յրտու մոցտցալու?
սամացցորուց, ամացո
դցաս ի՞մո նոնամործեցուց,
մուս մեցացաւ, մյու եռմ ամ կը պնաց
սոյցետուսատցուս մոցեցու!
ցուլուս ցնցալոնձուց ցուլուսաց,
դցուս զո սօնուկելուս ծոնճու զար,
ոմ կը պնաց նեղցամարտուլու
ձա զալմութուլու մոցուրար!
Շեն ցըսմուս ի՞մո ազ-կարցուս,
Շեն ցարժա զուս մոցուրալու?
Շեն, ի՞մո մեսաօդումլուց
ձա դուրու քորուսույգալու!



როცა თვალით დამანახე ცა და მიწა,
იმ წამიდან მათ სიყვარულს ვერ ვთმობ,
ამაყი და მადლიერი გეფერები
ყველაფრისთვის, რაც მიბოძე ღმერთო.

ბედნიერი, ყოველ დილით, სამადლობელს,
ჩუმად, კრძალვით, ჩაგჩურჩულებ ყურში,
ბეწვის ხიდიც უვნებელად გამატარე,
რომ სიკეთის თესლი ვთესო ხნულში!

მაგრძნობინე, რომ სხივი ხარ მზის და მთვარის,
უკვდავების შუქ-ნათელიც გამკობს,
ყური უგდე, როცა შენ წინ მოწინებით,
გული ლოცვა-სავედრებელს ამბობს!

შემეშველე, ქვას ალმართში ნუ დამაწევ,
მიმსუბუქე ჩემი მხრების ტვირთი,
უხილავი, შენი ძალა დამანახე,
დამაჯერე, რომ არ არის მითი!

შეგიგრძენი, როცა გზები მომეკვეთა,
იქვე რწმენის ნაპერნკალი გენთო;
მუდამ მჯერა, არასოდეს მიმატოვებ,
მხოლოდ შენი იმედი მაქვს, ღ მ ე რ თ ო!



პელი – მაინც პელია!

ბევრჯერ ფეხქვეშ გამთელა
ბედის ჩარხის ტრიალმა,
შვებით ამომესუნთქა,
არ მაცალა ტიალმა!
როგორ ალარ ვეწვალე,
არ გამიჩნდა საშველი,
ახლა მისი წყალობა
არ მინდა და არც ველი!
თუმცა, მაინც აუგის
თქმაც ვერ გამიბედია,
რაც არ უნდა ეწამო,
ბედი... მაინც ბედია!

ეს ქართველი ვარ!

მტერო, როდემდე უნდა გითმინო,
ნუ ფიქრობ, მნახო დამარცხებული!
ვერ ეღირსება შენი თვალები,
მინას მიხილოს დანარცხებული!

არ დაივიწყო, მე ქართველი ვარ,
გამორჩეული ჩემი ღირსებით,
საქართველოსთვის მოვევდები, მაგრამ
რომ დამაჩოქო? – ვერ ეღირსები!



იმ ღამეს განვითორა დედა

სადღაც ძალის ყმუილს უწყრებიან,
სადღაც კივილია ჭოტის,
ღამე წყვდიადია, საზარელი,
შიშიც თავისთავად მოდის.

ზეცას შავი ჩადრი გადაუკრავს,
ირგვლივ ვეღარავის ვხედავ,
გრძნობაც უცნაური დამეუფლა,
რა სურს ბედისწერას, ნეტავ?

რა მჭირს, რა ფიქრები მომეძალა,
ვეღარ ვუმკლავდები განცდებს!
სულში უსაშველო ტკივილია,
ნეტავ უარესი ამცდეს.

...

ეს ღამე გულში მაქვს სამუდამოდ,
თითქოს ახლაც ცხადად ვხედავ...
ამ ღამეს აღესრულა უფლის ნება...
ამ ღამეს განმეშორა დ ე დ ა !



სამთხოოს პედი

როგორ მაწუხებს გატანჯული სამშობლოს ბედი,
ხვალის იმედი დამეწურა ანშყოს შემყურეს,
ნეტავი რა გვჭირს, ქართველებო? სირცხვილი ჩვენი,
ერთმანეთს ასე სიძულვილის თვალით შევყურებთ?!

მტერს, ჩასაფრებულს, წყალს რად ვუსხამთ წისქვილის ქვაზე?
დღროა, შემოვკრათ ძველებურად განგაშის ზარებს!
თორემ უფსკრული სილრმისაკენ ჩუმად გვიტყუებს,
ასე სცოდნია ძმათა შორის გაჩენილ ბზარებს!

მე კი, ისე ვარ ამ დარდისგან ღონემიხდილი,
იქნება ძველმა იარებმაც თავი იჩინოს,
ცელგამოსმული ბალახივით მიწაზე ვგდივარ
და ცას შევყურებ, რომ იმედი გადამირჩინოს.

მე მოვალე ვარ!

მე მოვალე ვარ – უნდა ვიცოცხლო,
გარდაცვალების არ მაქვს უფლება,
სანამ საწუთოო განაჩენს მამცნობს
და უძლურება დამეუფლება!
მე მოვალე ვარ – უნდა ვიღვაწო,
მუხლი ჩავხარო – არ მაქვს უფლება,
წელგამართული შევხვდე დასასრულს
და ვპოვო სულის თავისუფლება!



დები ზარანდიების ხსოვნას

მზევ, ლრუბელი მოიშორე,
შენი დარღიც გაამხილე,
თუკი მართლა ცხრათვალა ხარ,
ერთი მაინც გაახილე,
თორემ ჩადრი წამოისხა,
მიწამ ცრემლით დანამულმა,
გლოვის ფარდა ჩამოუშვა
დედამ – შვილებდაკარგულმა...
ანუგეშე შავოსანი,
აქ ინათებ თუ შორს წახვალ,
ის იმედით შემოგყურებს,
შენ უფალთან ახლოსა ხარ!

გარდაცვლილი დედმამიშვილის ხსოვნას

რა ვქნა, ბედისწერამ დაგვაშორა,
შენთვის მლოცველი ვარ მუდამ,
მითხარ გული როგორ დავამშვიდო,
როცა შენთან ყოფნა უნდა?
ყოველ ტკივილიან გახსენებას
სულის იარები ახლავს,
ჩემო იმედო და მწუხარებავ,
ჩემთვის ცოცხალი ხარ ახლაც!
მუდამ უსაშველოდ მენატრები,
შენს სულს ავედევნე ცამდე,
ქვეყნად რა ძლიერი ვიქნებოდი,
დღეს რომ ისევ გვერდით მყავდე?!



ცუ გამიმეტეპ უფალო!

ნუ გამიმეტებ, უფალო, –
ჯერ ბოლო დღისთვის ცოდო ვარ!
გუშინ ენა რომ ამოვთქვი
მე ის პატარა გოგო ვარ.
ნუ გამინყრები, განცდისგან
იქნება გულიც მეწვოდეს,
მე ხომ არასდროს მინდოდა,
თუ უნებლიერ შევცოდე.
რადგანაც წუთისოფელში
უსამართლობა ბევრია,
უკუღმართობის თმენაში
სიბრაზეც შემომერია...
მაგრამ თავს არვის ვამეტებ,
ერთი პატარა ლანდი ვარ,
ბედის წყალობის ლოდინით
და შენი რწმენით დავდივარ!

დრომ მოიტანა დროის სიმცირე

დრომ მოიტანა დროის სიმცირე,
ერთმანეთისთვის აღარ გვცალია,
დავშორდით მშობლებს, და-ძმებს, მეგობრებს,
ამ განშორებას ვნანობთ ძალიან.

ეს იძულება, აუტანელი,
ბრალია მხოლოდ ტანჯული ყოფის,
როგორმე სული გადავირჩინოთ,
წავშალოთ ზღვარი ყოფნა-არყოფნის.

ულიმლამოა ახლა საწუთრო,
გადასხვაფერდა ირგვლივ ყოველი
და გონზე დროზე თუ არ მოვეგეთ,
უკეთესობას ნულარ მოველით!

იყო დრო, როცა მიზანსწრაფულებს,
გზა ტაძრისაკენ მართლა მიგვყავდა,
დღეს კი... უფალი იცით, რატომ გვსჯის?
რომ ერთმანეთი გადაგვიყვარდა!



პვილეკვდარი დედის მოლოდინი

დამესიზმრე, კიდევ ერთხელ დამესიზმრე,
თორემ უკვე დარღისაგან ვკვდები.
არასოდეს დაბრუნდები, ვიცი, მაგრამ
დედა ვარ და მაინც გელოდები!

გზები ასე მკაცრად როგორ დაგვიშორდა?!
გლოვობს ჩემი სული, განაწირი.
დედის ცრემლი არასოდეს გაიკვირვო,
შვილის ბედზე გულჩაკლული ვტირი...

ამ ყოფაში ჩემს სიცოცხლეს რა ფასი აქვს,
ეს თვალები შენ რომ ვერსად გხედავს?
რა მწარეა ბედისწერის განაჩენი,
შვილი ულვთოდ გამოსტაცოს დედას...

გამშორდი და თან წამართვი ყველაფერი,
გაიყოლე ჩემი გულის სითბო;
ჩემს ფესვებზე ამოზრდილი ნორჩი ყლორტი,
ცისკენ სავალს მიიოლებ თითქოს.

სხვა ნუგეშად მეტი რაღა დამრჩენია?
უფალს ახლა შენს სულს ვევედრები,
დამესიზმრე, უფრო ხშირად დამესიზმრე,
დედა ვარ და... მუდამ გელოდები!



ნინაპართა საფლავე

დავდივარ რიდით, ფეხაკრეფით, ჩუმად, ჩურჩულით,
სულის სიმძიმე იქნებ გულსაც მკვლელად ეკვეთოს,
ცრემლიან თვალებს აქეთ-იქით ვაცეცებ ხარბად,
მინდა, ნაცნობი მზერა ისევ შემომეფეთოს.

რა სიმშვიდეა?! შემოდგომის ფოთოლი – უხვი,
ყველა სულდგმულის ნაფეხურებს გულდაგულ მალავს
და ამ სიჩუმის სხვანაირი იდუმალება,
გულის სილრმეში ბოროტულად მიტევს და მზარავს.

ვეძებ... ყურს ვუგდებ... საკუთარი ფეხის ხმაც მაკრთობს,
აქ სამუდამოდ გაბატონდა ცრემლი და სევდა
და ის თვალები შემომყურებს ყოველი მხრიდან,
ლრმა ბავშვობაში სითბოთი რომ უხვად მავსებდა.

მინდა ხმამალლა გადავძახო, არ შემწევს ძალა,
გული გამისკდეს განცდისაგან, რა ადვილია?!
ჩემთვის ყველაზე სათუთი და ყველაზე წმინდა,
ეს სიმყუდროვე, ეს მიწა და ეს ადგილია!

არ მინდა ფეხი მოვიცვალო, ვდგავარ მდუმარედ,
კვლავ მიღიმიან მშობლები და პაპა-ბებია,
დღეს კიდევ ერთხელ მივხვდი, თურმე მათი ალერსი
რა ძლიერ მინდა და რა ძლიერ მომნატრებია...

ცრემლით ვასველებ, თითოეულს ვეამბორები
და ალარ მინდა სხვა სიმნარე ოდესმე ვნახო,
წინაპართ გულზე დადებული საფლავის ქვა ვარ,
რომ ხსოვნა მათი სამუდამოდ შემოვინახო!



მიმდინარე

გადავაგორე წლები წამებით,
რა ეკლიანი გზაწვრილი შემხვდა?!
ახლა ბორკილიც გადამიჭირეს,
უცხო სიმძიმე ვიგრძენი ფეხთა...

შევფიქრიანდი! უკვე დრო დადგა,
ვხედავ, საეჭვოდ აჩქარდა მაჯაც
და შიში მტანჯავს ბოლო გასროლის,
წუთისოფელმა რომ მომისაჯა.

ის გაზაფხული არასდროს მოვა

ის გაზაფხული არასდროს მოვა,
ერთად რომ ვკრეფდით ლურჯთვალა იებს,
არ მოვა, რადგან არ სურს გიხილოს,
რადგან იმ ცოდვებს ვერ გაპატიებს...

თუ უფლის ნებით კიდევ ერთნი ვართ,
ბედისწერასთან ჭიდილი არ მსურს,
ჩემს გულში უკვე გამოიდარა,
შენ კი... რას ეტყვი სევდიან წარსულს?



შვილებო, ნუ მიწყენთ, ეხლა ამ ხასიათზე ვარ

თუ ოდეს ფიქრი დამელევა, მაშინ... ალარ ვარ!
ალბათ, დრო დგება განწირული მიწას ჩამქოლოთ,
მჯერა, ტკივილით მიმაცილებთ ბოლო კარამდე,
ოლონდ კი ცრემლი სინანულის არ ჩამაყოლოთ!

არ გამაგონოთ შემზარავი მოთქმა-გოდება,
მე გულნაკლული არ მივდივარ ამა სოფლიდან,
მოკეთისათვის იმდენი მაქვს მადლი ნათესი,
რომ შესანდობარს შემანევენ ყველა სუფრიდან!

მადლობა უფალს, რომ გულსავსემ გავლიე დღენი,
ახლა ასეთი მშვიდი როს ვარ, ნუ გაიოცებთ,
ჩამოითვალა! სხვა გზა არ მაქვს, ვნებდები უხმოდ,
აქ თქვენთვის ვიყავ...იქედანაც თქვენზე ვილოცებ!



ტანჯულო ჩემო ქვეყანავ!

ტანჯულო, ჩემო ქვეყანავ!
იავარქმნილო ბევრჯერა,
სანამ თვალით არ ვიშილე,
მანამდე არც კი მეჯერა...

მზით ნათამამებ გულმკერდზე
სიკვდილმა გადაგიარა,
მიწა რომ ფერფლად გაყრია,
ეგ არის ჩემი იარა!

თავზარდაცემულს დარდი მღრღნის,
შენი ტკივილი მაღონებს,
ისევ იმედით შევყურებ,
გადაშავებულ მთა-გორებს.

ვიცი, მაინც არ გატყდები
და კვლავ სილალეს მარგუნებ,
მე კი მარჩენალს, სილრმიდან
გულდაგულ ამოვაბრუნებ!

მოვხნავ, მოვთესავ, მოვიმუი,
ბელელს ავივსებ პირამდე,
მტერს, ავი თვალით მომზირალს,
სიკვდილსაც გაცუპირადებ!



მონათრეპულ გეგოპრეპს

უსასრულო ლაბირინტში,
დავიფანტეთ თითქმის ყველა,
ხან წვიმაა სევდიანი,
ხანაც დარობს ცისარტყელა.

გაღმა ნაპირს, შორს და უცხოს,
სინანულის თვალით ვუმზერ,
მენატრები, მეგობარო,
როგორ მომდებიხარ გულზე?!

ჩვენს ერთობას და სიყვარულს
ეს სიშორე არ უხდება,
ისევ მინდა ძველებურად
შენი თბილი ჩახუტება!

...და ტკივილი მონატრების,
გულმა თუ ვერ მოიშორა,
მხოლოდ დროა დამნაშავე,
ჩვენ მან დაგვაშორიშორა!



ხალხურ მოტივზე

„ფარას უმწყემსოდ მავალსა,
შესჭამს ტურა და მგელიო“, –
რაც ეს გავიგე, მას შემდეგ
ტურა-მგლის მოსვლას ველიო.

ღმერთმა დამწყევლა საბრალო,
დარდი შამყარა ძნელიო,
ავად მყავს ჩემი პატრონი,
დღედღეზე სიკვდილს ველიო.

მარტოდ დარჩენილს, ქვრივ-ოხერს,
ვინ შამაშველოს ხელიო,
ვინ გამოჩნდება საჩემოდ,
ნუგეშად, მადლის მქმნელიო?

ღმერთო, რად ამითვალნუნე,
დღე რად მამიჭერ გრძელიო,
მე მაინც შენს გზას ვესწრაფი,
ოდეს შამხვდები ქველიო!

მეზობელს

ჩემო ლხენავ და იმედო,
სხივო ჩემო თვალისავ,
შენ რომ მყავხარ, კვალი არ ჩანს
ბოროტის და ავისა.

გუშაგი ხარ უღალატო,
ჩემი ღია კარისა,
შენი შიშით რას დამაკლებს
მტერი – უცხო მხარისა?

შუქო, გზის მანათებელო,
სხივნათელო მთვარისა,
უფალს გმადლობ სიკეთისთვის,
მე რომ შენგან მაღირსა!

ნუ მეტყვი!

ნუ მეტყვი, რომ შეგაშინა ჭალარამ,
ნუ მეტყვი, რომ გავლილია გზები,
თორემ გული ამომკაწრეს ფიქრებმა,
დარდისაგან ნაადრევად ვკვდები.

ჯერ შორსაა შემოდგომის ნისლები,
მხოლოდ დარებს ველოდები მზიანს,
ნლებს თუ ისევ შევაგებებთ სიყვარულს,
ვერასოდეს მოგვაყენებს ზიანს!

უჩემობა გეტკინება, ვიცი
და ტკივილით შეგეჭრება მხარი,
ერთმანეთის რომ არ მოგველას დარდმა,
ნეტავ ერთად გავიხუროთ კარი..



ფული

ფული – ძალა საკვირველი,
კაცს რომ გადააგვარებს!
სულ ერთ ჯამში ათანაბრებს
„იმგვარებს“ და „ამგვარებს“.

ვისთვის ტანჯვად მოვლენილი,
ვისთვის ბამბად ჩხრიალებს,
თვით ცოდვილი დედამიწა
მის გარშემო ტრიალებს!

ხელის ჭუჭყი – სასურველი,
ყველა საქმეს აგვარებს,
კაცი თავის კაცობაში
მკაცრ გამოცდას აბარებს...

არ მწამს ძმობა და ერთობა
ფულის შოვნით ნაფიცი,
რადგან ფული ვერ იქნება
სიყვარულის სამტკიცი!



ԿՎԼԱՎ ԵԱՐՍՅՈԼՈԴԱՆ ՎԿԱԲՄՈՅԻ ՈԹ ՇԼԵԳԵՑՏ,
ՐՈՎԱ ՎՈՒԱՎՈ ԸԱԼՈ ՋԱ ՄՇՎՈՇՈԻ,
ԱՐ ՄԱՆԿԵԵԾՈԴԱ ԱԵՄՊՈՒՑԵ ՇՈՒԺՐՈ
ՋԱ ՍԱՍԱՏՐՄՈԼՈՇ ԿՐԵՄԼԵՑՏ ԱՐ ՎԼՎՐՈԴՈ.

ՄԵԳՈՆԱ, ՎՈՒԱՎ ՄԱՐՏԼԱ ԺԼՈՒՐՈԻ,
ԾՐՏԵՑՏ ԱՐՆԻՎՈՎՈՒԹ ՏԱՄԱՄԱՋ ՎՇԼՈՇՈ,
ՐԱՍ ՎՈՒՇԵՐԵՑՑՈ, ՌԱԿԱ ՌԴԵՍՑԵ
ԸՆԿԵՄՈՇՈԼՈ ԾԱՐ-ԵՄԱԼՍ ՀԱՎԿՐՈՇՈ?!

ՄԵՇԿԵՉՈՎԵՑՏ ՄԹԵԼՈ ՍԱՄԿԱՐՈ,
ՑԵՎԱ ՇԵՄԿՐՏԱԼԱ ՏԱԼԽՈՒԹ ՋԱ ԾԻՆՇՈՒԹ,
ԳԱՋԱՆԻՍԼՄՈՎՈ ՏՎԱԼՍԱՆԿԵՐՈՒԹ
ՄՈՎԿՎԵՑՏ ԱՋՄԱՐՏՍ, ՕԵՎՐՈՒԹ ՋԱ ՐՈՇՈՒԹ.

ՐԱ ԱՐ ԳԱՃԱԹԵՇԸ, ՍԱՋ ԱՐ ՎԵՆԱՄԵ,
ՄՔԵՐԸ, ԳԱՎԵԽԱՋԵՑՄՈՎԸ, ՄՐԿԵԵԹԵՋ ՎԹՎԼՈՇՈ,
ՇՄՎԼՈՒ ՋՈՇԵՑՏ ՍԱՆԿՎԱՐ ԳՑԵՑՑԵ,
ԾՈՐՈՒԹՈ ՍՄՎԼՈՒ ՆԱԿՎԱԼԵՎՏ ՎՇԼՈՇՈ!

ԲԱՍԱՇՐԵՑՄՈՎԸ, ՏԵՇՈՒ ՄԵՇԵՐԱԼԸ,
ՄՈՎԵՎԸ, ՄՈՎԵՎԸ, ԿԱԼԸ ՋԱ ՇԼՈՇՈ,
ՄԵ ՐՈՄ ՄԵԳՈՆԱ, ԵՎԼՇՈ ԳԱՎՏԵՐԸՇՈ,
ՌԱՄԵ ՇԵՆ ԲԿՄԱՋ ԲԿՄԵ ՍԱՇԼԱՎՏ ՏԵՐՈՇՈ...



თავის დაღვევას ვეცადე

თავბრუდამხვევმა ფიქრებმა,
მძიმედ შემახეს ხელი,
ძილი გამიკრთეს შიშებმა,
კარგს აღარაფერს ველი...
დამდევენ, ხან თოკს მიჭერენ,
უფსკრულშიც მიკრეს ხელი,
ხან ცეცხლის ალში მახვევენ,
გულიც აღარ მაქვს მთელი.
თავის დაღწევას ვეცადე,
საქმე გამხდარა ძნელი,
სულ თვალწინ ჩამომირბინა,
რაც მწარე ვნახე ძველი.
აღარც კი მახსოვს ოდესმე,
თუ ვიყავ ბედნიერი,
მიჯობს ასეთსა სიცოცხლეს,
სამარე მქონდეს ბნელი!...



დედის იხედი ხალხურ მოტივზე

შენ, ჩემო ლხენავ გულისა,
ლაღო არწივო მთისაო!
ისეთი შვილი გაგზარდე,
გულის ხეთქვა ხარ მტრისაო!
ბევრჯერ შაგყრია პირისპირ,
თითქოს ძალაში გცდისაო,
ვერას დაგაკლებს ავთვალი,
მუხლი გაგიხდა მგლისაო!
თან დაგდევს უხვი სიკეთე
სხვისთვისა მადლის ქმნისაო,
გვერდით დაგყვება უფალი,
ის აგარიდებს ჭირსაო!
ფარად გაქვს დედის ლოცვანი
და მადლი ქრისტეს ჯვრისაო,
ღმერთმა იმედი გვიცოცხლოს
მე და შენ – ერთურთისაო!



ლალატი

იცოდე, შეგნიშნე ლალატი,
თითქოსდა არ ვიმჩნევ არაფერს,
არც დარდით მოვიკლავ გულსა და
არ დანას ვიშიშვლებ, დანაფერს.

ნუ ფიქრობ, ჩემ იქით სავალზე
სულ ია, ვარდები ჰყენია,
მიდიხარ? – მე ხელს არ შეგიშლი,
რადგანაც სურვილი შენია!

დრო მოვა, ინანებ ჩადენილს,
ძველ ბილიკს კვლავ ძებნას დაუწყებ,
ჩამჭრელი კითხვებით დაგლლიან
და ყველას სიმართლეს აუწყებ.

მეც გეტყვი, მტანჯველმა ფიქრებმა
უშენოდ რომ დამიმარტოვეს,
არსად არ წავსულვარ, გელოდი,
იქ ვდგავარ, სადაც შენ დამტოვე.



შენ, შვილო ჩემო!

შენ, შვილო ჩემო, ხომ არა გიჭირს,
რა უწევეულოდ დარდიანს გხედავ?
ნეტავ რად მიკრავ გულში მალიმალ,
რას ფიქრობ, მგონი, მიგიხვდა დედა....

ბუნების კანონს ვერავინ შეცვლის,
განაჩენს ადგენს თავად უფალი,
მშობელი უნდა წავიდეს მუდამ
და შვილი ჰყავდეს ჭირისუფალი.

თითქოს არც მჯერა, შენ ალარა ხარ
პატარა, მინას რომ არც კი აჩნდი,
რადგან ჩვენს შორის ზღვარი ის დარჩა,
რაც მაშინ იყო, როდესაც გაჩნდი.

თურმე რა დიდი გაზრდილხარ, შვილო,
დღეს სხვანაირად შეგავლე თვალი
და მიხარია, რომ შენ წინაშე,
გადაუხდელი არ მრჩება ვალი.

მეც ბედნიერი წავალ იმ ქვეყნად,
დრო უჩემობის ტკივილს შეგაჩვევს,
შენ უნდა ჩადგე წინაპრის კვალში,
შენი შვილების იმედად დარჩე.

დარდით და ცრემლით ნუ გამაცილებ,
ნუ შემიბრალებ წლებით მოცელილს,
შენც დამიბერდე ნეტავი თეთრად,
იქაც ვიქნები შენზე მლოცველი!



მეც ერთი წამით შევოვიარე

წლებმა ძალუმად ჩამჭიდეს ხელი,
უნდა დავნებდე, რა გაეწყობა?
ხომ წამებაა წუთისოფელი,
მაინც ტკბილია და არ მეთმობა.
ჩამთავრდა ბრძოლა, ჩავაგე ხმალი,
ვემშვიდობები მტანჯველ იარებს,
წუთი კი არა, წამი ყოფილა,
მეც ერთი წამით შემოვიარე!

არ გაიკვირვო!

დღეს, მინდა ვიყო პირმცინარე, ლურჯი ღიღილო,
სად წახველ ჩემო უდარდელო, ტკბილო ღიმილო?

წარსულმა მწველი სიყვარულის გზებით იარა,
ბოლოს კი მაინც გამიჩინა გულში იარა...

ახლა მოგტირი, უშენობა მხოლოდ სენია,
რაც კი ფიქრები მომიზვავდა, მარტო შენია!

სად გაიხიზნე, ანდა შენი სად გაქრა კვალი?
მე მაინც გელი და სულ გზისკენ მიჭირავს თვალი.

შენ კი თუ სადმე შემოგხვდება ლურჯი ღიღილო,
არ გაიკვირვო, რომ ჩემსავით შემოგლიმილოს!



„ძმანო, კახელნო“

„ძმანო, კახელნო, ნამდვილ ქართველნო“,
მამულიშვილნო ზვიადი გულით,
შრომას ჩვეულნო, გამორჩეულნო
ერთურთზე ზრუნვით და სიყვარულით.

ვაზია თქვენი საგალობელი,
აქ სიყვარული სხვაგვარად მეფობს!
აუდებელი ლხინის სუფრიდან
ზეცას აყრუებს სიმღერის ექო!

ისმის „წინწყარო“, „ანაგურელო“,
ღელავს ხავერდი იშვიათ ხმაში,
მოსჩქეფს სიცოცხლე თავაწყვეტილი,
მზის სხივებჩამდგარ, ღონიერ რქაში!

ვენახს შვილივით, ერთგულად უვლით,
ქვეყნად ბადალი თითქმის არა გყავთ,
ქვევრ-მარანს ავსებს თვალუწვდენელი,
ღვთისგან ნაკურთხი ზვრების ბარაქა!

მტერი ათასგზის ეცადა ძლევას,
აფერუმ თქვენს ჯიშს, რომ არ დანებდით,
უფლისკენ რწმენის გზას გიკვალავდათ
იყალთო, გრემი და ალავერდი!

თქვენია მთები, ლურჯი ჭალები,
ზვრები, მინდვრები, პურის ველები,
აქ სიყვარული ზეობს მამულის,
თავგანწირვით და გამრჯე ხელებით!

ბედმა გარგუნათ ძღვნად საოცრება,
მინა – სიუხვის დამბადებელი,
თქვენც სადლეგრძელო უხვად შეგესვათ,
ჩვენი მამულის სადიდებელი!



რაც იქნება, იქნება

ეს დღეც, გუშინდელ დღესავით,
კვლავ წარსულს მიემატება,
ასე წვეთ-წვეთად სიცოცხლე,
უკუნეთს მიემართება.

ჭალარა შემომიმრავლეს,
ხვალინდელ დღეზე ფიქრებმა,
ნუ სტირი გულო – ტანჯულო,
ჰო, რაც იქნება, იქნება!

ღამის გამტეხი – ჯიუტობს ფიქრი,
ცოცხალ კაცს დარდი რას დაელევა?!
ზოგჯერ ცხოვრება მეხივით გრგვინავს,
ზოგჯერ კი ელავს ცისარტყელებად.

თუ გაჯიუტდა ბედის ბორბალი,
სასოწარკვეთა ბევრჯერ გეწვევა,
თავს რომ დაუხრი, ის მძიმე ლოდიც,
მართლა აღმართში წამოგეწევა...

სიცოცხლე მაინც ერთი წამია,
არ დაიმჩნიო გულს შიშის კვალი,
უფლის დიდებით და სიყვარულით,
ეცადე, შეხსნა სამოთხის კარი!



ქართველო!

ქართველო, ნაჭირმაგარო,
ვაგლახ, სულ იყავ მტრიანი,
მაგრამ უფალი თან გდევდა,
ჭირისა თანაზიარი.

მისი შეწევნით ლალობდი,
სამშობლო მოგცა მზიანი,
მთა-ბარი ზურმუხტნაფენი,
ველ-მინდორ ბარაქიანი.

შთამომავალი გაკუთვნა,
ზრდილი და არწივფრთიანი.
მოშუღლე დარდით მოგიკლა,
დაჯაბნა შავი დღიანი.

გამრჯე მარჯვენა გიკურთხა,
მახვილი ბასრი, ფხიანი
და გამარჯვების სიმღერა,
მქუჩარე, მრავალხმიანი...

ღმერთმა ქნას, ის დღე გათენდეს,
დე, თუნდაც იყოს გვიანი,
დედა-სამშობლი გვალირსა,
ბედნიერი და მთლიანი!



ლარიპი როცა ტირის...

რა ქნას? არ ძალუძს ატანა,
კაცს – თავსდატეხილ ჭირის,
გულჩათხრობილი, უმწეო,
თავის ბედ-ილბალს ტირის.

განა ბევრი სურს საბრალოს?
მთხოვნელი არის მცირის,
არცა ზეობა სწადია,
არც მძებნელია ძვირის...

ცას წვდება ექო გოდების,
ქვეყნისა განაწირის,
მდიდარს სიცილი ჰერინია,
ღარიბი როცა ტირის...

ვაი, სიკვდილო!

ვაი, როგორ შეგვეჩვიე სიკვდილო,
კიდევ ერთი სიმი ჩამწყდა სულში,
გსაყვედურობ, რადგან მოძმე მომიკალ,
მერამდენედ დამიმიზნე გულში?!

რა სასტიკი, რა ვერაგი ყოფილხარ,
სიცოცხლეზეც ჩავიქნიე ხელი,
შიშით ისე დამიმდიმდა სხეული,
რომ შენ იქით აღარაფერს ველი.

მაინც რა ხარ, სიბრალული არ იცი,
ათანაბრებ ყველას – ცრუს და მართალს,
კიდევ კარგი, რომ არავინ არ იცის,
საბოლოოდ როდის აჰერი ფარ-ხმალს...



პოი, სიცოცხლეო!

პოი, სიცოცხლეო, ტკბილ-მწარე სიზმარო,
რა სასურველი ხარ, რა მალე თ ა ვ დ ე ბ ი?!
ოღონდ წუ გამწირავ, ძაძებს წუ ჩამაცმევ
და ყველა სიკეთის ვიქები თ ა ვ დ ე ბ ი!

ვიცი, რომ ერთხელაც გულს მართლა აიყრი,
ცოტა ხნით ხომ მაინც ჩაგიგდე ხ ე ლ ა დ ა,
ცისკრის ჟამს მოსული მზის ჩასვლას ჩაჰყვები
და შესანდობრისთვის სავსეა ხ ე ლ ა დ ა...

მჭირდები! ვერ დაგთმობ, მინდა რომ ვუმზერდე,
თუ როგორ ლალობენ ღულუნა ხ უ ნ დ ე ბ ი,
მაგრამ დალლილ გულს სულ შიში აწვალებს,
მოკლე დღის რომ ხარ და მალე ხ უ ნ დ ე ბ ი!

აკაცია ექსპრომტი

თითქოს თეთრად დაათოვა,
სურნელებით თავბრუს მახვევს,
როცა სიო ეფერება,
როცა ქარი ტოტებს არხევს.
თავს იწონებს, მედიდურობს,
გულმაგარი აკაცია,
როგორ შვენის გზებს და ქუჩებს –
ვინც მას მოქრის... რა კაცია?



დედა

რა უსაშველოდ მომნატრებია,
ჩემი პავშვობის ტკბილი საუფლო,
კედლებსაც ესმით გულის ძახილი,
აქ გარდასულზე ცრემლით ვსაუბრობთ.

მშობლიურ კერას მონატრებული,
ხელის კანკალით ვეხები კარებს,
დედა, აქა ხარ? – ჩუმად ვკითხულობ,
ვეძებ სითბოთი ავსებულ თვალებს...

ისევ მგონია, კალთაში ვზივარ,
დედის უპეში ხელს ვაფათურებ,
რასაც შევხედავ, ყველგან შევიგრძნობ
მის ნაფეხურებს და ნათითურებს.

კედლიდან მიმზერს ბოლო სურათი,
თვალებში ნაზი სხივი ციალებს,
მართლა აქ არის, რადგან ოთახში
დედის სურნელი ისევ ტრიალებს!

ახლა ვბრაზდები ჩემს სიცელქეზე,
ვერ ვლალატობდი ბავშვურ სურვილებს
და გული მწყდება, დედის ალერსი
ბოლომდე რომ ვერ მოვისურვილე...

სანამ გვერდით გყავთ, მიხედეთ დედას,
სანამ მის სითბოს ბედი გარგუნებთ!
ხშირად ჩახედეთ მზიან თვალებში,
თორემ დროს უკან ვერ დაბრუნებთ!



ՍԱՖԻՐՈՎԱԾՈՒ

ქալազ, Պործացեմիօնօ,
Ցուլս Ծամեյուղը ալագա?
Մոջոնձա, Շենո Շամպուրը
Ըացրոնիօնուցազ Ծալագա!
Ենթաօ Րուտզուս ցամեացը
Եվեցնուսա Շասածրալագա?
ցանա Տակոնցէ Բացուսեն?
Տոսցարուլո մայզս Ծռալագա!
Ոյնեծ դա... Օսեզ Ցունուլու,
Բամամոյերուլո յարագա...
Երալո Շացավոլո Շորուգան,
Ծարուուս Ցուլցասապարագա.
Շեն Ռոմ ար մասուրցուլո,
մյ Ռաս ցավեցեծո Տալագա?
Ենթազ, Ռաճ ցածացեպարը,
Տնորցէ ցան մայզս Հացրագա...



ვზივარ და წარსულზე ვფიქრობ,
წლები გაფრენილან შორს.
ისევ სიჭაბუე მიხმობს,
ისევ ის დღეები სჯობს!
როგორ დაგვნათოდა გუშინ,
ჩვენი სიყვარულის მზე,
ბევრი მოგონება დაგვრჩა,
ბევრიც - ბედნიერი დღე...
მაგრამ მომავლისაც მჯერა,
მართვე ლალად გაშლის ფრთებს
ჩვენ კი მეტი რაღა გვინდა,
ლოცვა შევევედროთ ღმერთს!

...

სულში შემოდგომა დადგა,
ახლაც სიჭაბუე გვიხმობს,
თმაში გაგვრევია თეთრი,
ვერც რა მოვასნარით თითქოს...



300 არაგველის ხსოვნას

კრწანისის ველზე დაცემულ გმირებს,
საარაგვოში დღესაც ელიან;
თვალსაწიერზე გაქრა იმედი,
ლოდინიც როგორ დამქანცველია?!

ან ეს იარა, განუკურნელი,
მოგვიშუშდება ნეტავი როდის?
რამდენმა წყალმა ჩამოიარა,
არაგვი ისევ მწუხარე მოდის!

მოაქვს ნაღველი, დარდი, გოდება,
საჯიხვეებზეც მწუხრის ნისლია,
ომში წასულებს მთებიც გლოვობენ,
თავსაბურავებს აღარ იცლიან.

მტერთან შეკრულთა ღალატმა დასცათ,
ცამდე აღზევდნენ სისხლისმსმელები,
კრწანისმა ცრემლით ჩაიკრა გულში,
სამშობლოს გმირი არაგველები.

მას შემდეგ სიო ნანას ღიღინებს,
გმირთა სულების დგას მაისობა,
ყაყაჩოები აფერადებენ,
სისხლით გაულენთილ მარადისობას...



ემიგრაცის გულისთქმა

მამულო ჩემო, სიცოცხლევ ჩემო,
შენზე ზრუნვაა ჩემი მიზანი,
ნუ მიწყენ, თუკი შენთვის მლოცველი,
დღეს უცხო ქვეყნის გავხდი ხიზანი.

ვერ გავუმკლავდი დუხტირ ცხოვრებას,
ამ განშორებას სულ მოსთქვამს გული,
უშენოდ მიჭირს, რა გაძლებაა,
დღედაღამ ფიქრით გავტანჯე სული.

ვისწავლე, ტკივილს როგორ გავუძლო,
ბევრმა გრიგალმა გადამიარა,
სიმარტოვეში ნაფიქრ-ნანატრი,
შემომეჩვია მტანჯველ იარად.

მონატრებასაც ცრემლებით ვთოვავ,
გულში ჩაგეერა, როგორ მწადია?!
შენ ხარ ყველაზე უძვირფასესი,
რაც კი ამ ქვეყნად რამ მაპადია!

ჩვენი შეხვედრის იმედით ვცოცხლობ,
გული შენთვის ძგერს, მინდა იცოდე,
ბედნიერი ვარ, შენ რომ გიჭირდა,
მე შვების ხელი გამოგინოდე!



ჩემი ცლებიც გაზაფხულია

ატმის ყვავილებს, რტოებს მიღმა მკერდგალელილებს,
ნიავი აცლის სურნელებას და ირგვლივ ფანტაგს,
თითქოსდა ზეცა საპატარძლოდ გამოწყობილა,
მინა კი ახალ მწვანე ფარჩას, ხალისით ართავს.

უკვე მერცხლებიც შეეხიზნენ სახლის აივნებს,
სხვა სინაზეა გაზაფხულის ფერთა გამაში.
გული, მშფოთვარე, საგულეში ვეღარ ეტევა,
ბავშვივით მინდა, აღმა-დაღმა, სერზე თამაში!

აღტაცებული მიბრუნდება ჩემი ხმის ექო,
ვერ ვითმენ, რადგან მკერდში ახლაც ლალი გულია...
ო, გაზაფხულო, შენ რომ გხედავ ასე მჩქეფარეს,
მგონია, ისევ ჩემი წლებიც გაზაფხულია...



მომხვივი ხელი

მოდი, მომხვივი ხელი,
ისევ გელი და გნატრობ,
გულში კვლავ ღვივის ცეცხლი,
უკვე ვეღარ ვძლებ მარტო.

შენი იმედი მქონდა,
სადღაც, ჩამოგრჩი გზაში,
ახლა მიგიხვდი მხოლოდ,
როგორ გიყვარდი მაშინ.

დღეს კი ლოდინი მტანჯავს,
მწველი ფიქრების თოვა,
დარდებს გაჰყვება გული,
მერე... სიბერეც მოვა...

სანამ არ არის გვიან,
სანამ გნატრობ და გელი,
ვიდრე სიბერე მოვა,
მოდი, მომხვივი ხელი!



მე რომ სიმდიდრე მქონოდა,

მას აღარ გავეყრებოდი;
იმ ერთი გოჯი სამკალის
სურვილსაც გავეცლებოდი.
ახ, სიღარიბევ ტიალო,
კაცს რომ გონებას აურევ
და სიყვარულის ემბაზში
შხამს წვეთ-წვეთობით გაურევ.
არ იშლი, წესი – წესია,
შორით ყოფნა სჯობს ძმისაო
და მერე ნახეთ ერთობა,
ორი, ნაქები ყმისაო.

უშენობის იარა

დავთმე ყველა ოცნება და
დარდმაც გადაიარა,
მაგრამ ტკივილს არ მიყუჩებს
უშენობის იარა.
კვლავ იმედი ჩამესახა,
მერცხლის ხმა რომ გაისმა,
იქნებ ისევ შეგვახვედროს,
ვარდით სავსე მაისმა.
გულს შევასხამ ოცნების ფრთებს,
შენკენ გამოფრინდება
და მზის სხივი ოქროსფერი,
ისევ ამობრწყინდება.
გათენდება ბედნიერი
დილა – ნაოცნებარი,
სიყვარულზე ამღერდება
ფიქრი – ღამის მთევარი.



მოღი, ისევ გავიხსენოთ

გაიღვიძეს ენძელებმა,
კვლავ მეჯლისი გამართეს,
შეესივნენ ჩემი სოფლის
აღმართებს და დაღმართებს,
ყოჩივარდაც ისევ სტუმრობს
მზით მოჩითულ მთა-გორებს,
მე კი დარდად შემომაწვა,
წლებს – გარდასულს მაგონებს.
ამიშაბეს სალერლელი,
არ იციან დანდობა;
მოდი, ისევ გავიხსენოთ
ჩვენი ახალგაზრდობა!

გაზაფხულმა დაათოვა
ატმებსა და ალუჩებს,
ქარი ურჩი, გაშლილ ფურცლებს,
აყრის სახლებს და ქუჩებს.
წვიმს და... წვიმა სუსხიანი,
ყველა სულდგმულს ამუნჯებს.
მთებზე თოვლის ნარჩენები,
გზად ნიალვრებს აურჩებს.
მზე კი მაინც, მადლით სავსე,
ცას სილურჯეს აურჩევს,
რადგან მარტის სიგიუმაჟე,
ყველა ტკივილს ა ყ უ ჩ ე ბ ს !



გეუდლეს

...და კიდევ ერთი გაზაფხული შემოგაფრინდა,
სიცოცხლეჩამდგარ რტონებად და დამსკდარ კვირტებად;
დღეს რომ ლამაზი დღე იქნება, გპირდება ამას,
ხვალ უკეთესი გაზაფხულის მოსვლას გპირდება.

წელი წელს მისდევს, შეუმჩნევლად გარბის სიცოცხლე,
თითქოს ბევრია, გულში მაინც გვეცოტავება,
მაგრამ ყველაზე უმთავრესი სწორედ ის არის,
სიცოცხლეშივე შევძლოთ სულის გაუკვდავება.

უფლის წინაშე მოწინებით მუდამ ვლოცულობ,
გზა – დარჩენილი, ამაყად და კაცურად გევლოს,
თუ ერთმანეთის სიყვარული საგზლად გვექნება,
მეტი რაღაა ამ ცხოვრების ეშხი და გემო?!

ცხოვრება რისკია! სიცოცხლეც რისკია!
სულს გინვავს სიკვდილის მუქარის სიცხოვლე,
თუ გინდა სამოთხემ კარები გაგიღლოს,
ამ ქვეყნად ცოდვების გარეშე იცხოვრე.

გიყვარდეს მოძმე და შეიცან მოკეთე,
ეცადე, ბოროტი სიკეთით დაძლიო.
ვინ იცის, განგება რა ვარსკვლავს გპირდება
და გარჯის სანაცვლოდ რა ბედი გარგუნოს...



დრო მევეა

მტრობამ ლამის დააქციოს ქვეყანა,
ალარ ფასობს ჭეშარიტი სიმართლე,
ირგვლივ ისე აირია სამყარო,
გვირაბს იქით დაიკარგა სინათლე.
რა მადლი აქვს განამებულ სიცოცხლეს?
მოსთქვამს ყველა, თავის ბედზე გამწყრალი;
ხვალინდელზე მწარედ ხელჩაქნეული,
მძიმე შრომით, თითქმის, წელში გამწყდარი.
დრო მეფეა! – ჩვენი ყოფის მდევარი,
ვერ აიტანს სიყალბეს და სიურჩეს,
გაირკვევა მტყუანი თუ მართალი
და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს!

ჩემი ბალის ყვავილი ხარ, ნაფერები,
სურნელებით იქნებ თავბრუც დამახვიო,
შეგეჩვევი, ვიცი, მერე ვეღარ გავძლებ,
ნუ გამწირავ, ტრფობის ცეცხლში გამახვიო.

მე კი მაშინ ჩაგიხუტებ მღელვარებით,
როცა გული მაისობს და ვარდი ვარდობს,
როცა სიო, ნაზ ფოთოლთა შარიშურით,
ჩემს ბალჩაში საამებლად დანავარდობს.

მოდი ახლო, გამაგონე სუნთქვა შენი,
განთიადზე ბულბულივით მიგალობე,
თუ ჩემი ხარ, არაფერს გთხოვ, მხოლოდ ერთი,
გრძნობით სავსე, შორი კოცნა მიწყალობე!



დედას

თითქოს სამყარომაც ბინდი გადაიკრა,
ზარი ჩაჩუმდა და სული გაირინდა,
ეგ შენი სიცოცხლე, ჩემგან ნაფერები,
ვერც კი გავიაზრე, ისე გამიფრინდა.
ასეთ განშორებას როგორ შევეგუო,
გული დარდმა ლამის უფსკრულს ჩაიტანა;
რარიგ მაკლია და როგორ მენატრება,
შენი ალერსი და ტკბილი იავნანა?!
ბევრი გაზაფხული მოვა სევდიანი,
ლურჯი იებით და ნაზი ენძელებით,
მიმძიმს დავიოკო ცრემლი სინანულის,
რადგან სამზეოდან წასვლად მეძნელები...

დასაბამიდან დასასარულამდე რა მოკლე გზაა?!
მართლა წუთია ეს ტიალი წუთისოფელი,
თავად სიცოცხლეც მხოლოდ ერთი ამოსუნთქვაა,
მეც სანუგეშოს განგებისგან არც რას მოველი.
არ მინდა ფუჭად ჩაიაროს თუნდ ერთმა წამმაც,
მსურს კვალი ჩემი, ბობოქარი, ნათლად დააჩნდეს
და არ ვაპირებ ჩავიმუხლო, სანამდის შევძლებ,
თუნდაც ცხოვრება უზრუნველი უხვად გამაჩნდეს...
ბოლოს კი, როცა დამიდგება განკითხვის ჟამი,
სიკეთე, ჩემგან გალებული, ვიცი იმძლავრებს
და სიცოცხლეში ანთებული წმინდა ლამპარი,
იქ, სამუდამო სასუფეველს, გამიჩირალდნებს...



გაზაფხულდება...

გაზაფხულდება, როცა მზის სხივი
ნათელს მოაფენს ფანჯრის მინაზე,
როცა იქბი და ენძელები
თავს დაგვიკრავენ თოვლის ჯინაზე.
როცა კეირტები ამხედრდებიან,
ნუშებს და ტყემლებს თეთრად დაათოვს,
როცა წარსული ბარათებს გაშლის,
სასიყვარულოს – შენგან დანატოვს.
როცა მივხვდები, თუ ამ სიყვარულს,
გულში რა კვალიც დაუტოვია,
გაზაფხულდება, მაგრამ რაღა დროს,
მხრებზე წლებს უკვე დაუთოვია...

იპოვი!

შენია? – გაგყვება სიცოცხლის ბოლომდე,
ერთგულად გაგიწევს ულელს,
ბეწვის ხიდს გაივლის, ცას ხელით მიწვდება,
სიყვარულს გაჩუქებს ულევს.
სხვისია? – გაუმდი, თავის გზით წავიდეს,
ცრემლების დადენად არ ლირს!
ვერაფრით დაიჭერ, თუ ერთხელ გაიწევს,
თუ ურცხვად ახსნის აღვირს...
ესწრაფე სიცოცხლის წყაროს და ნაპერნებალს,
გული ხომ უგულოდ ვერ ძლებს.
ქვეყანა დიდია, უფალი მოწყალე,
იპოვი, თუ გულით ეძებ!



ტანჯვით ნათენებო ლამებო

ტანჯვით ნათენებო ლამეებო,
როგორ გაგიხსენოთ ტკპილად?
ნუთუ დრო არ დადგა, დამასვენოთ,
მშვიდად გავითენო დილა?
ახლა სამდლურავსაც გაგიძედავთ,
როგორ მამჩნევიხართ გულზე?!
თუმცა განაწამებ წუთისოფელს,
მაინც დანანებით ვუმზერ...

შენ, ბობოქარო ტკივილო,
რას ფიქრობ ან რას აპირებ?
ვხვდები, განაჩენს მიმზადებ,
მიტომაც გამინაპირე.
ნუ იტყვი, თითქოს შევშინდი,
ან თქმა რა საკადრისია?
უფლის ნაბოძი დღეები
ჩემია, განა სხვისია!
სანამ არ ჩამოითვლება,
მზის ნათელს ნუ გაახუნებ!
ამ ქვეყნად ერთხელ მოსული,
კარს ერთხელ გავიჯახუნებ!



დედა

კვლავ ძველებურად გამიახლდა გულში იარა,
ვაი, თუ გიჭირს და ეს იგრძნო ჩემმა სხეულმა?!
შენს გახსენებას რა ტკივილი შემოაქვს სულში,
როგორ გავუძლო მონატრებას დარდით სნეულმა?
ჩვენ შორის გზაა სევდიანი და უსასრულო,
ფიქრები ისე არ მაწვალებს, როგორც სიშორე;
შენი სურვილი თუკი გულში ამეკვიატა,
მერე ხომ ცრემლებს თვალებიდან ვეღარ ვიშორებ...
რა გალევს ამ გზას? – ეს ცხოვრების ბედისწერაა,
შენ კი ყოველი გათენებით შვილებს მოელი,
ნუ დალონდები, თუ ლოდინი დიდხანს გაწვალებს,
ვაი, რომ სწორედ ასეთია წუთისოფელი!..

ღამე ცის კიდეს შეადნა
და თვალსაწიერს გასცდა.
როგორ მაკრთობს და მაშფოთებს
ჩვენი შეხვედრის განცდა!
შენ ჩემი ლოცვის ძალა ხარ,
სიცოცხლის სვეტი წმინდა,
თუ ბედისწერამ შეგვყარა,
სხვა არაფერი მინდა!



დედა

სანთელს გინთებ და ცრემლმორეული
გეჩურჩულები, ვიდრე ჩაქრება...
შენი სითბოა, შენი სურნელი,
ყველაზე მეტად რაც მენატრება!
ცოტათი მაინც რომ მანუგეშოს,
დღეს ჩემ გარშემო ვერავის ვხედავ,
რადგან ამ სულის სიცარიელეს,
შენ გარდა ვერვინ შემივსებს, დ ე დ ა!

დღეს, დარდიან გულზე, მინდა ვიმლერო,
ჩემს გასავლელს კვლავ დანისლულს ვხედავ,
ჩაგრული ვარ ამ ცხოვრების იმედით,
სამდურავსაც ხელალებით ვბედავ!
იქნებ ცოტა ვიმსუბუქო ულელი,
მინდა ვინმეს გულის დარდი ვანდო,
არ ყოფილა შეჭიდება ადვილი,
დამჯაბნა და უფსკრულს გადამაგდო.
სხვა აღარა დამრჩენია ნუგეშად,
სევდიანი სიმლერების გარდა,
რაც დრო დამრჩა, ასე უნდა გავლიო,
სანამ გლოვის დაეშვება ფარდა...



ჩემი პავონის ქალაქი – ქუთაისი

ჩემი ბავშვობის ქალაქი – ქუთაისი
შემომაღამდა შენს ქუჩებში მოხეტიალეს,
დღეს სიყვარული ჩუმადაც ვერ გამიმხელია.
როგორ შეცვლილხარ, თავი თითქოს უცხო მგონია
და თვალიც, თითქოს, დღეს პირველად ამიხელია.
მაგრამ სურნელი მშობლიური მაინც მძაფრია,
აქ დაბრუნება სიხარულის ცრემლით მატირებს.
ჯაჭვის ხიდიდან გადავცქერი რიონს, ბობოქარს,
ტალღა ხმაურით რომ ასკდება ბებერ ნაპირებს.
ბაგრატისაკენ ავუყვები ნელი ნაბიჯით,
შოთას წყაროსაც დახარბებით დავენაფები,
როცა მიხილავ ასე ლაღს და ასე ბედნიერს,
შენც სიამისგან შემომთვრალი დამენახვები!
ვიცი, აქ ჩუმად მითვალთვალებს ჩემი ბავშვობა,
ისევ ალერსით შემომცქერის გელათის ქუჩა,
ნაცნობ გარემოს უცხო ხიბლი რარიგ უხდება
და თავბრუდამხვევ სიკეკლუცეს ბოლო არ უჩანს!
თუ აღმა-დაღმა ხეტიალით ვიჯერე გული,
ძილგატეხილი შევუხვდები, ალბათ, ალიონს,
მხოლოდ შენია, ღვთის ნაბოძი, სიცოცხლე ჩემი
და მინდა, შენ ერთს უანგაროდ შემოგალიო!



პელურა

ვხედავ, მჯობნის სუსხიანი ზამთარი?!
ბრძოლა მართლა არ ყოფილა ადვილი,
მაგრამ მაინც ისევ გულმოწყალეა,
ბუხრის ახლოს მომიძებნა ადგილი.
ვზივარ თბილად, გადავეშვი წარსულში,
ველი შობას, გულს კი არ უხარია, —
რით ვუშველო შემოჩვეულ ბელურას,
როცა გარეთ თოვლია და ქარია?!
მზე ღრუბლებმა დაატყვევეს, ალარ ჩანს,
შიმველ ხეს კი მისი ოხვრა არ ესმის;
ფანჯრის იქით მივუყარე საკენკი,
მან ულურტულით დამიბრუნა ალერსი.
მადლიერი ფრთებს ხალისით ისწორებს,
ნაწყალობებს სულ ნისკარტით აიკრეფს,
თუ ამ ზამთარს გადაურჩა საბრალო,
გაზაფხულზე არემარეს აიკლებს...

დამიმარტოვეს შენზე ფიქრებმა,
ლამე დღის ნათელს ვეღარ გავყარე,
თუ კი სხვა იყო შენი სამიზნე,
მაშინ მე თავი რად შემაყვარე?
მაინც არ მჯერა ეს განაჩენი,
თითქოს უარი გაცხადდა განგებ,
ვიცი, რომ მოხვალ და მოლოდინში
მეც ოცნებათა ცათამბჯენს ვაგებ!



Կուգեց յրտո դանչզուս Եղլո Նազուգա,
Սեզա Եղեծուսցան արագամոռհիշուլո,
յարտան մոմցցարս Սեզա յ՛շես դա եոծլո այցես,
լոխոն մուգաս ցուլմո արա հիշուլո.
աելա մասնչ Շեմենոյ սպալո,
րոմ ցուլուգան ցցելո դարձո ամպարո,
դամոլուց աեալո նլուս մոջնածե,
հյեմո տվալուտ դանաեցու սամպարո!

Ճակուրուց Սյուսենան դոլա,
Շանքուլեծ մոյունուն սաես,
ցուլմա օսեց ցակեսենա Եպենա,
այսամց րոմ հյոմագ Շեզոնաե.
ալար մոնճա օսեց Շեմեցուց ցիամո,
ոմ դղեցնուս ցակեսենեծ ար մսուրս!
...դա տոյ ծեգո օսեց Շեցուրուս սագմե,
Շեն տվալս րոցոր ցայսենորյե նարսուլս?



რა დრო გასულა?!

რა დრო გასულა, როგორ დავშორდით?
მე კი მას შემდეგ ბევრჯერ გინატრე,
ვერ შეველიე შენზე ოცნებას
და ჩემს ფიქრებში დაგაბინადრე.
თუ დეკემბერი თოვლით იძლავრებს,
დღროს მოლოდინში ნუ დააზაფრებ,
მე გული შენთვის შემოვინახე,
მოდი და ჩემთან გამოგაზამთრებ!

შენს ნაკვალებს სულ ამაოდ დავეძებდი,
თოვდა, თოვლში ჩაფლულიყო მთა-გორები,
გაგეტირე, ცრემლიც ბევრი დაგადევნე,
გეძახოდი... მაგრამ ველარ გაგონებდი...
ზეცა ახლა სამეჯლისოდ ემზადება,
მთვარე ჩავა და შავ ღრუბლებს ჩაიყოლებს;
გათენდება, მზის სხივებზე თეთრი თოვლი
გადნება და შენს ნაკვალევს გაიყოლებს.



რა დარდიანი გული მაქვს ახლა?

რა დარდიანი გული მაქვს ახლა?!
რა არ მასვენებს ვერ გამიგია, —
ამოვიარე ყველა აღმართი,
არც ერთი ბრძოლა არ წამიგია!
კვლავაც ანთია იმედის ცეცხლი,
მგონია, ცისკრის გახსნამდეც მივალ,
მაგრამ მარწუხებს ვერ მოვერიე,
მე ჩემი ხალხის ტკივილი მტკივა!
იქნებდა სჯობდეს თავის განირვა,
თუნდაც მართალი სიტყვის გულისთვის,
ვიდრე სიცოცხლე გატანჯული და
ხელი გაწვდილი ლუკმა პურისთვის.
რისთვის უფალო, რად გაგვიმეტე?
ნუთუ ამდენი ბრალი მიგვიძლვის?
მტერმა მოკეთეც აიყოლია,
ძმა ძმას არ ინდობს გოჯი მიწისთვის.
საფლავშიც შეკრთნენ მამა-პაპანი,
ყოფნა-არყოფნის ზღვრამდე მივედით!
რა პასუხს ვაძლევთ ჩვენს დიდ წინაპარს,
განა ეს იყო მათი იმედი?



პვილიშვილს

ღამეს ვდარაჯობ მე შენს სარკმელთან,
მინდა, რომ მშვიდად შეხვდე ალიონს;
რაც გამაჩნია ძალა და ღონებ,
უნდა შენს ხვალეს შემოვალიო.

მერე კი, როცა წლები მომთოკავს,
დავუძლურდები და დავბერდები,
დამიამდება ყველა ტკივილი,
ჩემს სასთუმალთან რომ ამლერდები...

იმედის ქალა

რა არ გადამხდა, სად არ ვენამე?!
უფალი მყავდა შემწე და მხსნელი,
გულზე წამითაც არ მომაკარა
სასოწარკვეთა – იმედის მკვლელი.
ბევრჯერ ჯოჯოხეთს პირისპირ შევხვდი,
თუმც ყველაფერი მაინც ალაგდა...
ისეთი დიდი ძალა აქვს იმედს,
ვგრძნობ, რომ სიცოცხლე გამიორმავდა...



გადამეწყრილა გზები, თითქოს არც გამივლია,
უკან მიხედვა მაშინებს და ანმყოში ვრჩები;
რით ვუმტკურნალო გადალლილ გულს, არ შემწევს ძალა,
უკვე წლებისგან ხელნაკრავი, ვერ გადავრჩები.

არა, შენდობას როდი ვითხოვ? პირიქით, მინდა,
კვლავ უფრო მეტი განსაცდელი განმაცდევინოს,
მხრებდამძიმებულს ამხსნას ტვირთი, გავსწორდე წელში,
რომ განკითხვის ჟამს ერთიორად არ მაზღვევინოს...

სუსხმა შემაკრთო, ყვითელ ფოთოლს სხვა რაღა ძალმიძს?
ნიავის ერთი შემოკვრა და... უკვე აღარ ვარ!
ნუ გამიწყრები, თუ შემკრთალი ადგილს მოვწყდები
და ბედისაგან განწირული ცხრა მთას გადავალ...
გახსოვდეს, გული ტრფობით სავსე, მე შენთან მრჩება
და ამიტომაც განშორება ასე ძნელია,
ნუ დაიდარდებ, დრო მოსულა, მე მაინც წავალ,
რადგან ზეცაში ანგელოზნი უკვე მელიან...



ვარდი

მხიბლავს და მათბობს, სურნელით მათრობს,
ბალის მშვენება და ეზოს სამკაული,
სიცოცხლე მაისია, გულში სხვა ხალისია,
როცა თვალწინ მიდგას ასეთი სასწაული.
ვარდის თაიგული? არ მიყვარს... დამიჯერეთ!
გული განცდისგან თითქმის დაცლილია,
როგორ გაიმეტეს, დანა როგორ ახლეს?
სიცოცხლის დღეები ნუთუ დათვლილია?!
ხელი არ შეახოთ, შორიდან მოეფერეთ,
ბოლომდე ვაგრძნობინოთ ხანმოკლე იდილია,
გაუშვით იცოცხლოს, სანამდის გაეძლება,
თავისით მოკვდეს, თუ კი სიკვდილია!..

რა უფერეულად შემომაღამდა,
დღეს შენი დარდი დამქონდა მხოლოდ.
მზის ასობას ვერ შევესწრები,
მგონია, ფიქრი მომიღებს ბოლოს...
სულ შენ გარშემო დავეხეტები,
ძილი გაუკრთა გადამქრალ თვალებს,
როდის დადგება ნანატრი ღილა
და ისევ როდის შემოხსნი კარებს?
ვეღარსად გხედავ თვალსაწიერზე,
ყურში შენი ხმაც აღარ ჩამესმის,
დღეს რომ ასეთი შფოთიანი ვარ,
როგორ გავუძლებ გაისს და მერმისს?



ჩემს მშობლიურ ტყიბულს

ჩაიკარგა ხეობებში ნისლი,
მზე ამოსცდა ნაქერალას უბეს,
გვირგვინს ირგებს ნაღამური ზეცა,
ზეცა ლურჯი – ლმერთთან მოსაუბრე.
სიყვარული საოცნებო მხარის,
სადაც წავალ, ყველგან გულით დამაქვს,
აქ დიდრონი, გოლიათი მთები
დარაჯობენ ჩემს კოპნია ქალაქს.
ვერსად ვპოვე მშობლიური სითბო,
მენატრება, რომ არ ვნახო, ვერ ვძლებ,
დახარბებით ვეფერები მუდამ,
აქ ბავშვობა დავტოვე და... ვეძებ!

სამშობლო

ჩემი სიმდიდრე შენი მთებია
და ველ-მინდვრები, კალმით წახატი,
დაბადებისას რას ვიფიქრებდი,
ამ სილამაზეს თუ კი ვნახავდი!..
რადგან ეს ბედი მომცა უფალმა,
ბოლომდე ვზიდავ შენს მძიმე ჭაპანს
და მნახავ ჩემი დედა სამშობლოვ,
ბევრი ჭირის და ვარამის ამტანს.
თუ ვერ ავაგებ გელათს, იყალთოს
და სვეტიცხოველს თუ ვერ ავაგებ,
მაინც ვიქენები შენი ერთგული,
მოჭირნახულე და მოამაგე...
თუ კი მოვკვდები, შენზე ფიქრები,
იცოდე, იქაც არ დამელევა,
გქონდეს იმედი, შვილი ბევრი მყავს
და მათ გიტოვებ ერთგულ მცველებად!



აღმოჩის სურათები

როცა განვლილ წლებს თვალი შევავლე,
წარსულმა მძიმე მხრები აჩეჩა
და მონატრების ძლევის სანაცვლოდ,
ხელში ალბომი შემომაჩეჩა.
სხვა რაღა დამრჩა იმ წარსულიდან,
ძველ ალბომს გულში ვიხუტებ კრძალვით,
გადავშლი ფრთხილად, ხელის კანკალით,
ტკივილისა და ცრუმლების მალვით.
ვის რა შევჩივლო, რა დარდი მღირღნის,
სულის ნუგეში არსაით არ ჩანს,
რამდენი ვინმე მაკლია გულს და
რამდენი მხოლოდ სურათად დამრჩა...
ეს მწუხარება, უკიდეგანო,
გულის ფიცარზე გამავალია,
მარადიული სულია მხოლოდ,
სხვა ყველაფერი წარმავალია!
დრო კი ყოველგვარ ჭრილობას კურნავს
და მწუხარების დიდ ყინულს ალღობს,
მეც წავალ, შენც... და ყველანი ერთად,
მხოლოდ სურათად შევრჩებით ალბომს...



რა გაეცყოჩა

გულში ჩანელდა წარსულის სითბო,
აწმყოზე ფიქრში დარდმა იმატა,
როცა მომავალს გავხედე რიდით,
სიკვდილის შიშიც ამეცვიატა.
ვეღარ გაუძლება მუქარის მზერას
თვალები – წლებით ქანცგამქრალები,
ადრე თუ გვიან ჩამოჰკრავს ზარი
და სიკვდილს ვერსად დავემალები.
რა გაეწყობა? უნდა დავნებდე!
ფიქრები შიშის განცდას მიმდაფრებს,
დროულად ჩემი ნებით გავყვები,
ოღონდ უდროოდ ნუ დამიძახებს...

სულ ცოტა და... შემოდგომაც
ჩამოითვლის წუთებს,
სხვა გზა აღარ დარჩენია,
ზამთრის სუსხი უტევს.
მზესაც ძალა დაეკარგა,
სნეულს ვეღარ მათბობს
და სიცივის სისასტიკე
მაშინებს და მაკრთობს.
ვიცი, ვერსად გავეპცევი,
მოსასვლელი მოვა!
არემარეს გადამოსავს
ფანტელების გროვა.
მე თუ ვეღარ გადავურჩი
და თუ შეწყდა თოვა,
დამიჯერე, გაზაფხული,
ჩემ გარეშეც მოვა!



სიკათა სახელისთვის

ამ ქვეყნად მუდმივი ტანჯვისთვის მოვდივართ,
ცხოვრება გვაწვალებს და არც რას იმეტებს,
მერე კი... უფალი ჩამოთვლის დღეებს და
ქარიშხალს გაატანს ქანცგაცლილ იმედებს.

ბრძოლით და სურვილით ვერაფერს გახდები,
ეს ჩვენი სიცოცხლის სულ ბოლო წესია.
ნუ შიძობ, შენ მაინც დარჩები ამ ქვეყნად,
სიკეთე სხვებისთვის თუ დაგითესია...

შვილებს

მე ხომ წინაპრის ფესვებზე გავჩნდი,
მერე კი – ჩემი ფესვიც გავიდგი
და ახლა, უკვე, სიცოცხლედ მიღირს
მამული, სადაც ფეხი ავიდგი.
აქ არის ჩემი სულის სავანე,
იმედით ვევდები ყოველ განთიადს,
ბედნიერი ვარ, ეს სიყვარული
თქვენს გულებშიც რომ გრძნობით ანთია.
თქვენ უნდა ცაში ვარსკვლავებს მისწვდეთ,
ღმერთს ვევედრები, ავი გაცილოთ,
გიტოვებთ ჩემი სულის ნაკვალევს
და უნდა სხვებსაც გაუნაწილოთ...
გიტოვებთ, რადგან წავიღებ იმედს,
ახლაც გულზე რომ მესალბუნება,
როცა სტრიქონებს თვალს გააყოლებთ,
გახსოვდეთ, დედა გესაუბრებათ!



საგვარეულოს ზეცა

რა უძიროა, რა უსაზღვრო სამშობლოს ზეცა,
თეთრი ღრუბლების ქარავანიც როგორ უხდება?!
ეს სისპეტაკე, სიწმინდე და უმანკოება,
ალბათ ორივემ ერთად ჰპოვეს ღვთისგან კურთხევად.
უხდება, რადგან ცაც მშვიდია, ღრუბელიც მშვიდი,
მეც სიყვარულით შევყურებ და ასე მგონია,
რომ თითქოს უამი შფოთიანი და უიმედო,
ჩემს სიცოცხლეში სანუწუნოდ არც კი მქონია...
და დგება გულში სიხარული უკიდეგანო,
სულში კი შვების გასაოცარ ჰანგებს აჟღერებს!
სანამ ასეთი მშვიდია და იმედიანი,
ამ ცის შემყურეს რა დამღლის და რა დამაბერებს?!

ზამთრის სუსხი თავს მახსენებს ნაადრევად
და ფერს აცლის შემოდგომის ყვავილებს,
ღვინობისთვემ ფართოდ გახსნა გულის კარი,
მაგრამ შენზე ფიქრებს როგორ დამილევს?
ახლა, ისევ, ძველებურად მენატრები,
მერე რა, რომ უჩვეულო დარია;
ამ სუსხს, სწორედ, შენი სითბო დამავიწყებს,
დამიბრუნდი, სანამ გულს უხარია...



შემოდგომა

მომეცით ფუნჯი, მინდა დავხატო,
ჩემი გრძნობები დღეს ჩემსას არ ჰგავს!
არ ვიცი რა მსურს, როცა მთა-გორებს
თვით შემოდგომაც ზღაპრულად ქარგავს.
ირგვლივ ისეთი სილამაზეა,
ფერგადასული ფოთლების ფონზე,
ღელვამ სხვაგვარად ამიყოლია,
იქნებდა ველარც მოვიდე გონზე...
მიყვარს ეს ფერი, თუმცალა ვიცი,
სიყვითლის იქით უკვე კვდომაა...
მაინც ყველაზე დიდი მხატვარი
სუსხშეპარული შემოდგომაა!

შემოდგომის ფოთლი

თითქოსდა ირგვლივ ყოველივე სევდისფერია,
ფიქრმა წარსულში ჩაიხედა, ჩახსნა საკინძე,
რაც კი ამქვეყნად მე შენ გვერდით გადამხდენია,
ყველანი, ერთად, მარგალიტის მძივად ავკინძე...
დღეს შემოდგომის ფოთლოი ვარ, ფერგადაცლილი,
ველარასოდეს ველარ მოვალ ველზე იებად,
თუ ძველებურად ვერ ჩაგიკრავ გულში, ნუ მიწყენ,
ალბათ ასაკის ბრალია და... მეპატიება!



რთველი

აუღელვებლად გვერდს ვერ ჩაუვლი,
როცა ზერებიდან სიტკბო იღვრება,
იმედის კოცონს აღვივებს გულში,
გლეხკაცის ერთი შეღილინება.
მზე აცისკროვნებს ქარვისფერ მტევნებს,
ყვითელ ფოთოლს კი ნიავი აკრთობს,
ბავშვივით ველი იმ წამებს, როცა
მაჭრის სურნელი ქვევრებს დაათრობს.
რთველია ირგვლივ ბარაქიანი,
ზვარიც და მეზვრეც ლხინში გვეძახის
და ალბათ ერთად ჩავალინებთ
ტკბილ საგალობელს – „შენ ხარ ვენახი“!

ზოგჯერ უკუღმაც დატრიალდება,
თავაწყვეტილი ბედის ბორბალი,
ცას ჩამოსწყდება სხივი სიცოცხლის,
სამყაროს შეძრავს ცოდვის გრიგალი.
უიმედო და გზააბნეული,
გული საგულეს გაეხიზნება,
ნუგეშნართმეულს დღე ხვალინდელი,
აუცხადდება მტანჯველ სიზმრებად.
მე კი – ტკივილმა თმენა მასწავლა,
თუმცა მანამებს წამი ყოველი,
დრომ დავიწყებას დროში გაუსწრო,
ვინც გულს მაკლია, მაინც მოველი!



მტერო, რამდენჯერ მიმუხტლე?

მტერო, რამდენჯერ მიმუხტლე,
ისევ არ იშლი მტრობასა?!
რად გიჯობს გმობა სიკეთის,
ქვეყნად ბოროტის გმობასა?
რამდენჯერ შემომისახლდი,
შემპირდი გულს და ძმობასა,
ისე წაგიხდა სახელი,
ვეღარ გავბედავ ნდობასა?
შენ – შენი გზა გაქვს სავალი,
მე – ჩემით უნდა ვიარო,
მოკეთის ჭირი, ვარამი
და ბედი გავიზიარო...
გიშლი და გჯაბნის სიურჩე,
ტყუილად გავისარჯები,
მეაცრი სამსჯავროს მსხვერპლი ხარ,
ვიცი, მტვერიც არ დარჩები!



ცუთისოფლის სტუმარი

სტუმრად ვეწვიე წუთისოფელს რწმენით, იმედით,
მინდა, სიცოცხლე, ცოტა მაინც, რაღაცად ლირდეს,
მაგრამ იმდენი მოსათმენი უნდა ვითმინო,
მთელი ცხოვრება ბრმა ტკივილი მწვავდეს და მღრღნიდეს.
თუ მართლა სტუმრად მომავლინა უფლის განგებამ,
თუ უნდა ბედის შემწეობით ხარობდეს გული,
მაშინ, სად არის მასპინძელი ასე მოწყალე?
სად არის მისი გულუხვობა და სიყვარული?..
დღე ხვალინდელი, თუ იქნება გაურკვეველი,
უფრო წყვდიადი, ვიდრე იყო თუნდაც, წარსული,
ბედის მორჩილი ვერ ვიქნები, გთხოვთ, ნუ გამკიცხავთ,
რადგან არ მინდა მონობაში ამომხდეს სული!

სიგლერა

დღეს რომ ვმდერი, ასე გულით არ მიმდერია,
დუდუკები სულ სევდიან ხმაზე მღერიან,
სიმღერაა, გულს რომ დარდი არ ეკარება.
ადვილია ამ ცხოვრების ტვირთის ტარება.
თუ კი ასე გვემსუბუქა ძნელად საგალი
და სიმღერამ გვაპოვნინა დარდის წამალი,
სიცოცხლეზე გულს აუგი არ ვათქმევინოთ
და ცხოვრებაც სულ სიმღერით ჩავალილინოთ!..



მონათრეპა...

წარსული წლებიდან თუ რამეს ვინატრებ,
ბავშვობას ვინატრებ ისევ,
ყველა დიდ დარღვა და საფიქრალს მავინყებს
გულს კი სიცოცხლით მიტებს...
ნეტავი სად გაქრა ბავშვობის ხალისი,
დარღი რომ არაფრის მქონდა,
მაშინ მზის სხივი სხვაგვარად მათბობდა,
ნიავიც სხვაგვარად ქროდა.
რა ტკბილად მახსოვს და ცრემლებით ვიგონებ,
დედა რომ მღეროდა ნანას,
ჩემს თვალის გახელას თრთოლვით რომ ელოდა,
სიხარულს უყოფდა მამას.
აკვნიდან ამოსულს ხელს წამაშველებდნენ,
ნაბიჯებს ვადგამდი ნელა,
მერე კი ეზოში ტიკტიკით დავრბოდი,
მე შემომხაროდა ყველა...
წამოვიზარდე... ნელნელა დავქალდი,
ამას თუ ამჩნევდნენ ნეტა?
თუმცა, მათ თვალში სულ ბავშვი ვიყავი
პატარა – შვილების დედა...
დღეს კი რა ძლიერ მომნატრებია
ალერსი დედის და მამის,
ჩემი ბავშვობის საუფლო მედახის,
ჩიტივით ავფრინდე ლამის...
მაგრამ ამაოდ... გულში ვინ ჩამიკრავს?
სადღაა დედა და მამა?
დრო ვერ დამიამებს ამ ტკივილს ვერასდროს
და ვერსად ვიპოვი წამალს!



ორივეს პატი გვეპნია!

ჩემია! განა სხვისია?
ეს მთა, მინდორი, ეს ჭალა,
უფალს რამდენჯერ ვეხოტბე,
ჩვენ რომ ურთიერთს შეგვყარა.

სან ტყე-ტყე დავეხეტები,
სან კი ღრუბლებში ვნავარდობ,
თვალსა მჭრის მინდორ-ბალები,
საგვირილო და სავარდო!

მამულო, შენი იმედით,
თავი უკვდავი მგონია,
შენ რომ ჩემი ხარ, მე შენი,
ორივეს ბედი გვქონია!

შინდისის გმირები

ცას წვდებოდა ტყვიის ექო
და ყიუინა განწირული,
შველას გთხოვდათ შეფიცულებს,
მიწა – გულმკერდგანგმირული....
მამულისთვის დადეთ თავი,
ძეგლებს გიგებთ ცადანვდილებს,
თქვენს გმირობას მოვუყვებით,
ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს!



როცა სიპარესთხ დავარცხდებით...

შევხედე... და გული ამიტირდა,
მე რა შემიძლია, რით ვუშველო?
ქვეყნად უთვალავი სიკეთის დამთესს,
დღე რატომ დაუდგა ასე უსაშველო?
ალარც მოკეთე ჰყავს, ალარც მეზობელი,
მისთვის ველარავის მოუცლია,
არადა, დრო იყო, სხვის ჭირს ამაგრებდა,
დღეს კი თავის დღისთვის ველარ გაუძლია...
ნახეთ წუთისოფლის საოცრებას,
როგორ ფრთამალივით ჩაიქროლა?!
მისი ქალობა და სილამაზე
წლებმა დაუნდობლად გაიყოლა...
ვაი სინამდვილეს! ყველა ამ დღისა ვართ,
ცხოვრება აღმა-დაღმა სავალია,
სანამ მკლავი გვერჩის ღონიერი,
დღედალამ შრომა გვავალია...
ასე თაობები გამოზრდილან
და ჩვენც ამ ღირსებით დავფასდებით,
უნდა ერთმანეთი შევინანოთ,
როცა სიბერესთან დავმარცხდებით...



ԻՆԴ ԹՈԵԼՅԱ?

Ինդ մինճա զոյս պութեալո,
Ռոմ մարգուսուլած վեարոծդյ,
Առ մյօնճյը ցուլո նշոածո,
Գաֆորզեպյոլս առ վնյալոծդյ?
Մոմեյս, մոյշտյս ժիրժեպրոլս
Ծանանեծոտ առ վծրալոծդյ,
Սանյալս, յվրով-օծոլս, սմբեռս,
Երջյելո ցրմենօծոտ առ վպարոծդյ?
Սոյալո, Շեմածլեծոնյ,
Բյմո ևոյետոտ վեարոծդյ,
Մյ – ևեզուսա Շեմերալյելյսա,
Շենց սակագրուսած մնյալոծդյ...

ԹԵՇՎԼԼԵԿ

Աելա, րուցա դագրտուանճնեն մերպելլեծո,
Ջազրիոտ մարգո, յրտմանյտուս ամարա,
Նլլեծո րոցոր ցանենինեն նարսուլշո?!

Քյոյզոլս մմաւյըս Շեմարյոլո ժալարա...
Վեր ձավծլոյս, սուկեն Շիմո մանվալյեծս,
Ցուլո սոյորտես մոսալոծնել օարյեծս,
Շեն տյ առա, մյ զոյնեծո პորզելո,
Օմյզեպնոյր ծեցս րոմ ցավունարյեծ...
Առ վպոցուլվար սմագոյրո պեռվրյեծուս,
Մացրամ մանց զեր ձավոնինյեծ տացուգան,
Մյ ևոյեպնուս սուլաց առ մեմնոնա,
Շենո մարգո դագրոզեծա առ մինճա!



რად მინდა სიმდიდრე

რად მინდა სიმდიდრე, – შიში და ელდაა,
სულ ვფიქრობ, ვა თუ ძალიან მემძიმოს,
მცირედსაც ვიკმარებ, არა ვარ გულხარბი,
არ მინდა, სხვას თვალი სულ ჩემზე ეჭიროს...
ცხოვრება ტანჯვაა, ვიცი და გავუძლებ!
მე ჩემსას გავიტან, თუნდ ტვირთიც მემძიმოს,
უფლისგან ბოძებულს, მცირედსაც ვიკმარებ,
ოლონდაც მშვიდსა და უშიშარს მეძინოს!

ემიგრანტი დედის ნერილი შვილს

მენატრები!... იცი, როგორ მენატრები?
ვკვდები, სულის იარები მეწვის,
უცხო ქვეყნის მიწაზე ვარ, მაგრამ ყურძი,
ისევ შენი გულის ფეთქვა მესმის!
როგორ მტკივა, როგორ მჩაგრავს სიმარტოვე,
როგორ ჩუმად გიბერდება დედა?!
შრომა ისე არ მიმძიმებს გულს და სხეულს,
როგორც შენი მონატრების სევდა...
შენც ხომ ბევრჯერ გაგიჭირდა უჩემობა,
ვერ ვიყავი მოზიარე დარდის,
ერთად ყოფნის სიხარულის მოლოდინში,
დროც ჯიუტობს და ნელ-ნელა გადის...
ნუ მიდარდებ!.. დავბრუნდები წლების მერე,
მძიმე შრომით მოქანცული ქალი,
არც მე ვდარდობ, უფრო მეტიც, ამაყი ვარ,
რადგან დედის მოვიხადე ვალი!



გვალვა დგას გაუსაძლისი...

ნეტავი გაწვიმდებოდეს,
ვმაღლობდეთ მაღლსა ღვთისასა,
გვალვა დგას გაუსაძლისი,
ბზარი გაუჩნდა მიწასა.
ცამ გადახიზნა ღრუბლები,
ვნატრობთ ცრემლებსა მისასა,
ნათესიც არსად ეტყობა
ყანას ჩემსას და სხვისასა...
ვაგლახ, ტყუილად ვაწვიმეთ
ოფლი მარჩენალ მიწასა,
ღმერთო, შენ მაინც სწყალობდე
ცოდვილის ნაცოდვილარსა!..

დროი მეფორთვე

არასდროს ითმენს, ჩქარობს და გარბის,
მერე დრო უკან აღარ ბრუნდება...
მიდის და ფხიზლად თუ არ იქნები,
თვალწინ სამყარო გაგიხუნდება!
შემოგაძარცვავს, რაც გაგაჩინია,
შენს სიამაყეს ფეხქვეშ გაიგებს,
დაიფერფლება ყველა ოცნება,
მერე იმ ფერფლსაც ქარი წაიღებს...
და თუ არ გინდა ასე გაგთელოს,
განადგურების უამი გაუწყოს,
გახსოვდეს, დრონი მკაცრად მეფობენ,
მათ წინსვლას უნდა ფეხი აუწყო!



გაიცე, ჩემი მიჯობა!

ქვეყნად მჯობზე მჯობი,
ვინ დათვალის ნეტა?
ბიჭი თვალმახარა,
გოგო ტანწერწეტა.
უხარია გულს და
უხარია მამულს,
როცა დოლის ხმაზე
დაუვლიან დავლურს!
არ მადარდებს სხვისი,
ვის ნაკლი აქვს, ვინ სჯობს,
მე ყველაზე მეტად
მაინც ჩემი მიჯობს!

რას ვიფიქრებდი?!

ახლა შენი ვარ! – არც მჯერა,
თუკი საშენოდ მომრთავდნენ,
მკერდზე რიდით რომ მოგეკარ,
თითქოსდა მთები ბორგავდნენ?!
სუნთქვაშეკრული იდექი,
ყელზე რომ შემოგეკონე,
თურმე რა სუსტი ყოფილხარ,
მე რა ძლიერი მეგონე?!



ՅՅՈՂԵՑ

Ճայրտուանդուտ... աելա ჩյըմցան Ռորս եարտ...
ցյլմի, տոտյօնս, պշտօն ցրծնօնս լցուցուս,
տյշեն եարտ ჩյեմո եվալոնդյելո գուլա
ճա մռմացլուս ցյըսցացցմյլո լուզո.
Կյցելցան ցյժեծտ, մռսցենցի ար մայչս,
ևյլո թյուոտացս, յրտ ացցոլնի զեր ցծլցի,
-րոնդուս մռուլցեն ճա ჩյացուրաց ցյլմի? –
ჩյեմս տացս ჩյումաց զեկուտեցեծ ծյեցրչյեր...
մռեցալու!.. մացրամ օլյո եմորաց ալար!
աելա սննորյեց տյշենո ճացցա չյերո,
ցյուտնուս կյալմի պնդա ჩյացցետ օլյո,
ռոմ կյուլաց թյուրմա ճաածրմացոնս միւրո!
մյ կո... ցյոյշրմի ճացուծրունց նարսյլս,
ասացրենաց սաճլա Ռյեմրիա ցրտեցեծ?!

პագուարյեծ ռոմ օպացուտ տյուրմիյ,
մամոն մյունցա ծյեցնոյրո նլցեծ.



დედის საფლავთან ვუძღვნი ყველა დედის ხსოვნას

დავცარიელდი, რაც აღარ მყავხარ,
მას შემდეგ ბევრჯერ ცრემლით გინატრე,
შენ იყავ ჩემი დიდი იმედი,
შენ იყავ ჩემი ციხე-სიმაგრე!
რა ტკბილად დამრჩი მოგონებებში,
ქვეყნად როგორი ლალი მამყოფე?
ახლა კი აქ ვარ და ვეფერები,
შენს სამუდამო ადგილსამყოფელს...
კვლავ გეხუტები, მინდა შეგიგრძნო,
ვიღაცა ჭიქით ღვინოსაც მაწვდის...
მგონია, თითქოს საფლავის ქვასაც,
შენი სხეულის სურნელი ასდის...



ჩემო იმაღლო

მე სულ შენთან ვარ, ჩემო იმედო,
თავს დაგტრიალებ ჩემი ფიქრებით,
ქვეყნად რა ძალა იმარჯვებს ჩვენზე,
თუ მუდამ ასე ერთად ვიქნებით?
წარსულს მიერთვის წლების სიმრავლე,
გულშიც რამდენი სევდა გროვდება,
თუმც მალვით, მაგრამ მაინც აშკარად
უკვე სიბერეც გვიახლოვდება...
მეამაყება, თვალს რომ შევავლებ,
ჩვენი სიცოცხლის ლამაზ ნაბიჯებს
და სინანულის ცრემლი მასველებს,
რამდენ ათწლეულს გადავაბიჯეთ?!...

პურის ყანა

მიწას შრომის ოფლი აწვიმს,
ლელავს მწვანედ პურის ყანა,
გლეხი კაცის სიდიადე,
ოფლის წვიმამ მოიტანა...

და ჯეჯილი, მობიბინე,
როცა ამოთავთავდება,
იქ იწყება სიმდიდრე და
სილარიბეც იქ მთავრდება!



ԺՎԱՆԱՏ

Ի՞շմո կոռածնօա, Տպեցիակո ქալո,
Տապարուղո დա Ծրբուղո ծեծնօա!
Շենո Տոտծո დա Շենո ալյերսո,
Թուրմյ Ռա Ժլուր Մոմնաթրունցնօա?!
Մածեսովզ Օմ Ելլեծու Եմեո და Ցեմո,
Ռուցա Վոյպացո ծավշվո Տադրա՛
დա Աելա՛ Ետալնոն մուգաս Օս ქալո,
Ռոմելմա՛ Սկե-Կալուտոտ մադրա՛.
Սպալա Անջունե Շենո Շոյմաֆլո,
Ռողոր Ասնրեծդո Սովելուցո Ամդեն?
Մոյելիայերուղմա, Իվենչյ Ցրոնվամո,
Ջեգու Քրոլուցաս Ամացո Ջացվաց!
Մոյդամ Իվեն Գուրդոտ Ջացուսուսեծդո,
Մյացրա Ցրոմացու ծավշվուր Նածոյեծ,
Իվենո Օմեգոտ დա Տոպարուղոտ,
Շենց Տայոյնես Գաճաձոյե...
Ջլլես Մոնճա Սպալա Վուտերա Եմամալլա,
Իշմո ծեծնօա Ռա ქալու Ոյո,
Վուգուղոծ Շենո Գիծա Գազոմեռորո,
Մյու Շեննասորո Րիյուլո Վոյո...
Շենս Եսոցնաս Ելլեծու Վոր Մոյերուցա,
Մյամածեսովրունցնօ Մարա და Ջուգենս,
Շեն Ռոմ Մոյպարուն, Իշմո ծեծնօա,
Օմ Գրճնոմնոտ Սպալա Մոխուցո Մոյպարա!



მიუვარს თბილისი!

მიუვარს თბილისი! – სხვა სიყვარული
ვერ მივიკარე ამ გულთან ახლო,
ეს ჩემი ლექსის არის ჩუქურთმა,
გემუდარებით, ხელი არ ახლოთ!
ხელი არ ახლოთ ქუჩებს, აივნებს,
აქ ძველი ხიბლი კიდევ ატყვია,
სევდიან წარსულს რაც გამახსენებს,
ხელი არ ახლოთ თუნდაც ნატყვიარს!..
ნუ გაიმეტებთ ბებერ მთანმინდას,
ძველი წარსულის ნატიფ ნაკვალევს,
მამა დავითის სულის საუფლოს
და დიდ ქართველთა წმინდა საძვალეს!
შენ კი თუ მაინც გინდა შენება,
თუ შვილი გქვია და აქვე სახლობ,
აშენე ისე, რომ დაამშვენო,
ოღონდაც წარსულს ხელი არ ახლო!

გულზე წყლულად მემჩნევა,
შენეული იარა,
თუმცა ტანჯვის დლეებმა,
უკვე გადაიარა...
მარტოსულად დარჩენილს,
როცა მომეწყინება,
სხვას თუ შევეკედლები,
გული ნუ გეტკინება...



პავლეონის განხერულება

ახლა ისევ ჩემს ბავშვობას ვიხსენებ,
იმ წლებს, გულმა დარდი რომ არ იცოდა,
მშობლიური კერის მადლი გვავსებდა
და ჩვენს ჭერქვეშ სულ სიმღერა ისმოდა!
მახსოვს თოვლში ჩამალული სახლები,
ბუხარში რომ წაბლის შემა იწვოდა,
უხვად გვქონდა ხალისი და სიკეთე
და ამიტომ სულ სიმღერა ისმოდა!
ხვამლის მთების დათოვლილი კალთები,
ცელქებს ციგით, თხილამურით გვიხმობდა,
ზამთრის სუსხი სახეს გვწვავდა სიცივით,
მაგრამ მაინც კვლავ სიმღერა ისმოდა!
თან დაგვდევდა მოფერებით, ალერსით
და ბებია ხელებს კალთით გვითბობდა,
თბილი კერის მცხუნვარებით ვთვრებოდით
და სიმღერაც მხიარული ისმოდა!
ბავშვობა კი ფანტელივით სპეტაკი,
კიკლუცობდა, დიდგულობდა, დიდობდა,
ლამაზ ზღაპრებს შთაგონებით ვყვებოდით
და სიმღერაც კვლავ ზღაპრული ისმოდა...
ახლა ისევ ვეფერები იმ დღეებს,
როცა ყველა ჩვენი ლხინით ლხინობდა,
გულმა დარდი არ იცოდა რა იყო,
სიმღერა რომ სულ ხმატკბილი ისმოდა...
მაგრამ წარსულს გაჟყვა ცელქი ბავშვობა,
ცა ფანტელებს გულუხვად რომ ისროდა,
სხვას არ ვნატრობ, ნეტა ის დრო დაბრუნდეს,
უდარდელი სიმღერა რომ ისმოდა.



რა იქნება ხვალე?

სად გავექცე თავპრუდამსვევ ქაოსს,
ზოგჯერ ნანახს არ ვუკერებ თვალებს,
დღეს ისეთი ბურუსია ირგვლივ,
ვწუხვარ, ნეტა რა იქნება ხვალე?
შენ არაფერს გსაყვედურობ, ღმერთო!
არასდროს ვარ მრისხანე და ავი,
ბევრჯერ ჭირის გადამალვაც ვცალე,
მაგრამ თვითონ არ დამალა თავი....

წუთისოფელი

მუხთალო წუთისოფელო,
როდემდე გედგე მცველადა?
მომწყინდა შეხი ფერება,
სულიც გამირბის ველადა...
მაცალე, დავტებე სიცოცხლით,
თუმცა შიგ არა ყრია რა,
მთელი ცხოვრება შეგყურებ,
ვერ მომიშუშე იარა...
ვერც მე ვერ ვწყალობ ვერავის,
თვითონ ვარ დარდით ავადა,
საკუთარ ჭირის შემყურეს,
სხვისი არ მიღირს ჩალადა....



რომორმა გავუძლებ

თითქოს მარტიაო,
ალარ გადაილო,
სევდისფერ ნისლებში
მაცვდება ოცნება,
სად არის ის წამი,
იმედს რომ აცოცხლებს,
სად გაქრა ნანატრის
კვლავ გასხივოსნება?
ფანჯრიდან გავცქერი
მოვარდნილ ნიაღვრებს,
ფეხდაფეხ მივყვები
შეშლილი ფიქრებით,
ამ მტანჯველ დღეებსაც
როგორმე გავუძლებ,
თუ მომცემ პირობას,
რომ ერთად ვიქნებით!

შენ მაშინ მნახე, როცა დაღლილი
თვალებსაც ვეღარ ვახელდი თითქმის...
გატეხილაო?! – არ დაიჯერო!
შეცდება, ჩემზე, ვინც ამას იტყვის....
ბედნიერი ვარ, მთელი სიცოცხლე
მტრის ავი თვალი ვერ მომერია,
მადლობა უფალს, ჩემი ცხოვრება
მართლაც რომ ასე მშვენიერია!



ქართველობი!

ვინც გვემუქრება, ვინც ძალადობს, გაიგოს ყველამ,
გოჯიც კი არ გვაქვს დასათმობი, სხვისთვის საწილო!
ჩვენ საქართველო თვით მაღალმა ღმერთმა გვიბოძა,
სხვას ეს სამოთხე როგორ უნდა გავუნაწილოთ?
მინდა განგაშის ზარი უფრო მაგრად შემოვკრა,
ბერი თევდორეც, განწირული, საშველად გვიხმობს,
თეძმის ხეობის გოდება და ქვითინი ისმის,
ყველა სულდგმული სამუდამოდ დადუმდა თითქოს...
პატარაა საქართველო, ვის გაუგია,
მტერმა, ვერაგმა, გამეტებით გვკორტნოს და გვჯიჯგნოს?
ვაგლას უფალიც მგონი ისე გაგვინაწყენდა,
ალარ დაგვჯერდა კრნანისს, შამქორს, მარაბდას, დიდგორს...
შე ვიკრა ისევ, ჩვენი ძალა სიყვარული არ გავახაროთ!
თუ ჯაჭვის პერანგს ვერ ჩავაცმევთ მთელ საქართველოს,
ციხე-გალავნის საძირკველი მაინც ჩავყაროთ!

დამლოცვა, დმირთო!

შენ ხარ სიცოცხლე, რაიც ასე ძლიერ მწყურია!
შენ ხარ ნათელი, ჩემთა თვალთა შუქის სიწმინდე!
ჩემი არსების ერთგულო და დიდო მფარველო,
გთხოვ, დამიტარე ბოროტისან და განმარიდე...
შენ ხარ მოძლვარი, ყურს გიგდებ და გეთაყვანები,
შენს ნათელ გზაზე სიარული მუდამ მწადია,
შემინდე ცოდვილს, გამინათე ძნელად სავალი
და დამილოცე, ქვეყანაზე ვინც მაბადია!



სიპერე

ტკბილად დაბერდიო, როცა დამლოცავენ,
რა ვქნა, ლოცვად რომ ვერ ვიფერებ?
გულში უცნაური შიში ჩამისახლდა,
ტკბილი ვის უნახავს სიბერე?
მტანჯავს, როცა ვხედავ ლონემიხდილს,
შვებით ვეღარ დააქვს სხეული,
წელში გატეხილი, წლებით გაცვეთილი,
გულით ბავშვურით და სნეულით.
აღარც მარჯვენა ჭრის, აღარც მუხლი მუხლობს,
აღარც ლიმილი აქვს ჩვეული,
თუმცა წუთისოფელს ბევრი ეძალადა,
მაინც მორევია წყეული...
ჰოდა, ქანცგანყვეტილს ცოტაც ემძიმება,
აწმყოს გულდანყვეტით იჯერებს...
ახლა მის შემყურეს, მართლა მედარდება,
ნეტა, რა ძალა აქვს სიბერეს?

სერვი შანიძის ხსოვნას

რა ვერაგულად ჩაგალენეს სიცოცხლე ხელში?!
განვლილი წლები აუხდენელ ოცნებას ჰგავდა,
წუთისოფელი რა ხანმოკლე ყოფილა შენთვის,
სწორედ ცხოვრების გარიურაუზე შემოგალამდა...
ამ განშორებით ყველას ძლიერ გვატკინე გული,
რა ვუთხრათ დედას – ღამენათევს შენს სასთუმალთან?
იძინე მშვიდად! შენ სიკვდილსაც უშიშრად შეხვდი,
გვნამს, გულმართალი, ანგელოზად მიხვალ უფალთან...



ოპლის კვერი

ვხედავ, დარდი და ნაღველი
მაგ თვალებში ჩაგისახლდა,
ბედისწერაც ამ ცხოვრების
გარიურაჟზე ჩაგისაფრდა.
მებრალები ტვირთისათვის,
ყველაფრისთვის პატარა ხარ,
მაგრამ გიხსნის თვით უფალი,
თუ სიკეთის გზებით წახვალ...
ნუ შეკრთები, ობლის კვერი
რადგან ასე გვიან ცხვება,
შენთვის ლუკმა მადლიან კაცს
მუდამ უხვად ეპოვება!
აირჩიე გზა მართალი,
ნუ ჩაიდენ მზაკვრულ ცოდვებს,
გწამდეს, ღმერთი არ გაგწირავს
და თვითონვე შეგიცოდებს!..
დღე დღეს მისდევს... გაიზრდები,
ხვალის შიშიც რომ ჩაცხრება,
მაშინ უკვე შენი კვერი,
უსათუოდ გამოცხვება!



ქართველი ქალი ვუძღვნი თამარ გოცირიძეს

არც განძთა სიუხვე, არცა ოქრო-ვერცხლი,
არცა ფუფუნება, არცა საციქველი,
მხოლოდ სათნოება, მხოლოდ სიკეთე და
სულის სილამაზე არის საკვირველი.

ღმერთმა, ცადმყოფელმა, ინება სასწაული,
არც თავის შეკავება, არცა საწყაული,
ბრძანა ღირსებათა უხვი ჰარმონია,
სხვა, მისი ბადალი, ქვეყნად არ მგონია.

მინდვრის ყვავილივით ნაზი და საამო,
სულის ნუეში და გულის მალამო,
მოძმის სიკეთისთვის ღამითაც მღვიძარი,
სხვათა გასაჭირს და ტკივილს ნაზიარი.

უხვი თავთავივით მუდამ თავდახრილი,
ჭირში მომთმენი და ლხინში მადლდაყრილი,
სასტიკი განმსჯელი თვისი შეცდომების,
არა განმკითხავი სხვათა შეცოდების.

უფლის შემწეობით და უხვი წყალობით,
ქალი ღირსეული თავისი ქალობით,
რადგან განგებით იშვა სათაყვანოდ,
არ გვაქვს უფლება, რომ არ ვეთაყვანოთ!



ღმერთო, იმედით შეგვურებ!

ღმერთო, იმედით შეგვურებ,
დარი მიკურთხე მზიანი,
ყოველ ცისმარეს შემყარე
გულსავსე, ალერსიანი.
არ დამიდუნო მარჯვენა
გამრჯე და დოვლათიანი,
მიმრავლე შთამომავალი
ლალი, დღეგრძელი, ჭკვიანი.
ჩემწილ სავალი ბილიკი,
არ შემახვედრო ტყიანი,
მამული მქონდეს სიმდიდრედ,
უხვი და ბალახცვრიანი.
არ გადამყარო მოკეთე
სულმოკლე, ავიზნიანი,
მტერიც იმ დღეში ჩამიგდე,
ვერასგზით მიყოს ზიანი!



დედა ენა

დედა ენა – თვით ღმერთების ენა,
სიკეთის და სიყვარულის რწმენა,
აკვნიდანვე ხალისი და ლხენა,
ლაშვარდებში გალალებით ფრენა!
ჩემს მამულში ფესვგადგმული ღივი,
ცის მნათობზე მოწყვეტილი სხივი,
სილამაზე ანბანთსხმული მძივის,
გულში სითბო – სიყვარულად ღვივის!
გადავშლი და თვალს ჩამიკრავს ია,
ლურჯი კაბით მამკობს თვალებლია!
აქ ყაყაჩო მორევია ყანას,
აკვანთან კი დედა მღერის ნანას,
შაშვი ისევ გატაცებით გალობს
და მამულის სიძლიერით ხარობს!
ტკბილი ჰანგით უმღერია ბულბულს,
გუგულიც კვლავ გაიძახის გუ-გუს,
ცელქი ბიჭი გულიანად მღერის,
უხარია უკვდავება ერის,
მწვანედ ლელავს სათიბი და მდელო,
ხარობს ჩემი დედა საქართველო!



რას გვერჩი უფალო?

ნეტავ, რას გვერჩი უფალო,
ეს რა გოდება მესმის?
ვიღაცას შვილი მოუკვდა...
ვიღაცა... სიკვდილს ებრძვის....
გული როდემდე გაუძლებს,
თვალიც რა ტანჯვას ხედავს,
რა მწარე განაჩენია,
შვილი ალარ ჰყავს დედას...
გვაკმარე!... თორემ ხომ ხედავ,
ყველა სამდურავს ბედავს,
რაც გსურს, მოგვიზლე, ოღონდაც
შვილს ნუ მოუკლავ დედას!

დავპრუდებით!

დაუჩოქეთ! შვილმკვდარ დედებს დაუჩოქეთ!
მწუხარის ბინდი გადაკვრია ჩამქრალ თვალებს;
მოეფერეთ, ანუგეშეთ და ზეცაში
გმირებს სულის უკვდავება შეუთვალეთ...
ტკივილს დრო ვერ გაანელებს დაჭრილ გულში,
მგლოვიარედ, შავ ძაძებში გავხუნდებით,
დავბრუნდებით ძმობის მადლით, ღვთის შეწევნით,
თუნდაც შვილთა სულებისთვის, დავბრუნდებით!



პედი, თან რაც დამყვა...

ვაი, შენ ჩემო სიყმაწვილევ,
თვალსა და ხელს შუა გაფრენილო,
გულო ნატანჯო და ნაოხარო,
დღედაღამ დარდით გატეხილო.
სულო ობოლო და წამებულო,
ოთხ კედელშუა ჩაკეტილო,
ლოცვაში ღამენათევო და
მაინც ბედის წყრომით გათელილო...
ახლა გზაგასაყარს ვეურჩები,
წლებმა რაც მარგუნა, თან წაიღო...
ნეტა რას მივტირი, ვის ვემდური?
ბედი თან რაც დამყვა... სულ ეს იყო!

მინდვრის გულშავა ყაყაჩოს,
წამოგენიე ველადა,
მადლობა უფალს, დაგბადა,
ჩემი სიცოცხლის მხსნელადა...
მე კი მიჯნურად მაქცია,
შენთვის სიკეთის მქნელადა,
შენი ვარსკვლავის დარაჯად,
შენივე გულის მცველადა.
ან რა უწყოდა უფალმა,
ქვეყნად რომ არა მებადა,
შენი სიცოცხლე მაჩუქა
და დამილოცა ბედადა...
მინდოდა, მისთვის ამაგი
გულუხვად გადამეხადა,
მაგრამ სიყვარულს გადავყე,
თავზედ დატეხილს მეხადა.



ჩემი სოფელი

გული მერამდენედ მოთქვამს სინანულით,
მახსოვს ჩემი სოფლის საკუთხევები შე ე მო და გო მა,
ახლაც როგორ მინდა, როგორ მენატრება,
მაყვლით დახუნძლულ ბორცვზე შე ე მო და გო მა.
ყოველ გამთენიას დედა გვაფხიზლებდა,
ცელქებს გვაპურებდა და გულით ხარობდა,
ჩვენ კი სოფლის თბილი დილა გვალალებდა,
გუთანი გუთონბდა და ხარი ხარობდა,
ბებია, მოფუსფუსე, სადილს გვიმზადებდა,
ლუკმას გვილოცავდა ალალს და სამყოფელს,
სხვაგან ვერ ნახავთო! – გულით გვაყვარებდა
ფეხით შეჯერებულ ადგილს და სამყოფელს...
დღესაც ასე მიყვარს კეკლუცი, თვალმახარა,
მთა-ველი ზურმუხტია, ცალურჯი ფერია,
მაგრამ გული კვდება, სად გაქრა ურიამული,
სად არის გოგონა ლალი და ფერია?

აპა, ეგეთი სად არი?

რაც კი ამქვეყნად მოვედი,
სულ საცალფეხო ვიარე,
შორით მომლიმარ ვარსკვლავებს,
ახლო ვერ შევეზიარე.
წელი წელს გაჰყვა ჯახირით,
ნატანჯი, ნაავადარი,
მე რომ ცხოვრება მინდოდა,
აპა, ეგეთი სად არი?



տոտուս ցածրերուտ սեպուկյան,
շոգրու զոմեմոմեծ պողզեթս!
սչյոթս, ար դաշուցուտ պշորու,
պողզուլուտ սածրու ծողզեթս?
րա ցորջուս, ծորութու ենա
որլլեսյուլուտ զլեսուտ?!
սեպատա ցանչչյաս դա ქոլուկս,
ցոյչյոթս սոյետյ զուսուտ!
սեպուտզուս նանցումու սուպը,
տզուտոն ածրմազեթս համդենս?!
շոգլուս սամսչյավորու ցատուլավս,
սնորյաց պողզեթուս համդենս!
դաշուցասդեթա ամացո
շոլլուս ցրտցուլագ ցամնցուս,
մեռլուգ շուալմա շնցուս,
մերյեթի րա պողզապ ցանցուս!

ԲԱԺԿՈՇԵ ԵԵԼՈ!

համկուց եելո... դղյես մենո սուտօն
րոցորչ արասօրուս, ուս մժորդեթա.
ցածրազուլալց!.. դա աելու ցեզդեթու,
ցալմարտու րոցոր ցամոժորդեթա?!
մեմոդցոմահ իշենո սուուպելուս,
ցիս մեցումոյլուտ տոտյուսդա ցրմելու,
ցորտենուլութ ցյետո ար դամուցդես սագմե,
նամոդցոմահ հալուան մելու...
շաբա շամուա ցոտուլցունուսա,
նույնուս մոնձազեթյուլս զեր դազեմալց,
մյ սունելյեթս ար ցապուրծուզար,
շնձրալուգ, մարտլա ցագազուլալց!



ღმართო, მაკარე!

ყოველ ცისმარეს, ღმერთო,
შენს კარს ლოცვებით მოგალ,
ოლონდ ნუ ჩაკლავ იმედს,
ოლონდ მაკმარე გლოვა!
თვალი მაშორე ავი,
მტრისგან ბოროტი მზერა,
ხავსმოდებული კიბე,
გაციებული კერა,
დაყრუებული ეზო,
გამოკეტილი კარი,
ტაძრის სამრეკლო გუმბათს,
ჩამოწყვეტილი ზარი,
ციხე-გალავნის კედელს,
დამანგრეველი ბზარი,
ცეცხლმოდებული ყანა,
ამოძირკვული ზვარი,
გამწარებული დედა,
მხარმომტვრეული ტოლი,
დაობლებული შვილი,
დაქვრივებული ცოლი,
სამტროდ მოსული მოძმე,
სისხლად მომსკდარი ღვარი,
სიმჩანებული ჩანგი,
დადუმებული ქნარი,
გვალვით დამმრალი წყარო,
უწყლოდ გამხმარი ყანა,
დედის თვალებზე ცრემლი,
ფუჭად ნამღერი ნანა...



არა! ვერ შევძლებ, ვიცი,
ამდენ დარდსა და გლოვას,
ოლონდ მაკმარე ღმერთო,
შენს კარს ლოცვებით მოვალ...
თუკი სიცოცხლე მაჩუქე,
თუ მფარველობ და მწყალობ,
გამატანინე ლელო და
გამალენინე კალო!

მარტის ცვიმა

წვიმს და... რაღაც მედარდება,
თითქოს ვიღაც მეკარგება,
უჩვეულო ტკივილია გულში...
მზეა ჩუმად გარინდული,
ღრუბლით თვალებდაბინდული,
თითქოს ტანჯვის გრიგალია სულშიც...
ისევ უტევს მარტის ქარი,
თავნება და აბეზარი,
სუსხი ერჩის ატმებსა და ნუშებს,
მთის კალთებში ჩაკარგული,
ხმარაკრაკა ნაკადული,
ნიალვრებით ემუქრება ქუჩებს.
გადაიღებს, ვიცი, მალე,
მზე გაახელს დალლილ თვალებს,
რადგან მარტი გიუია და ურჩი,
ცას გაკრული შავ ღრუბლებად,
ისევ წვიმად დაბრუნდება
და გაზაფხულს ააყვავებს სულში.



ԱՐ ՇԵԿՐՈՒ ՑԱՇԱՑԵՔԱ!

Մենս Ծարսუլլս կրძալվութ ազնելել տվալեծս,
գոյշրո մագերիթլեցս – լամիս մուզելո,
մեամապյեցո, մամուլո հիմո,
հիմամճա մռեցու ցանդելու...
Ծլլես ամ Ծարսուլուս զար մեսակուտրյ,
մայքս Սառցարո ցրժնոնքա ճա ցանցլա,
լուզա ճա ցրեմլութ ամեազս մուզելո
հիմո երտուուսո, ոմզո ճա եանտա...
Րա Տոնատլյա չավարո, ոպալոտո,
այ Տոնատլութ մեօձլազս պուզելո,
ծրնցոնազս ցերցետո, ցրեմո, ցեցուտո,
ալազերճո ճա Տոնատլուզելո.
Ծգաս անհիսեագո, Նարջմա, անպյուրո,
տավմոկուտոլո դումիս ցրտանմոնճա!
Ցուլմո ճաքրուու եարուութ վծորցազ
ճա մուզերջե չավարո ցուպարո մոնճա!
Տանջուրս, ցելատս, մյամտաս, Տոնոնս,
հիմո Տոնատրուս ելու ահնոա,
ծացրագո արուս տոյ սուզուուսուխյ –
յս արուս ցանծո, րաց ցամահնոա.
Տոնատլուն Ծարսուլս Տոնատլուզյ Երժո
ճա ցրեմլո մնարյ ցրեմլջյ ճագուլճա,
րամճենչայր բանչազութ ցացակոյյ չավարջյ,
ոմճենչայր տոտէոս ჩանցու ճագումճա....
Մացրամ մանց ցեր ցացուեյյ Ելմո,
մուզերս յլազս Նարանցուլո Շենո մուզենցոցա,
րագցան ցաեցանցուս լուրսուլ մռցցմաս,
ճազուուսա ճա տամարուս մռցցմաս,
րուստուլուսա ճա ոլուաս մռցցմաս,
ար սինչերու ցացամենցոցա!



გაზაფხულია!

გაზაფხულია, მარტმა ამინდი,
კვლავ უწევეულოდ არივ-დარია,
სუსხს ემალება ყველა სულდგმული,
მიკვირს, ნუშები რამ გადარია?
თოვლს დაულაშქრავს ისევ ჯიუტად
მთა – ზეცის თაღზე თავმიბჯენილი,
მზეს გული ასე რამ გაუცივა? –
ნუს ნაზამთრალი, ქორფა ჯეჯილი.
მე კი... ვხარობ და კვლავ გაზაფხულის
ახალ სულჩადგმით გული მევსება,
მაგრამ მაწვალებს იმ დღეთა შიში,
მარტი აპრილს რომ დაესესხება...

შვილებს

დღედაღამ ლოცვით თქვენს მომავალს უფალს ვავედრებ,
ჩემ სიცოცხლესაც, უყოყმანოდ, მსხვერპლად გთავაზობთ;
რაც შემიძლია, უცდილობ ხელი შემოგაშველოთ,
იქნებ ცხოვრება, ცოტა მაინც, გაგილამაზოთ.
მით უფრო ვცდილობ, რომ ვიზილე ბავშვური თვალით,
ჩემი მშობლების თავდადება და შემართება,
მაშინ ცხოვრება ნარ-ეკალით იყო აღსავსე
და ის თავისით არ მოსულა ია-ვარდებად.
დღესაც ასეა, ნარ-ეკალი ისევ ბიბინებს,
მაგრამ მე მაინც გილამაზებთ ხვალის იმედებს...
არც თქვენ დარჩებით დედ-მამასთან ვალში, თუ მართლა
წინაპარივით შვილებისთვის თავს გაიმეტებთ!



ჩემთვის, ცხელ გულზე,
სიკვდილიც კი ბევრჯერ ვინატრე,
არ მდომებია გათენება
ნატანჯი ღამის,
იმდენი დარდი და სიმწარე
გამოვიარე,
რომ ამ განცდებმა თვალისჩინი
წამართვეს ღამის...
მაგრამ შევძელი გამკლავება,
ჩაცხრა ტკივილი,
ახლა ყოველდღე უფლისადმი
ლოცვას ვლალდებ,
ჩემი შვილების ბედნიერი
მომავლისათვის,
ღმერთს ერთგულება შევფიცე და...
არ ვულალატებ!

იქნებ...

იქნებ როგორმე გადაგივიწყო,
გულზე ავიხსნა დარდის ლოდები,
შენ რწმენა ისე გამინადგურე,
მე უკვე ალარ დაგელოდები!

თუ დაბრუნებას მაინც ინებებ,
დაგხვდება მხოლოდ ცივი კედლები...
მე კი ამ გულის გადასარჩენად
სხვას, უფრო ძლიერს, შევეკედლები!



რა გაძლებაა უშენოდ?

რა გაძლებაა უშენოდ?
დავალ, დაგექქბ ბარადა,
როდემდე უნდა მაწვალო,
როდემდე ვიყო ცალადა?
მოვდევ, მოვტირი შენს სავალს
ცრემლი მასკდება ღვარადა,
ბინდი გაეკრა სამზეოს,
უკუნი ლამის დარადა.
გამინახევრდა საწუთოოც,
გულს დარდი მადგას ჯარადა,
თუ მოცილე მყავს, მითხარი,
არ ჩამაყოლო ჯავრადა!

შენ რომ იმედად მყავდე...

როგორ მიწყრება ზეცა,
რა დარდებს მახვევს თავზე?!
წვიმის ღრუბლების წყება,
ცრემლებს არ იშრობს თვალზე.
მე კი დარდით ვარ სავსე,
სევდა ჩამიდგა ხმაში,
ხვალეც რომ ასე ცრიდეს,
რა მეშველება მაშინ?
შენ რომ იმედად მყავდე,
როდემდეც უნდა წვიმდეს!
მაგრამ ვაი, თუ ლოდინი
იქნებდა ალარც ღირდეს...



რომ არა ქალი!..

სულ მუდამ ერთი კითხვა მაწუხებს,
რაც გავახილე ამ ქვეყნად თვალი,
სამყარო – უფლის ძალით შექმნილი
რა იქნებოდა, რომ არა ქალი?!
ის დღეც და ღამეც ბრძოლის ჟინშია,
გულანთებული მსხვერპლადაც იწვის,
თუნდაც თამარი რომ არ გვყოლოდა,
ვინ ააგებდა გეგუთს და ყინწვის?
ვინ შობა ცოტნე, ანდა გიორგი,
გაუტეხელი ვინ შერჩა დრო-ჟამს,
ცხრა ძმას ბრძოლის წინ ომახიანად,
ვინ დაულოცა ქართული დროშა?
გვქონდა დარდის და მწუხრის დღეები,
დამარცხებულის ჟამიც ხანდახან,
ის კი იბრძოდა მუხლჩაუხრელი,
მამებისა და ძმების მხარდამხარ!
იბრძოდა, როგორც ტანბრგე ვაჟკაცი,
მტერს, გაშმაგებულს, შიშის ზარს გვრიდა...
მერე კი... ისევ იჯდა აკვანთან
და მამულისთვის გმირთაგმირს ზრდიდა!
გამოიზარდა საბა, ერეკლე,
ჰეი, რამდენი გმირი გვყოლია?!
თურმე მგლის მუხლი და ვაჟკაცობა
დედის მუცლიდან თან დაჰყოლიათ!..
გახსოვდეთ, გნამდეთ, გიყვარდეთ მარად,
ნარსულის ქარცეცხლგამონატარი,
ქალი – სიცოცხლის წმინდა სათავე
და ერის ციხე-ბურჯი მაგარი!



დედა

დროთა ტრიალმა დატოვა კვალი...
თმა შეგიფერა თეთრად ჭალარამ,
მე კი დარდი მკლავს, ვერ შევამჩნიე,
თურმე ცხოვრებამ როგორ დაგლალა?!
რამდენი დღე და რამდენი ლამე,
თეთრად, უძილოდ გითენებია,
ზოგჯერ კი ფიქრით დაღლილს, დაქანცულს,
სკამზე ჩამომჯდარს დაგძინებია.
ვხედავ თვალებში ჩასახლდა ბინდი,
სიცოცხლის სხივი გამოკრთის ლანდად,
ალბათ ძალიან გაწვალეთ დედა,
ოჯახზე ზრუნვამ დაგლალა ალბათ...
უფალთან ლოცვით გალიე დღენი,
სიკეთის მუდამ ალმამთესველო,
გულო – სიშმინდის შუქით გამთბარო,
ბედის სიავით გაუტეხელო!
კვლავაც ხმატკბილი გემლეროს ნანა,
გნათოდეს ზეცა გაბრწყინებული,
სამშობლო – შენი მადლით ალვსილი,
შენი ხელითვე დამშვენებული!



ჩემს ოპრიბას

ამ ჩემ მხარეში მგლოვიარე სულიც ზეიმობს,
სულ სხვა ხიბლი აქეს ზურმუხტოვან, ლამაზ მთაგორებს,
აქ ყველა ბუჩქი, ყველა ხე და ყველა ბილიკი,
ჩემი ბავშვობის დაუვიწყარ დღეებს მაგონებს...
აქ სიყვარულიც, თავგანწირვაც, სხვაგვარი ვიცით,
ვისაც მოკეთის თვალით ვწვდები, ყველა ჩემია,
ასეთად მზრდიდა მადლიანი დედულ-მამული,
შვილი მამაზე უკეთესი რომ ურჩევნია!
თვალს რომ შევავლებ თავნაყარი სიმინდის ყანებს,
მუხლზე ვეცემი ფესვძლიერის სიცოცხლის ეშნით,
თუ დავიღლები მოფერებით და სიყვარულით,
ჩემი ღვალვანის წყალი მასხით სახეზე პეშვით...
სულ მენატრება! ყველგან ვეძებ სურნელს მშობლიურს,
ცამდე ვმაღლდები, სიკეთის ხმას როცა გავიგებ,
ამ აღმაფრენას, ამ სიყვარულს და სიამაყეს,
როცა მოვკვდები, იმ ქვეყნადაც, საგზლად წავიღებ!

ჩემს პეჩას

მახსოვს, შვილო, შენს საწოლთან მოფუსფუსე,
რა იმედით გისინჯავდი ნაიარევს,
შენი კვნესა ჩემი გულის კედლებს ღრღნიდა!
უფლის მადლით, იმ დღეებმაც ჩაიარეს....
ახლა ვცოცხლობ ხვალინდელი დღის იმედით,
გამიმართლე! – ეს ხომ სისხლის ყივილია
და გახსოვდეს, შენი ყველა გასაჭირი,
დედის გულის დარდია და ტკივილია!..
სულ ვლოცულობ, ღამეა თუ ცისიერი
და თუ მაინც განსაცდელის დღე დადგება,
ისევ გიხსნის უფლისადმი ერთგულება,
დედის ლოცვაც უსათუოდ წაგადგება!



არ ჩამიქრო სახოლო!

ჩემს სავალს შიშით გავყურებ...
შენ არ ჩამიქრე სანთელო!
თორემ სავდრო ღრუბლებში,
მთვარე ვერ ციცინათელობს;
ვაი თუ ქარმაც დაპბერა,
უძლური ფეხქვეშ გამთელოს...
მაინც უფლის მაქვს იმედი,
ავდარი დარად ათენოს;
გული, დარდისგან შექმული,
ანუგეშოს და ამთელოს!

მინდა გაზაფხულის სითბო გაგრძნობინო,
შენგან ნათამამებს გული მევალება,
ლურჯთვალა ია ვარ, თოვლქვეშ განაბული,
ატმის ყვავილი ვარ, სუსხს რომ ემალება.
დილის მზის სხივივით სარკმელს მოვაწყდები,
გულმკერდს დაგიკოცნი კრძალვით და მალულად,
როცა მოვმძლავრდები, შენ თვალწინ გავმართავ,
დამსკდარი კვირტების დოლსა თუ მარულას.
არ გეძებ... არ მეძებ... იცი რომ მიპოვნი,
ვიცი, რომ გიპოვნი ნუშებით დანათოვს,
აპრილში სიყვარულს დიდი აქვს ძალა და
ჩვენც მაშინ გავმართავთ გრძნობების მარათონს!



ნიახურას ციხე

ამაყად მდგარო ციხეო,
გულში რა ცეცხლი გინთია?
ცას ჯავრიანი შეჰერებ,
ნათელია თუ ბინდია....
არც რას მიამბობ ტკივილზე,
გულზე იარა გატყვია,
იმედს მაძლევ და მიმალავ,
მკერდს, ნაცეცხლარს და ნატყვიარს..
დგახარ გმირული წარსულით,
ლამე თეთრად რომ ათია,
მეც შენი მეციხოვნე ვარ,
აქ ვხვდები ყველა განთიადს..

ოქროს ვენახი

ცად აზიდულა მარად თეთრი კავკასიონი,
მთის მწვერვალები ცის კიდურებს მჭიდროდ გაჰკვრია,
მსურდა მქონოდა ყველაფერი ამ ქვეყნად კარგი,
მაგრამ სამშობლო უკეთესი? – არ მინატრია!
არ მინატრია სხვანაირი ზეცის სილურჯე,
პირველი სხივი ჩემი თვალის მხოლოდ შენა ხარ,
როგორც ზღაპარში, უკვდავების ხეთა ბალნარში,
მე დაგინახე ზვრად დაჭიმულ ოქროს ვენახად.
როგორ უხდები ამ მაღლიან ველებს, მთაგორებს,
როგორ ამშვენებ გლეხი კაცის გამრჯე მარჯვენას
და გაზაფხულზე, ადრიანად, ცრემლს რომ დაიდენ,
ქართველი კიდევ ერთხელ ლოცავს თავის გაჩენას...
და იძლიერე, სანამ ცა და მიწა სულდგმულობს,
ცრემლი, ნიშანი სიცოცხლისა, მარად მენახოს,
ჩემი მამულის სადიდებლად გევსოს ფიალა,
ზვრადდაჭიმულო, ფესვძლიერო ოქროს ვენახო!



დროს თავისი მიაქვს

ოცნებებში შემომაცვდა სულის აფრა,
დავიღალე!.. დროს თავისი მიაქვს!
როგორ ჩუმად მოპარულა ფოთოლცვენა,
ვატყობ, სუსხიც შეპარვია ნიავს...
შიში ალებს დაუცხრომელ სულის სარკმელს
და მზის სხივიც ვეღარ აფრქვევს სითბოს,
ახლოვდება სევდისფერი დასასრული
ცა ღრუბლებში იძირება თითქოს...
მოვა დრო და... გაუყყვები ცისკენ სავალს,
მართლა სუსხი შეპარვია ნიავს,
დავიღალე, თურმე როგორ დავიღალე?!
ახლა მივხვდი, დროს თავისი მიაქვს!

მორჩა!

მორჩა! უკვე ვეღარ მნახავთ,
მოშიშარს და მფრთხალს,
როცა ვხედავ ირგვლივ ლალატს,
ვერ დავხუჭავ თვალს.
ყველა ორგულს შევარისხებ,
არ დავუხრი თავს,
არც სიყალბეს მოვუწონებ,
არ ავუბამ მხარს.
მტერი ვეღარ შემომბედავს,
ავი საქმე ქნას,
გონზე მოვა, როცა კუდით
ვასროლინებ ქვას.
დღეს თუ ცოტა გამიჭირდა,
მაინც ვხედავ ხსნას,
საქართველოს ცას და მინას,
არ დავუთმობ სხვას!



გარეჯეს

განმარტოებით, მწირ უდაბნოში,
დგას მონასტერი ძველი იერით,
თითოოროლა კაცის იმედით,
უკაცრიელი თვალსაწიერით...
აქ, წინაპარმა, გამრჯვე ხელებით,
ბნელს და უკუნეთს ზურგი აქცია
და უსახური, მყაცრი უდაბნო,
სულის ნალკოტად გადააქცია...
ასწლეულების გრიგალს გაუძლო,
თუმცა ათასგზის გაატიალეს,
მაინც არ გატყდა რწმენის სიმტკიცე,
ისევ ფეხზე დგას მემატიანედ!

ერთაშორისობა

ერთაშორისობა, ჩემი რწმენის წმინდა ხატო,
გესმის?.. ლალეს ისევ მღერის პაატა!
დღესაც მტანჯავს მისი სულის იარები,
ამ დიდ ტკივილს ნარსულს როგორ გავატან?
შენს ცივ კედლებს მოკრძალუბით ვეფერები,
